წინასაარჩევნოდ გატაცებული ქართველები A2

საახალწლო ფული და დედიმოხილა ნაძვის ხე A2

"თქვენი აფხაზეთი" A8



www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური


© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 12 იანვარი, 2005 წელი. №5 (865)

ფასი 50 თეთრი

# 2004 - დემოკრატიული განვითარების წარმატებული წელიწადი



*2004 წლის 14 იანვარი, ბრიუს ჯექსონის ვიზიტი თბილისში.*

*2004 წელი გამორჩეული იყო. როგორც ჩანს, ევროპის ცივი ომისშემდგომი ტრანსფორმაციის უკანასკნელი ეტაპი დადგა. ახალ ევროატლანტიკურ დემოკრატიებს, უკრაინასა და საქართველოს, როგორც არასდროს, მხარდაჭერა სჭირდებათ - აცხადებს თავის წერილში გარდამავალი დემოკრატიების პროექტის პრეზიდენტი, ნატო-ს გაფართოების ერთ-ერთი ინიციატორი, "მისტერ გაფართოებად" წოდებული ბრიუს ჯექსონი.*

ბრიუს ჯექსონი
*გარდამავალი დემოკრატიების პროექტის პრეზიდენტი*

2004 წელი, დემოკრატიის განვითარების მხრივ, განსაკუთრებული, უფრო მეტიც, გამაოგნებელი წელიწადი აღმოჩნდა. "ვარდების რევოლუციიდან" ერთი წლის შემდეგ საქართველოს სამხრეთ კავკასია ევროპისკენ მიჰყავს და რეგიონში რეფორმების ახალი სტანდარტების დანერგვას აგრძელებს. თურქეთმა ბოლოს და ბოლოს მოახერხა ევროკავშირში ინტეგრაციისათვის მოლაპარაკებების გამართვა.

გაგრძელება A5 გვერდზე

# მხოლოდ ნებაყოფლობითი შერიგების შედეგად მივაღწევთ მიზანს

**დღის შეკითხვა:**
**როგორ უნდა გადაწყდეს აფხაზეთის პრობლემა, რა ენაზე უნდა ველაპარაკოთ აფხაზებს? არის თუ არა გამოსავალი ფედერალიზმი?**

ვერიკო თევზაძე

**გიორგი ხელაშვილი,** *ექსპერტი საერთაშორისო ურთიერთობათა საკითხებში:*

ხელისუფლების მიერ აღებული კურსი, შეიარაღებული გზით მოაგვაროს კონფლიქტები (რაც უკვე აშკარა ხდება), არის შეცდომა. თავიდანვე აქცენტი უნდა გაკეთებულიყო ეკონომიკურ მეთოდებზე, ეკონომიკის გაძლიერებაზე.

აფხაზეთი და იგივე ოსეთი არ არის თავისთავადი პრობლემები. ეს არის ქვეყნის განვითარების პრობლემატიკის ნაწილი. აქედან გამომდინარე, ხელისუფლება შეცდომას უშვებს, როცა კონფლიქტების პრობლემას ცალკე განიხილავს. ამ თვალსაზრისით ხელისუფლებამ უკვე მთელი წელიწადი დაკარგა - დასუსტებული ეკონომიკის პირობებში ჩვენ ვერანაირ კონფლიქტს ვერ გადავჭრით, მით უმეტეს - შეიარაღებული გზით.

ხელისუფლებამ მაშინ დაუშვა შეცდომა, როცა აიღო კურსი სამხედრო ძალის გაძლიერებაზე და ამით შეეცადა, აფხაზებზე და ოსებზე გავლენა მიეხდინა. ეს ძალიან კარგად გამოჩნდა ამ ზაფხულზე. მხედველობაში მაქვს ოსეთში განვითარებული მოვლენები.

მე თუ მკითხავთ, შევარდნაძის შემდეგ უფრო გართულდა პრობლემის გადაწყვეტა, ვინაიდან უკვე დაიწყო იარაღის ჟღარუნი (ამ წლების განმავლობაში რამდენჯერაც კი აჟღარუნდა იარაღი, სიტუაცია უფრო და უფრო გამწვავდა). თუ იარაღის ჟღარუნს დაიწყებ, ბოლომდე უნდა აჟღარუნო და, თუ არ გაქვს ბოლომდე ჟღარუნის თავი, მაშინ მთლიანად უნდა შეცვალო პოლიტიკა. ჩემი აზრით, ჩვენი ხელისუფლება ასე უნდა მოიქცეს და მან, უპირველესად, აქცენტი ეკონომიკურ პოლიტკაზე გააკეთოს.

აფხაზეთთან და ოსეთთან დაკავშირებით ფედერალიზმი, ძალაუნებურად, მისაღებია. ეს არის რეალობა, რომელსაც ანგარიში უნდა გაუწიო. ლაპარაკი არ შეიძლება იყოს მარტო კონფედერაციაზე. ფედერალიზმი სავსებით მისაღებია, თუნდაც, ასიმეტრიული ფედერალიზმის სახით.

**ზურაბ დავითაშვილი,** *პარლამენტარი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა კათედრის გამგე:*

ძალისმიერ მეთოდს საერთოდ გამოვრიცხავ, თუ ამაში იგულისხმება სამხედრო ძალა. არანაირი შანსი ძალისმიერი მეთოდით გამარჯვებისა ჩვენ არ გაგვაჩნია. რომ გავიმარჯვოთ კიდეც, ეს ძალიან დროებითი მოვლენა იქნება.

თუ ძალაში ვიგულისხმებთ იმას, რომ აფხაზები უნდა წამოვიდნენ დათმობაზე და იფიქრონ ერთიან სახელმწიფოში განსაკუთრებულ სტატუსზე, ასეთი ძალა არათუ სასურველი, აუცილებელიც კია.

გაგრძელება A3 გვერდზე






## თვალსაზრისი

### რევოლუციის შემდეგ

სამოქალაქო საზოგადოება და დემოკრატიის კონსოლიდაციის პრობლემები საქართველოში.



გაგრძელება. დასაწყისი იხ. №4 (864)

B6

## საზოგადოება

### "სავაჭრო ცენტრის" ცენტრალური პრობლემა



"ბაზრიდან თუ გავალთ, როგორც გავიგეთ, იქ ისეთი რემონტის გაკეთებას აპირებენ, მერე ვინღა დაგვაბრუნებს?"

A6

**იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"**

**ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.**

A6

**გაზეთ "24 საათის" ანონსები შეგიძლიათ, მოისმინოთ რადიო "მწვანე ტალღის" ეთერში, FM 107.4**

## ამინდი

| | 12/1 | 13/1 |
|---|---|---|
| თბილისი | 10 | 13 |
| ქუთაისი | 11 | 14 |
| ბათუმი | 12 | 15 |
| სოხუმი | 9 | 13 |
| ფოთი | 12 | 14 |
| თელავი | 8 | 12 |
| ზუგდიდი | 11 | 13 |
| გორი | 6 | 10 |
| ახმეტა | 8 | 11 |
| ჭიათურა | 8 | 11 |
| გაგრა | 8 | 11 |
| სამტრედია | 11 | 14 |

*უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში*

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8155 |
| ევრო | 2.3861 |
| გირვანქა სტერლ. | 3.4070 |
| რუბლი | 0.0649 |

# ქართულ-აფხაზური ელდორადო

ეკონომიკური გზით პოლიტიკური კონფლიქტის მოგვარებისკენ

გიორგი ასანიშვილი

*პრეზიდენტ სააკაშვილის მიმართვას, რომ შემუშავდეს აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების კონცეფცია, საზოგადოებაში ფართო გამოხმაურება მოჰყვა. სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ექსპერტთა ჯგუფების მიერ თვეზე ნაკლებ დროში იმაზე მეტი პროექტი, რჩევა თუ რეკომენდაცია დაიწერა, ვიდრე სოხუმის დაცემიდან დღემდე. გუშინ თავისი ხედვა წარმოადგინა ავტორთა კიდევ ერთმა გუნდმა, ლაშა ტუღუშის ხელმძღვანელობით. მათ მიერ შემუშავებული პროექტის მიხედვით, ერთიან საქართველოში აფხაზეთის რეინტეგრირება ეკონომიკური ფაქტორების ამოქმედების გზით უნდა მოხდეს.*

გაგრძელება A3 გვერდზე

# "კლოუნადა" - აფხაზური შეფასება

ნინო გომართელი

დღეს, დილის რვა საათიდან, აფხაზეთში მუშაობას იწყებს 35 საოლქო და 189 საუბნო საარჩევნო კომისია, რათა პრეზიდენტად არჩეულ იქნეს სერგეი ბაგაფში, ხოლო ვიცე-პრეზიდენტად - რაულ ხაჯიმბა. ასე სურს რუსეთს.

ადგილობრივი ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით, თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში 114 ამომრჩეველია რეგისტრირებული.

**"საერთო რაოდენობა მხოლოდ კენჭისყრის დღეს გახდება ცნობილი, ამჟამად მხოლოდ წინასწარი მონაცემები გვაქვს,"** - აცხადებს ცესკო-ს თავმჯდომარე ბატალ ტაბაღუა.

აღნიშნულ მონაცემებს არ ეთანხმება პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი იაკუბ ლაკობა, რომლის განცხადებითაც, აფხაზეთში 168 ათასი ამომრჩეველია და ცესკო-მ ისინი სიაში შეგნებულად არ შეიტანა, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველ მესამე ამომრჩეველს 12 იანვრის არჩევნებში ხმის მიცემის საშუალება არ ექნება.

გაგრძელება A3 გვერდზე

# საპრივატიზაციო დოლი საქართველოში

თამარ ხორბალაძე

*დიდი საპრივატიზაციო დოლი საქართველოში დაწყებულია. ხელისუფლება ცდილობს, დაამხოს გასული ერთი წლის მანძილზე უკვე მკვიდრად ფეხმოკიდებული მოსაზრება საპრივატიზაციო პროცესის ბუნდოვანებასთან დაკავშირებით და "საქართველოს საოკეანო სანაოსნოსა" და "ჭიათურმანგანუმის" ტენდერის, უფრო სწორად - სატენდერო განაცხადების გახსნის პროცესისგან ხმაურიან შოუს დგამს: საქართველოს პრემიერი, მინისტრებისგან დაკომპლექტებული სატენდერო კომისია, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების წარმომადგენლები და ერთი დარბაზი ჟურნალისტები - ასეთი გახლდათ იმ საზოგადოების შემადგენლობა, რომლის თვალწინაც ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ლექსო ალექსიშვილმა სატენდერო განაცხადები "გახსნა".*

გაგრძელება A4 გვერდზე


A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 პროექტი

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 თვალსაზრისი | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

## წინასაარჩევნოდ გატაცებული ქართველები

აფხაზეთის არაღიარებული რესპუბლიკის საპრეზიდენტო არჩევნებამდე ერთი დღით ადრე უკიდურესად იძაბება ვითარება გალის რაიონის ქართულ სოფლებსა და ზუგდიდის რაიონის ენგურს მოსაზღვრე სოფლებში.

გუშინ, დაახლოებით დღის ორი საათისთვის ზუგდიდის რაიონის სოფელ განმუხურს 40-მდე შეიარაღებული პირი დაესხა თავს. თავდამსხმელები აფხაზები იყვნენ, მათ გადაადგილებისას რუსი სამშვიდობოების მხრიდან წინააღმდეგობა არ შეხვედრიათ.

თავდამსხმელები სოფელ განმუხურის ცენტრში ხუთი წუთის განმავლობაში ისროდნენ, გაიტაცეს საქართველოს სახელმწიფო დროშა და ქართულ მოსახლეობას ამოხოცვითა და გასახლებით დაემუქრნენ. დაშავებულების შესახებ ინფორმაციას სამართალდამცავები არ ავრცელებენ, თუმცა ზოგიერთი წყაროს ცნობით, თავდამსხმელებმა ორ ავტომანქანასთან ერთად სოფლის გამგებელი და რამდენიმე მცხოვრები გაიტაცეს.

თვითმხილველთა თქმით, აფხაზებთან ერთად იმყოფებოდნენ ნასვამ მდგომარეობაში მყოფი რუსი სამშვიდობოებიც. ამ ინციდენტიდან სულ ცოტა ხანში, ზუგდიდიდან განმუხურის მიმართულებით სამხარეო პოლიციის სპეცდანიშნულების რაზმი გაემართა. მიუხედავად ამისა, მოსახლეობა მაინც პანიკაშია.

როგორც სამეგრელო-ზემო სვანეთში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულმა გიგი უგულავამ "24 საათთან" საუბარში განაცხადა, გატაცებულები დაბრუნებული არ არიან, მაგრამ **"ყველაფერი მალე მოგვარდება"**. უგულავას თქმით, სავარაუდოდ, თავდამსხმელები გალში მოქმედი კრიმინალური დაჯგუფების წევრები არიან, რომელთაც ვინმე როზა მირცხულავა ხელმძღვანელობს.

უგულავა არ გამორიცხავს, რომ აღნიშნული თავდასხმა აფხაზეთში დღეისთვის დაგეგმილ არჩევნებს უკავშირდებოდეს. **"ეს დაჯგუფება გალში ანტისაარჩევნო აგიტაციას ატარებდა, მაგრამ ენგურს აქეთ რატომ გადმოვიდნენ, არ ვიცი,"** - აღნიშნა უგულავამ. მისივე თქმით, სოფელ განმუხურში რუსი სამშვიდობოების ორი საგუშაგოა განლაგებული და ის ფაქტი, რომ მათ თავდამსხმელები ვერ შენიშნეს, სამშვიდობოთა მიმართ გარკვეულ ეჭვს ბადებს.

ამ დროისათვის ადგილზე დისლოცირებულია სამხარეო პოლიციის სპეცრაზმის ჯგუფი, მიმდინარეობს მუშაობა გატაცებულთა ვინაობის დასადგენად და დასაბრუნებლად.

კონფლიქტის ზონაში სიტუაციის გამწვავებასთან დაკავშირებით, გუშინ კომენტარი გააკეთა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმაც. **"ჩვენ უკვე ვატარებთ სპეციალურ ღონისძიებებს და უახლოეს პერიოდში გატაცებული პიროვნებები და მანქანები დაბრუნებული იქნება, დამნაშავეები კი - დაკავებული,"** - აღნიშნა მერაბიშვილმა.

უმისამართოდ ისროდნენ გუშინ გალის რაიონის ქართულ სოფლებშიც - ბარღები, პიჩორი, ოტობაია.

საღამოს ხუთი საათისთვის აფხაზებმა სოფელ ოტობაიადან თერთმეტი ადგილობრივი მცხოვრები გაიტაცეს. ადგილობრივი მოსახლეობა აცხადებს, რომ აფხაზთა შეიარაღებული თავდასხმა საპრეზიდენტო არჩევნებს უკავშირდება. მოსახლეობის თქმით, აფხაზები ყველანაირად ცდილობენ, საარჩევნო ურნებთან ქართველები არ მივიდნენ.

*სოფო ბუკია*

## მარშრუტი თბილისი-კიევი კვლავ აქტუალურია

უკრაინის პრეზიდენტის ინაუგურაცია 15 იანვრისთვის არის დაგეგმილი. ბუნებრივია, ამ ისტორიულ მოვლენას მსოფლიოს მრავალი ქვეყნის პირველი პირები დაესწრებიან. რაღა თქმა უნდა, კიევში, ვიქტორ იუშენკოს პრეზიდენტად კურთხევის ცერემონიალზე, საქართველოს დელეგაციაც ჩავა. თუმცა, ჯერჯერობით, ცნობილი არ არის, რამდენი ადამიანი შევა ამ სამთავრობო დელეგაციაში.

ჩვენი ინფორმაციით, უკრაინაში წასვლის სურვილი საკმაოდ ბევრმა დეპუტატმა და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელმა გამოთქვა, თუმცა საეჭვოა, კიევში წასვლის ყველა მსურველმა საკუთარი ნატვრა აისრულოს - ელემენტარულად, ამდენი მოსაწვევი არ იქნება. თანაც, მოგზაურობა ხარჯებთან არის დაკავშირებული და ნამდვილად გულუბრყვილობა იქნებოდა, გვეფიქრა, რომ ოფიციალური დელეგაციის რიგითი წევრები ფულს საკუთარი ჯიბიდან გაიღებენ.

ისე, ქართველებმა ამ ბოლო დროს უკრაინაში საკმაოდ მყარად მოიკიდეს ფეხი - საპრეზიდენტო არჩევნების თითოეულ ტურს, მინიმუმ, ორმოცდახუთი დეპუტატი ადევნებდა თვალს. მათთან ერთად, უკრაინაში იმყოფებოდნენ თბილისის საკრებულოს წევრები, სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები.

თუკი კერძო პირები უკრაინაში მოგზაურობას თავად აფინანსებდნენ, ქართველი დეპუტატები სადამკვირვებლო მისიას ბიუჯეტის ხარჯზე ასრულებდნენ. თანაც, საკმაოდ რთულია იმის გარკვევა, ანაზღაურების რა ნაწილს იხდიდა ქართული მხარე და რა ნაწილს - უკრაინული.

საერთოდ, ოფიციალური ინფორმაციით, ქართველი პარლამენტარები არჩევნებზე უკრაინის რადას მიწვევით იმყოფებოდნენ. ამავე დროს, ჩარტერულ რეისებს ქართული მხარე აფინანსებდა და ასეთი რეისი, საერთო ჯამში, ექვსი იყო. თანაც, ქართული მხარე სამივლინებო ხარჯებითაც უზრუნველყოფდა ჩვენს დეპუტატებს.

ასე რომ, უკრაინულ არჩევნებში ქართველების მონაწილეობა საქართველოს ბიუჯეტს გვარიანი თანხა დაუჯდა.

ამის მიუხედავად, იგივე ოპოზიციონერი დეპუტატები აცხადებენ, რომ ეს ის შემთხვევაა, როდესაც საქართველოს ხელისუფლებას სასაყვედურო არაფერი აქვს. "რესპუბლიკელი" დავით ბერძენიშვილის თქმით, ქართველმა დამკვირვებლებმა სამივე ტურზე საკმაოდ ბევრი და კარგი საქმეები აკეთეს. მეტიც: როგორც დავით ბერძენიშვილს მიაჩნია, **"მეორე ტურის ხელახალი არჩევნების დროს უკრაინაში დეპუტატთა საკმაოდ კვალიფიციური ჯგუფი გაემგზავრა"** (საგულისხმოა, რომ თავად დავით ბერძენიშვილი კიევში ორჯერ იყო - 21 ნოემბერს და 26 დეკემბერს).

თუმცა, ახლა დავით ბერძენიშვილი აცხადებს, რომ მას ინაუგურაციაზე წასვლის სურვილი არ აქვს: **"იქ პრეზიდენტი უნდა წავიდეს. არ მინდა, მონაწილეობა მივიღო ინტრიგებში და ამის ფასად კიევში ჩავიდე."**

საგულისხმოა, რომ იმ დეპუტატთა აბსოლუტური უმრავლესობა, რომლებიც საპრეზიდენტო არჩევნების სამივე ტურზე კიევში იმყოფებოდნენ, ხმამაღლა არ ამბობენ, მართლაც მიდის თუ არა ბრძოლა კიევში წასვლისათვის. თუმცა, ჩვენთვის დანამდვილებით არის ცნობილი, რომ რამდენიმე აქტივისტი დეპუტატი (ბუნებრივია, ისინი, ვინც უკრაინაში იმყოფებოდნენ), ოფიციალურ დელეგაციაში მოხვედრას და კიევში წასვლას დღემდე ცდილობს.

*თამარ ასათიანი*

## გიგა ბოკერია - პარლამენტმა ქვეყნის მოწყობის ახალი მოდელი უნდა შეიმუშაოს

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის გიგა ბოკერიას განცხადებით, საკონსტიტუციო ცვლილებების მიღების შემდეგ პარლამენტმა ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ახალი მოდელი უნდა შეიმუშაოს.

ბოკერია არ გამორიცხავს, რომ აღნიშნული ცვლილების მიღების შემდეგ მაჟორიტარ დეპუტატთა არჩევნები განსხვავებული სისტემით განხორციელდეს. "საქართველოში, სხვადასხვა რაიონში სხვადასხვა რაოდენობის მოსახლეობა ცხოვრობს. ყაზბეგის რაიონში 5000 ამომრჩევლის მიერ არჩეული მაჟორიტარი დეპუტატი და გლდანის რაიონში 30 ათასი ამომრჩევლის მიერ არჩეული პარლამენტარი ერთნაირი უფლებამოსილებითა და მანდატით სარგებლობს. ამიტომაც შესაძლოა, ერთ რაიონს რამდენიმე დეპუტატი ჰყავდეს," - აღნიშნა მან. **ინტერ-პრესი**

## საახალწლო ფული და დედიშობილა ნაძვის ხე

ბექა სისაური

*ქუთაისიდან*

2 იანვარს ნაბახუსევზე გაღვიძებული ქუთაისელები თვალებს არ უჯერებდნენ, როდესაც ქალაქის ცენტრში, პირველი სკოლის წინ, "პლასტმასის" ნაძვის ხე დახვდათ და ისიც ყოველგვარი სათამაშოების და მოსართავების გარეშე. დიდი მოკაზმულობით არც მეორე ნაძვის ხე გამოირჩეოდა (ამჯერად ბუნებრივი), რომელიც ასევე ქალაქის ცენტრში, თეატრის წინ დგას. კირკიმალა ქუთაისელებმა მასზე ჯერ კიდევ შაშიაშვილის და ასლან აბაშიძისეული ნაძვის ხეების სათამაშოები შეიცნეს, რამაც გულჩვილ ადამიანებში მჭერმეტყველი გუბერნატორის მიმართ ნოსტალგიის გრძნობაც კი აღძრა. არადა, წინასაახალწლოდ ადგილობრივმა თვითმმართველობამ პომპეზურად გამოაცხადა, რომ ახალი წლის დღეებისათვის ისინი 29 000 ლარს დახარჯავდნენ. შედეგად კი აღნიშნული თანხიდან ერთი ნორმალური ნაძვის ხის დადგმაც ვერ მოახერხეს. ერთადერთი, რის მიმართაც ქუთაისელები კმაყოფილებას გამოხატავდნენ, 31 დეკემბერს, ღია ცის ქვეშ ჩატარებული კონცერტი და ოპერის თეატრში გამართული საბავშვო წარმოდგენები გახლდათ.

არადა, ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებლის გია გიორგაძის შესაბამის განკარგულებაში 29 000 ლარის ხარჯვა დეტალურადაა გაწერილი. მათ შორის, ხელოვნური ნაძვის ხის მოსართვად, რომელიც საბოლოოდ მოურთავი დარჩა, 1232 ლარია გამოყოფილი. ამ ნაძვის ხეს თავისი პატარა ისტორია აქვს, რომელიც ასლან აბაშიძეს უკავშირდება. რადენიმე წლის წინ მან ქუთაისს ლამაზი ხელოვნური ნეძვის ხე გადასცა, თავის სათამაშოებიანად. წელს კი ქუთაისის მერიამ "აბაშიძის ნაძვის ხეს" არათუ ახალი სათამაშოები შემატა, არამედ "კუთვნილიც" ჩამოხსნა და თეატრის წინ მდგარ ნაძვის ხეს შეაბა. მერის განკარგულების მიხედვით კი, მარტო ხელოვნურ ნაძვის ხეზე 150 ძველი და ახალი სათამაშო უნდა დაეკიდებინათ. ასევე გათვალისწინებული იყო ფერადი ნათურების, მიკრონათურების ბადეების, ნათურების მორბენალი დისკოების და სხვა დეტალების დამზადებაც, მაგრამ... **"დედიკო ამ ნაძვის ხის სათამაშოები მოიპარეს?"** - ეკითხებოდა ერთ-ერთი პატარა დედას.

აღნიშნულ ფაქტს კი ქუთაისის ვიცე-მერი გივი ჯიბლაძე ქუთაისის ცენტრში ერთი ლამაზი ნაძვის ხის დადგმის სურვილით ხსნის. **"გადავწყვიტეთ, რომ სათამაშოებით თეატრის წინ მდგარი ნაძვის ხე მაქსიმალურად დაგვეტვირთა,"** - განაცხადა ჯიბლაძემ. გამოდის, რომ ქუთაისის მერიამ 1232 ლარი ხელოვნური ნაძვის ხის მარტო დაშლა-აწყობაში გადაიხადა, მაგრამ "ცენტრალური" ნაძვის ხეც რომ არ გამოიყურებოდა "დატვირთულად". არსებობს ეჭვი, რომ სათამაშოები არც თეატრის წინ მდგარი ბუნებრივი ნაძვისთვის შეუძენიათ (არადა, მერის განკარგლებაში ამისათვის 2822 იყო გამოყოფილი), ძველი სათამაშოები კი საკმარისი არ აღმოჩნდა.

ქუთაისის მუნიციპალიტეტებში (ასეთი თორმეტია) საახალწლო ნაძვის ხეების მოსაწყობად 3000 ათასი ლარი გამოიყო. მარტივი არითმეტიკის მიხედვით ირკვევა, რომ 12 ნაძვის ხიდან თითოზე 250 ლარი უნდა დახარჯულიყო. მუნიციპალიტეტებში კი იმდენად გასაცოდავებული და უსახური ნაძვის ხეები დადგეს, რომ არც ერთი თავმოყვარე იმერელი გლეხი ეზოში არ დადგამდა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ქუთაისის მერმა გია გორგაძემ განმარტა, რომ ამ თანხიდან, მუნიციპალიტეტებმა ზოგიერთ მოსახლეს ახალი წელი თოვლის ბაბუების მეშვეობით მიულოცეს. საბოლოოდ კი აღნიშნული თანხით ვერც ნაძვის ხეები დადგეს და ისიც უცნობი დარჩა, რეალურად რამდენ მოსახლეს მიულოცეს ახალი წელი თოვლის ბაბუებმა. უფრო მეტიც, ამ თანხიდან გამარჯვების მუნიციპალიტეტში ახალი ნაძვის ხის შეძენის ნაცვლად, სკვერში ბუნებრივად ამოსული ნაძვის ხე მორთეს. ნიკეას ქუჩაზე კი ნაძვის ხე რეგიონულმა გაზეთმა "ახალმა გაზეთმა" შეიძინა. მოსახლეობა ნაძვის ხის მოსართავად სხვა უბნებშიც ზრუნავდა, ამიტომაც აღნიშნული თანხის ხარჯვითი ნაწილი საფუძვლიან ეჭვს იწვევს.

ყველაზე კურიოზული კი უმწეოთა დასახმარებლად გაცემული საახალწლო ნობათებია, რაშიც მერიამ 9900 ლარი დახარჯა. 2000 უმწეოს, საახალწო საჩუქრების სახით, 2 პური, ერთი ცალი ძეხვი, 1,5 ლარად ღირებული ტკბილეულის ნაკრები და 1 კგ შაქარი დაურიგეს. **"კალბასით და პურით ისედაც პირი მქონდა გამოხალული და ახალ წელს, რა ჯანდაბად მინდოდა?"** - კითხულობდა გაკვირვებული პენსიონერი "ბაღის კიდეზე". გაირკვა ისიც, რომ აღნიშნული ნობათების გაცემა ჯერ კიდევ 5 წლის წინ შედგენილი სიებით წარმოებდა.

ავტობუსებზე ახალი წლის მისალოცი წარწერების გასაკეთებლად ტრანსპორტის სამსახურს 750 ლარი გამოუყვეს. ქუთაისის მერი გია გიორგაძე აცხადებს, რომ ქალაქში თურმე ორი ასეთი ავტობუსი მოძრაობდა.



გაძარცვული ასლან ბაბუს ნაძვის ხე.

ბექა სისაურის ფოტო

**"მადლობელი ვარ, რომ ჩვენს ხარჯებს ასე დაკვირვებით ადევნებთ თვალს. თუკი თანხების მითვისებას აქვს ადგილი, ამ საკითხზე სამართალდამცავებმა უნდა იზრუნონ და დამნაშავე დასაჯონ, მაგრამ არის უზუსტობებიც. მაგალითად, საახალწლო წარწერები არა ერთ ავტობუსზე, არამედ ორზე გაკეთდა. მუნიციპალიტეტებში კი სამი ათასი ლარი მარტო ნაძვის ხეების მოსართავად არ დახარჯულა, აღნიშნული თანხით ოჯახებს, ახალი წლის მოსალოცად, თოვლის ბაბუები ეწვივნენ,"** - განაცხადა ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელმა.

ვიცე-მერი გივი ჯიბლაძე კი "24 საათს" უმტკიცებდა, რომ ნაძვის ხის მხოლოდ დაშლა-აწყობა 1232 ლარი დაჯდა: **"ამ თანხაში გადასახადებიც შედის, მათ გარეშე ნაძვის ხის დადგმა 750 ლარი დაჯდა. ჩვენ შემსრულებლებს ვქირაობთ. ფული გადავუხადეთ კონკრეტულ ორგანიზაციას, რომელმაც ნაძვი ააწყო. მიმაჩნია, რომ ნაძვის ხის დაშლა-აწყობა, გადასახადების გარეშე, 750 ლარიც შეიძლება დაჯდეს."** ქუთაისის უმუშევართა ბირჟაზე ნაძვის აწყობა 150 ლარად შეაფასეს. ბევრად მეტს არც კერძო ფირმები მოითხოვდნენ. აქედან გამომდინარე, ჩნდება ეჭვი, რომ ქუთაისის მერიამ ახალი წლის ღონისძიებებისათვის შესრულებულ სამუშაოებში, კონტრაქტორ ფირმებს, აშკარად იმაზე მეტი გადაუხადა, ვიდრე ის რეალურად ღირდა. შევარდნაძის პერიოდში კი ასეთი გარიგებების უკან კორუფცია იმალებოდა. ფინანსური პოლიცია ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის მუშაობას ამოწმებს, სწორედ აღნიშნულ სამსახურს ეხებოდა ქალაქის გაფორმება საახალწო დღეებში.

## "აქ ბევრი ზვიადაური გაიზრდება!"

მაია მოსიაშვილი

საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივითა და დავალებით, თეთრიწყაროში, 2005 წლის სექტემბერში, ძიუდოს სახელმწიფო სკოლა-ინტერნატი გაიხსნება. ამ წამოწყების საპრეზენტაციოდ გუშინ თეთრიწყაროში იმყოფებოდნენ ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებული, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე, ძიუდოს ფედერაციის წარმომადგენლები, ათენის ოლიმპიადის ვერცხლისა და ოქროს პრიზიორები ნესტორ ხერგიანი და ზურაბ ზვიადაური.

ძიუდოს სახელმწიფო სკოლა-ინტერნატში სწავლა უფასო იქნება. იქ 300 ბავშვი ისწავლის. მათ მოძიებას, მთელი საქართველოს მასშტაბით, ძიუდოს ფედერაცია თავის თავზე აიღებს. სპორტის ამ სახეობაში საქართველოს დიდი ტრადიციები და პოტენციალი აქვს, დამოუკიდებელ საქართველოს პირველი ოლიმპიური მედალი სწორედ ძიუდოომ მოუტანა. ათენის წარმატების შემდეგ ქართველ ძიუდოსტთა ამბიცია, ბუნებრივია, გაიზარდა და ამ ტიპის სასწავლების არსებობა მათ ღირსეული თაობის გაზრდის რეალურ საშუალებას მისცემს. ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტის დილარ ხაბულიანის თქმით, საქართველოში უამრავი ბავშვია, რომელთაც აქვთ ჭიდაობის ნიჭი, მაგრამ არ აქვთ ფინანსური შესაძლებლობა, საფუძვლიანად შეისწავლონ ის. ძიუდოს სახელმწიფო სკოლა-ინტერნატის არსებობა კი ამ პრობლემას გადაჭრის.



თეთრიწყაროს ძიუდოს სკოლას გამოჩენილმა სპორტსმენებმა დაულოცეს გზა.

მაია მოსიაშვილის ფოტო

თეთრიწყაროს ძველი სპორტული სკოლა-ინტერნატის შენობა, რომელიც ბოლო 15 წლის მანძილზე ცარიელი იყო, ევროპულ დონეზე გარემონტდება და მოეწყობა. მშენებლობა ნაწილობრივ ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ხოლო ნაწილობრივ სპორტის დეპარტამენტიდან დაფინანსდება.

ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულმა ზურაბ მელიქიშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქართული სპორტის განვითარება სახელმწიფოსათვის პრიორიტეტულია და ძიუდოს სახელმწიფო სკოლის შექმნის იდეა საქართველოს პრეზიდენტს ეკუთვნის. **"მჯერა, რომ აქ ბევრი ზვიადაური გაიზრდება,"** - განაცხადა მელიქიშვილმა.

გუშინვე ქვემო ქართლის ძიუდოს ფედერაცია დაფუძნდა, რომლის ხელმძღვანელად პარლამენტარი გია ხევიაშვილი აირჩიეს.

### მოკლედ

#### უცხოელმა ექსპერტებმა საქართველოს ხელისუფლებას რეკომენდაციები გააცნეს

საერთაშორისო კრიზისის ჯგუფმა ე. წ. სამხრეთ ოსეთის კონფლიქტთან დაკავშირებით მოამზადა ანგარიში "საქართველო: როგორ ავიცილოთ ომი სამხრეთ ოსეთში."

ანგარიში მოიცავს ქართულ-ოსური კონფლიქტის მიზეზების, 2004 წელს კონფლიქტის ზონაში დაპირისპირების ესკალაციისა და ამ ეტაპზე მშვიდობის დამყარების შესაძლებლობის კვლევას.

საერთაშორისო კრიზისის ჯგუფის კავკასიურმა ბიურომ ანგარიშზე მუშაობა 2004 წლის ივლისში დაიწყო და მასალების შეგროვების მიზნით, თბილისის გარდა, მოინახულა გორი, ცხინვალი, ვლადიკავკაზი და მოსკოვი.

საერთაშორისო კრიზისის ჯგუფი წარმოადგენს ბრიუსელში (ბელგია) დაფუძნებულ არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც კონფლიქტების პრევენციული ღონისძიებების ანალიზზე მუშაობს. ორგანიზაციის პრეზიდენტი და მთავარი აღმასრულებელია ავსტრალიის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი გარეთ ევანსი, საბჭოს თანათავმჯდომარეები კი არიან ევროკავშირის ყოფილი თავმჯდომარე ლორდ პატენი და ევროსაბჭოს საგარეო ურთიერთობათა ხელმძღვანელი ლესლი გებელი.

ამ დღეებში საერთაშორისო კრიზისის ჯგუფის კავკასიური პროექტის დირექტორი, დოქტორი საბინ ფრეიზერი შეხვდა სახელმწიფო მინისტრს კონფლიქტების მოგვარების საკითხში გიორგი ხაინდრავას და აღნიშნული ანგარიში გააცნო.

საერთაშორისო კრიზისის ჯგუფი თავის ანგარიშში საქართველოს ხელისუფლებას შემდეგ რეკომენდაციებს აძლევს: რეგიონის დემილიტარიზაცია; შერეული საკონტროლო კომისიის ყველა გადაწყვეტილების უპირობო შესრულება; მშვიდობის დამყარების პროცესში საზოგადოების აქტიური ჩართვა; კონფლიქტის ზონაში ეკონომიკური და სოციალური სფეროების განვითარების დაფინანსების მიზნით საქართველოს 2005 წლის ბიუჯეტიდან თანხების გამოყოფა; კანონის მიღება, რომელიც უზრუნველყოფს 1990-1992 წლების კონფლიქტისას დაზარალებულთა ქონების რესტიტუციასა და კომპენსაციას; რუსეთთან, კერძოდ კი, ჩრდილოეთ ოსეთთან ეკონომიკური თანამშრომლობის გაძლიერება და საბაჟო პოლიტიკის შეთანხმება, რაც ხელს შეუწყობს ტრანსკავკასიურ გზაზე ტვირთების თავისუფალ გადაადგილებას; სამხრეთ ოსეთის სტატუსზე მსჯელობის დაწყება როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო და მოწინააღმდეგე მხარის ექსპერტებთან.

უცხოელი ექსპერტები რეკომენდაციებით ასევე სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებასაც მიმართავენ: კონფლიქტის ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილების გარანტირება; ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის შინ დაბრუნების ხელშეწყობა; კონფლიქტის საბოლოო მოგვარების, ასევე ტერიტორიული სტატუსის დადგენის მიზნით, ქართულ მხარესთან მოლაპარაკებებში მონაწილეობა.

სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების მოგვარების საკითხებში გიორგი ხაინდრავა მიიჩნევს, რომ მხოლოდ ქართული მხარის ძალისხმევა "სამხრეთ ოსეთში" მშვიდობის დასამყარებლად საკმარისი არ არის, თუ ოსური მხარე თავის ვალდებულებებს არ შეასრულებს. საერთაშორისო კრიზისის ჯგუფი, სახელმწიფო მინისტრის შენიშვნების გათვალისწინებით, ანგარიშზე მუშაობას კვლავ გააგრძელებს. **მედია-ნიუსი**

### ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ზამთრის სესიაზე 23 იანვარს გაემგზავრება. როგორც საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის წარმომადგენელმა, პარლამენტარმა ელენე თევდორაძემ განაცხადა, სესიაზე ევროსაბჭოს ასამბლეა მონიტორინგის კომიტეტის მომზადებულ მასალას წარადგენს, რომელიც საქართველოს მიერ ევროსაბჭოს წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულებას შეეხება. მისი მონაცემებით, მონიტორინგის კომიტეტს მოხსენების პროექტი უკვე მზად აქვს. საქართველო ევროსაბჭოში 1999 წელს გაწევრიანდა და გაწევრიანებისას რამდენიმე ათეული ვალდებულება აიღო. მათგან 33 კიდევ შესასრულებელია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ნიკოლოზ რურუა არ იზიარებს დეპუტატ კახა კუკავას განცხადებას იმის თაობაზე, რომ საქართველოს არმიას რეფორმა არ შეხებია, ხოლო ამერიკელთა მიერ გაწვრთნილ კომანდოსებს მხოლოდ სამშვიდობო მისიის შესრულება აკისრია. ნიკოლოზ რურუას განცხადებით, "ჯარი არ შეიძლება პოლიტიკური მნიშვნელობის იყოს, იგი აპოლიტიკური ინსტიტუტია. ამიტომ, ჩემს კოლეგას ვარ დავეთანხმები," - აღნიშნა ნიკა რურუამ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს შეიარაღებული ძალების მორიგი სამშვიდობო დანაყოფის ერაყში გამგზავრება თებერვლისთვის გადაიდო. როგორც თავდაცვის სამინისტროში განაცხადეს, პირველი მექანიზირებულ-მოტომსროლელი ბრიგადის მესამე, "შავნაბადას" ბატალიონის ერაყში გამგზავრება ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული პრობლემების გამო შეფერხდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და ამიერკავკასიაში რუსეთის სამხედრო დაჯგუფების შტაბი ერთმანეთის გვერდი-გვერდ აღარ იქნება. სამხედრო უწყება, სავარაუდოდ, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, საქართველოს თავდაცვის ეროვნული აკადემიის ბალანსზე არსებულ 9-სართულიან შენობაში განთავსდება. **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი, ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი).
დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია.
რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

## ფოტო-რეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო მწვანე ტალღის ეთერში FM 107.4 ყოველ სამშაბათს და შაბათს 11-დან 12 საათამდე უსმინეთ გადაცემას დილის სასამართლო. გავასამართლოთ სხვადასხვა მოვლენები, ისტორიული პირები და ლიტერატურული პერსონაჟები. გამოიტანეთ თქვენი ვერდიქტი, რადგანაც 12 ნაფიცი მსმენელი იქნებით თქვენ.

### "კონტრაცეფციის საშუალებების" სასამართლო პროცესი





**განსასჯელი** - კონტრაცეფციული საშუალებები

**მბრალდებელი - ლევან ჟვანია, კრწანისის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის მრევლი, ფინანსისტი:**

იესომ უთხრა თავის მოწაფეებს: "შეუძლებელია არ მოვიდეს ცდუნებები, მაგრამ ვაი მას, ვისი მეშვეობითაც მოვა! მისთვის უმჯობესი იქნებოდა, წისქვილის ქვა დაეკიდათ კისერზე და ზღვაში გადაეგდოთ, ვიდრე ერთი ამ მცირეთაგანი ეცდუნებინა" - ლუკას სახარება, მე-17 თავი, 1-2 მუხლი.

"ადამიანები, რომლებიც ჰკლავენ ბავშვებს საკუთარი სხეულის წიაღში, ჰგვანან ჰეროდეს, რომელმაც შეჰმუსრა 14 ათასი ყრმა, რათა არავის შესძლებოდა მისთვის ხელის შეშლა ცხოვრებაში" - წერს მიტროპოლიტი მელეტი, და დასძენს : "ისინი ჰეროდეზე უარესნი არიან, რადგან ეს ყრმები, ყოველ შემთხვევაში, მისი საკუთარი შვილები არ ყოფილან".

**ადვოკატი - ნანი მარსაგიშვილი, ი.ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო ინსტიტუტის შობადობის რეგულირების განყოფილება, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი:**

"კონტრაცეფცია არის ხელოვნური აბორტის ალტერნატივა, და ყველა ადამიანს აქვს არჩევანის უფლება ოჯახის დაგეგმვის მეთოდებთან მიმართებაში".

**ბრალდება** - "კონტრაცეფციული საშუალებები" წარმოადგენს თანამედროვე ქართული საზოგადოებისთვის მიუღებელ და უცხო ფენომენს და იგი მხოლოდ ნეგატიურ გავლენას ახდენს ქართულ საზოგადოებაზე.

**ბრალმდებლის მოთხოვნა** - "კონტრაცეფციის საშუალებები" საქართველოს ტერიტორიაზე აიკრძალოს

**ვერდიქტი** ნაფიც მსაჯულთა აზრი თანაბრად გაიყო (6 6-ზე), შესაბამისად, "კონტრაცეფციული საშუალებების" საქმე განხილულ იქნეს მეორე მოსმენით .

**12 ნაფიცი მსმენელი:**

1. კობა სუბლიანი (უდანაშაულოა)
2. ნინო ჟვანია (უდანაშაულოა)
3. ანდრი აბაშიძე (დამნაშავეა)
4. სოფიო ლეჟავა (უდანაშაულოა)
5. დიტო ქართველიშვილი (უდანაშაულოა)
6. გიო ზაალიშვილი (უდანაშაულოა)
7. სოფიო ვარდოსანიძე (უდანაშაულოა)
8. ლია თავხელიძე (დამნაშავეა)
9. ნოდარ ქართველიშვილი (დამნაშავეა)
10. ვენერა იაკობიძე (დამნაშავეა)
11. ვასო გაბუნია (დამნაშავეა)
12. გრინკა ობოლაძე (დამნაშავეა)

## ქართულ-აფხაზური ელდორადო

პირველი გვერდიდან

ლაშა ტუღუში და კონცეფციის დანარჩენი ავტორები (დავით უსუფაშვილი, ვახტანგ ხმალაძე, პაატა ზაქარეიშვილი) გამოდიან ინიციატივით, რომ საქართველო-აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრის ორივე მხარეს შეიქმნას ეკონომიკური განვითარების ზონა (ეგზ), რომელიც იქაური ქართველებისა და აფხაზებისთვის ერთგვარ ელდორადოდ იქცევა და მათ თანაცხოვრების სურვილს გაუღვივებს. ის არ იქნება თავისუფალი ეკონომიკური ზონა კლასიკური გაგებით, თუმცა მის ბევრ ელემენტს აუცილებლად გაიმეორებს. ეგზ-ს მართვა მოხდება ორი ცენტრიდან ერთობლივად, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ან შერეულად, იმის მიხედვით, თუ რაზე შეთანხმდებიან მხარეები. სამომავლოდ ნავარაუდევია ეგზ-ს "გატანა" კონფლიქტის ზონის გარეთ და ანალოგიური ლოკალური ზონების ჩამოყალიბება სოხუმში, გაგრაში, ოჩამჩირეში, სენაკში, ფოთში და ა.შ.

ლაშა ტუღუშის განმარტებით, თუ აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება ამ ინიციატივაზე არ წამოვა, ეკონომიკური განვითარების ზონას ქართული მხარე მდინარე ენგურის მარჯვენა მხარეზე მაინც შექმნის და ამით აფხაზ მოსახლეობასაც დააინტერესებს. პროექტის მთავარი ავტორის თქმით, ეგზ-ს ჩამოყალიბებას აუცილებლად მოჰყვება ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, რაც, თავის მხრივ, დევნილების დაბრუნების ხელშემწყობ პირობად იქცევა.

ნავარაუდევია, რომ ეკონომიკური განვითარების ზონაში ფინანსური ურთიერთობები, პირველ ეტაპზე, სტიქიურად დარეგულირდება და, ძირითადად, გამოყენებული იქნება სამი ვალუტა: ქართული ლარი, რუსული რუბლი და აშშ დოლარი.

სახალხო დამცველის ოფისში გუშინ წარმოდგენილ პროექტში, ცხადია, განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი უსაფრთხოების საკითხებს. ლაშა ტუღუშს მიაჩნია, რომ დღევანდელი სქემა (დსთ-ს სამშვიდობო ძალებს პლუს გაერო-ს დამკვირვებლები) დიდი ხანია, მოძველდა და აღარ ამართლებს. ამიტომ,



პროექტის ავტორები პრეზენტაციაზე.

ვახტანგ ბესელიას ფოტოები

ოპტიმალურად მიჩნეულია ვარიანტი, რომლის მიხედვითაც, ადმინისტრაციული საზღვრის უშუალო სიახლოვეს უნდა განლაგდნენ პოლიციის ფუნქციებით აღჭურვილი სამშვიდობო ძალები, ხოლო მოშორებით - ადგილობრივი პოლიცია. ტუღუშის განცხადებით, ეკონომიკური განვითარების ზონაში საერთო მონიტორინგი გაერო-ს ან სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების დამკვირვებლებმა უნდა განახორციელონ.

პროექტის ავტორები მიიჩნევენ, რომ აღნიშნული მოდელი, მოდიფიცირებული სახით, ცხინვალის რეგიონშიც შეიძლება იქნეს გამოყენებული. ლაშა ტუღუში აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული საზღვრისპირა რაიონებისთვის განსაკუთრებული რეჟიმების ჩამოყალიბებას და ამ გზით საერთო ქართულ-აფხაზური ეკონომიკური ინტერესების შექმნას მსოფლიო თანამეგობრობა მხარს დაუჭერს და დააფინანსებს.

**"ეს დიდ თანხებთან არ არის დაკავშირებული. ყოველ შემთხვევაში, ომზე ნაკლები ნამდვილად დაჯდება,"** - ითქვა გუშინდელ პრეზენტაციაზე. ავტორების განცხადებით, მათი პროექტი აფხაზების გარკვეული ნაწილისთვის ცნობილია, მაგრამ კონცეფცია, პირველ რიგში, ქართული საზოგადოებისთვის უნდა იყოს მისაღები.

საზოგადოება კი ამა თუ იმ დოკუმენტის მიმართ, როგორც წესი, ერთსულოვანი არასდროს არ არის. ეს გუშინდელმა განხილვამაც დაადასტურა.

**"რატომ არ ჩააყენეთ საქმის კურსში აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობა?... მსგავსი პროექტები ჩვენ მიერ რამდენიმე წლის წინათ დაიწერა,"** - ასეთი პრეტენზიები გუშინ არაერთხელ გაისმა. პროექტის ავტორებს ყველაზე მძაფრად პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე დაუპირისპირდა: **"აფხაზური მხარე ჩვენთან თანამშრომლობას არ აპირებს, ჩვენ კი კარს ვუმტვრევთ. ეს დამამცირებელია... თუ ერთ რეგიონს ეკონომიკურ კომფორტს შევუქმნით, ხომ შეიძლება რომ სხვა კუთხეებმა თბილისს მოუწყონ კონფლიქტი?"**

მიუხედავად კრიტიკისა, დოკუმენტის ავტორები თავის სიმართლეში მაინც ღრმად არიან დარწმუნებული.

**"მოხარულიც კი ვიქნებით, თუ ჩვენი კონცეფცია დაწუნებული იქნება, ოღონდ, ვინმემ ჯერ მასზე უკეთესი უნდა შემოგვთავაზოს,"** - აცხადებს დავით უსუფაშვილი. მისი თქმით, როდესაც ლაპარაკია ქართველებსა და აფხაზებს შორის ნდობის დეფიციტზე, მისი აღმოფხვრა, პირველ რიგში, ერთობლივი ეკონომიკური ინტერესების შექმნის გზით უნდა მოხდეს. ნათქვამის საილუსტრაციოდ, უსუფაშვილს მაგალითად ენგურჰესი მოჰყავს, რომელიც წლების განმავლობაში ქართველებსა და აფხაზებს შორის ხიდის ფუნქციას ასრულებს.

უსუფაშვილი საერთო ეკონომიკურ ინტერესებში მოიაზრებს აგრეთვე კონფლიქტის ზონაში არსებული კონტრაბანდის ლეგალიზებასაც.

ცხადია, პროექტის "სიცოცხლისუნარიანობაში" ძალზე დიდი როლი ეკისრება რუსეთის პოზიციას. მართლაც, ძნელი წარმოსადგენია, მოსკოვის "კეთილი ნების გარეშე" კონფლიქტის ზონაში როგორ შეიძლება მოხერხდეს თუნდაც ეკონომიკური ხასიათის ძვრების დაწყება. რუსეთის პოზიციაზე კი სახელმწიფო მინისტრი გოგა ხაინდრავა არაორაზროვნად საუბრობს: **"რუსეთის მიზანი აფხაზეთის დასაკუთრებაა და ამისთვის ის ყველაფერს აკეთებს გეგმაზომიერად, თუმცა - არაგონივრულად. ამიტომ, ჩვენთვის გამოსავალი ის არის, რომ აფხაზებთან პირდაპირ დიალოგზე წავიდეთ".**

## მხოლოდ ნებაყოფლობითი შერიგების შედეგად მივაღწევთ მიზანს

პირველი გვერდიდან

ამ მხრივ აფხაზეთი უნდა აიძულოს საერთაშორისო საზოგადოებამ და ამაზე უნდა წავიდეს რუსეთიც. საქართველომ აუცილებლად უნდა გადადგას ნაბიჯი, მან უნდა განაცხადოს, რას სთავაზობს აფხაზეთს. ამის გარეშე მსოფლიო საზოგადოება აფხაზეთზე ზეწოლას არ მოახდენს.

თუ ჩვენ, ინტელიგენციის ზოგიერთი წარმომადგენლის მსგავსად, ვიტყვით, რომ მხოლოდ და მხოლოდ უნიტარიზმი გადაგვარჩენს, მსოფლიო საზოგადოების მხრიდან აფხაზებზე ზეწოლა გამორიცხულია. საუბარი უნიტარულ სახელმწიფოზე და შუა საუკუნეების ისტორიიდან მაგალითების მოყვანა სასაცილო და არამართებულია. საქართველოს ტერიტორიული მოწყობა მსახიობების და რეჟისორების საქმე არ არის.

ფედერალიზმი აფხაზეთის შემთხვევაში აბსოლუტური გამოსავალი არ არის, მაგრამ ფედერალიზმზე უარის თქმა ნიშნავს, რომ აფხაზეთს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ვაღიარებთ.

რესპუბლიკა საქართველოს ფედერაციის შემადგენლობაში - ასეთი სტატუსი მხოლოდ და მხოლოდ აფხაზეთს უნდა ჰქონდეს. აფხაზეთის რესპუბლიკას ექნება საშინაო საქმეებში დამოუკიდებლობა, გარდა თავდაცვის, საგარეო ურთიერთობებისა და უშიშროებისა. ეს არის კომპრომისული ვარიანტი, რომელიც საკმაოდ ძნელად მისაღწევია, მაგრამ სხვა გზა არ არსებობს.

**გიორგი ხუციშვილი,** *კონფლიქტოლოგი:*

ჩემი აზრით, აფხაზეთის შესახებ საზოგადოებაში ორი მარგინალური პოზიცია ჩამოყალიბდა: პირველი მდგომარეობს იმაში, რომ აფხაზებთან მოლაპარაკება არ არის საჭირო, ჩვენ მათ არანაირი სტატუსი არ უნდა შევთავაზოთ, კულტურული ავტონომიის გარდა. ეს არის ფანტაზია. ფედერაციის რაიმე ფორმის გაუთვალისწინებლად აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს ვერ დავიბრუნებთ.

მეორე ექსტრემალური პოზიცია გვთავაზობს, მოვიფიქროთ ისეთი მიმზიდველი და მომხიბვლელი მოდელი აფხაზებისთვის, რომ მათ სეპარაციას ინტეგრაცია არჩიონ. ჩემი აზრით, მისაღებია მოდელი, რომელიც წლების მანძილზე შემუშავდა საქართველოში, საერთაშორისო ორგანიზაციებთან კონსულტაციის შედეგად. აფხაზეთს უნდა შევთავაზოთ ავტონომიის სტატუსი, გაფართოებული უფლებებით. არავინ თქვას, რომ ავტონიმია არის დრომოჭმული. ამ წუთში ამერიკა აქტიურად მუშაობს იმაზე, რომ ავტონომიის სხვადასხვა სტატუსი და ფორმატი შესთავაზოს ყოფილ იუგოსლავიის ნაწილებს. ასიმეტრიული ფედერაცია, სადაც აფხაზეთს ეძლევა ავტონომიის სტატუსი გაფართოებული უფლებებით, ეს არის მაქსიმუმი იმისა, რაც ქართულ სახელმწიფოს შეუძლია აფხაზეთს შესთავაზოს.

დამღუპველია ფიქრი იმაზე (ამის თაობაზე ახლა კონცეფციები მუშავდება), რომ სუპერუფლებები მივანიჭოთ აფხაზებს, რათა ისინი შემოგვიერთდნენ. ამით მთელ ბრალს ვიღებთ საკუთარ თავზე, თითქოს ჩვენ ვართ ერთადერთი დამნაშავე მხარე და გამოსასყიდად პატიებას ვითხოვთ აფხაზებისგან.

6 იანვარს "24 საათში" გამოქვეყნდა წერილი, რომელზეც ძალიან კარგი პასუხია გაცემული თქვენსავე გაზეთის გუშინდელ ნომერში. მხედველობაში მაქვს გურამ მაღლაკელიძის სტატია - "რას აირჩევს პრეზიდენტი", სადაც გაბათილებულია ის ოთხი წინაპირობა, რაც წერილის ავტორებმა წამოაყენეს. მე მომზადებული მქონდა ანალოგიური წერილი, მაგრამ მისი დაბეჭდვა საჭირო არ იქნება, რადგან გურამ მაღლაკელიძემ ჩემზე უკეთესად გასცა პასუხი.

ის გზა, რომელსაც სთავაზობენ პრეზიდენტს (რომ აფხაზებთან ნდობის აღსადგენად მოვიფიქროთ "კანფეტები" აფხაზებისთვის, მათ სასათბურე პირობები შევუქმნათ), არანაირ კავშირში არ არის სახელმწიფოებრივ აზროვნებასთან. ახლა არის მცდელობა, პრეზიდენტს თავს მოახვიონ ისეთი გზა, რომელიც კონფლიქტის ზონებისთვის და მათი დამცველებისთვის უფრო უსაფრთხო იქნება. პრეზიდენტს არ აქვს უფლება, ამ თამაშში ჩაერთოს.

**არჩილ გეგეშიძე,** *ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში:*

საკამოდ რთული პრობლემაა და მისი მოგვარების პროცესიც, შესაბამისად, მძიმე იქნება. ამ პროცესის შემადგენელი ნაწილი გახლავთ კონცეფცია აფხაზეთის ერთიან საქართველოს შემადგენლობაში სტატუსის შესახებ, რის გარშემოც ასეთი აჟიოტაჟია ატეხილი ქართულ საზოგადოებაში. მე გახლავართ ერთ-ერთი წევრი ჯგუფისა, რომელმაც შეიმუშავა კონცეფციის ვარიანტი, იგი ეფუძნება საქართველოს მოწყობას ასიმეტრიული ფედერალიზმის პრინციპებზე.

ნებისმიერი კონცეფციის რეალიზება მთელი რიგი პირობების შექმნას საჭიროებს. ყველაფერი უნდა ეფუძნებოდეს ერთიანად გათვლილ სტრატეგიას, რომელიც უნდა მოიცავდეს როგორც საკუთრივ საქართველოს ხელისუფლების და ქართული საზოგადოების, ასევე აფხაზური მხარის, დასავლეთის, იგივე რუსეთის ქმედებებს. რაც მთავარია, საქართველოს საზოგადოებაში ერთხელ და სამუდამოდ უნდა მივაღწიოთ კონსენსუსს აფხაზეთის პრობლემის მოგვარების შესახებ.

ჩემი აზრით, მხოლოდ ნებაყოფლობითი შერიგების შედეგად მივაღწევთ მიზანს. ამისათვის, უპირველესად, უნდა დაინგრეს მტრის ხატი, ჩვენი სახით. ჯერჯერობით ჩვენი ხელისუფლება აფხაზეთში ორაზროვან მესიჯებს აგზავნის. ერთი მხრივ, აფხაზებს შერიგებას სთავაზობს, მეორე მხრივ, ძალისმიერი მეთოდების გამოყენების შესაძლებლობაზეც მიანიშნებს. ამის ნათელი მაგალითია განცხადება იმისა, რომ ოქრუაშვილი თავდაცვის მინისტრად იქნება მანამ, სანამ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა არ აღდგება. ეს არ არის სწორი.

გარდა კომპლექსური სტრატეგიის შემუშავებისა, საჭიროა ქართული სახელმწიფოს გარდაქმნა, მეტი დემოკრატია, საბაზრო ეკონომიკის განვითარება. საქართველო აფხაზეთისთვის მიმზიდველი უნდა გახდეს. პარალელურად, აფხაზეთში უნდა წარიმართოს დასავლური ლიბერალური ღირებულებების პროპაგანდა. აფხაზმა უნდა დაინახოს, რომ არსებობს ალტერნატივა, რომელიც მის ეროვნულ მიზნებს და ამოცანებს უკეთ დაიცავს.

## "კლოუნადა" - აფხაზური შეფასება

პირველი გვერდიდან

**"სტატისტიკის სამმართველოს ოფიციალური ინფორმაციით, აფხაზეთში 168 ათასი მოქალაქეა, რომელთაც ხმის მიცემის უფლება აქვთ. პრეზიდენტის საშემოდგომო არჩევნების დროს ძირითად და დამატებით სიებში შეყვანილი იყო 137 ათასი მოქალაქე, ხოლო დღეს ლაპარაკია 114 ათას მოქალაქეზე. ეს ნიშნავს, რომ რესპუბლიკის ყოველი მესამე მოქალაქე სიაში თავს ვერ იპოვის და ხმას ვერ მისცემს,"** - განაცხადა ლაკობამ.

მისივე აზრით, საპრეზიდენტო არჩევნებისათვის ხელისუფლება ყველაფერს ნაჩქარევად აკეთებს, რის გამოც შედეგი სამართლიანი ვერ იქნება.

ლაკობა დღევანდელ არჩევნებს "კლოუნადას" უწოდებს.

აფხაზეთის "სოციალურ-დემოკრატიული პარტია", რესპუბლიკური პარტია "აფსნი", სამშობლოს დამცველთა კავშირი, საზოგადოება "აფსადგილი", აფხაზეთში რუსეთის ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლობა 12 იანვრისთვის დანიშნული საპრეზიდენტო არჩევნების წინააღმდეგ გამოდის, რის შესახებაც ნათქვამია მათ მიერ გავრცელებულ ერთობლივ განცხადებაში.

განცხადების ავტორთა აზრით, პრეზიდენტობის და ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატებს - სერგეი ბაგაფშსა და რაულ ხაჯიმბას შორის 6 დეკემბერს ხელმოწერილი შეთანხმების საფუძველზე, აფხაზეთში ხელახალი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება აფხაზურ საზოგადოებაში კიდევ უფრო დიდ დაპირისპირებას გამოიწვევს, ვინაიდან **"ხელისუფლება არჩევნების ჩატარებულად გამოცხადებას იმ შემთხვევაშიც გეგმავს, თუ მასში ამომრჩეველთა დიდი ნაწილი არ მიიღებს მონაწილეობას."**

განცხადების ავტორები ხელისუფლებისგან ახალი საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნას, ამომრჩეველთა სიების დაზუსტებას და აფხაზეთში დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას მოითხოვენ.

აფხაზეთში 12 იანვრისათვის დანიშნული საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებას ასევე აპროტესტებენ აფხაზეთის სამეცნიერო-შემოქმედებითი ინტელიგენცია, პარლამენტის სამი მოწვევის დეპუტატები და სოხუმის საკრებულოს თითქმის მთელი შემადგენლობა. მათი აზრით, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ამომრჩეველთა სიები განზრახ შეამცირა. გარდა ამისა, მათი აზრით, მოსახლეობის სრულ პასპორტიზაციამდე არჩევნების არსებული სიებით ჩატარება ყველა შემთხვევაში ფალსიფიცირებული იქნება.

ამასობაში, საპრეზიდენტო არჩევნებზე დამკვირვებლის სტატუსით ჩასული, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ვიცე-სპიკერი სერგეი ბაბურინი დაპირებებს იძლევა და დანიშნული საპრეზიდენტო არჩევნების წარმატებულად ჩატარების შემთხვევაში, აფხაზეთის მოსახლეობას სათათბიროს მიერ რუსეთსა და აფხაზეთს შორის ასოცირებული ურთიერთობების შესახებ ხელშეკრულების გაფორმების საკითხის განხილვას ჰპირდება.

მისი თქმით, რუსეთის ხელისუფლება იმედოვნებს, რომ არჩევნების ნორმალურად ჩატარების შემთხვევაში, აფხაზეთში პოლიტიკური კრიზისი დასრულდება და რუსეთის ხელისუფლება აფხაზეთის ახალ ხელმძღვანელობასთან უფრო ეფექტურად ითანამშრომლებს.

**"შესაძლოა, უკვე 2005 წელს, რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში აფხაზეთის ასოცირებული წევრობის საკითხი განიხილოს,"** - აღნიშნა ბაბურინმა, რომლის მონაცემებით, რუსეთის სათათბიროს თავმჯდომარე ბორის გრიზლოვი მზადაა, არჩევნების დასრულების შემდეგ აფხაზეთის ახალ ხელისუფლებას შეხვდეს.

აფხაზეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობებს შეეხო რაულ ხაჯიმბაც: **"რუსეთი ჩვენ ხელს არ გვკრავს. მას თავისი გეოპოლიტიკური ინტერესები აქვს, რაც გათვალისწინებული უნდა იქნეს, მაგრამ აფხაზეთს საკუთარი ინტერესები აქვს,"** - თქვა მან და რატომღაც ხაზი გაუსვა, რომ აფხაზეთის ხელისუფლებას არასოდეს განუცხადებია, რომ რუსეთის შემადგენლობაში შესვლა სურს.

**"ჩვენ დამოუკიდებელი სახელმწიფო ვართ, რომელმაც ურთიერთობები უნდა დაამყაროს მისთვის ხელსაყრელი პირობებიდან გამომდინარე,"** - ხაზგასმით აღნიშნა ხაჯიმბამ.

საქართველოზე საუბრობს პრეზიდენტობის კანდიდატი სერგეი ბაგაფში.

მისი თქმით, საქართველოსთან დაკავშირებით **"ყველაფერი უკვე გარკვეულია"** და **"შესაბამისი სურვილის შემთხვევაში, აფხაზეთის ახალი ხელისუფლება ქართულ მხარესთან დიალოგს მხოლოდ თანასწორუფლებიანობის პოზიციით გამართავს."**

ბაგაფშის განცხადებით, პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში, იგი რუსეთთან აფხაზეთის პირველი პრეზიდენტის ვლადისლავ არძინბას პოლიტიკური კურსის გაგრძელებას აპირებს, რომლის ფარგლებში აფხაზეთის კანონმდებლობის რუსულთან შესაბამისობაში მოყვანას, აფხაზეთში რუსული ინვესტიციების მოზიდვას და **"ქვეყნის მხოლოდ კანონებით მართვას"** ვარაუდობს. ამასთან, პრეზიდენტობის კანდიდატის განცხადებით, იგი და მისი თანაგუნდელები დანაშაულთან, კერძოდ, ნარკომანიასთან და კორუფციასთან დაუნდობელ ბრძოლას გამოაცხადებენ და ხელისუფლების ორგანოების სერიოზულ რეფორმას განახორციელებენ.

# შეინარჩუნებს თუ არა საქართველო "გაზის კორპორაციას"

## "გაზის საერთაშორისო კორპორაციის" შესაძლო გასხვისებასთან დაკავშირებით ატეხილი სკანდალი ცრუ განგაში აღმოჩნდა

*"საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის" აქციათა ნაწილი, შესაძლოა, საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხაში მოხვდეს, მაგრამ - სამომავლოდ. ყოველ შემთხვევაში, იმის შესახებ, რომ აქციათა ნაწილის გაყიდვა გაზსადენის რეაბილიტაციისთვის სახსრების მოძიების ერთ-ერთი რეალური გზაა, ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა და გაზის საერთაშორისო კორპორაციის თავმჯდომარემ დავით ინგოროყვამ ღიად არაერთხელ განაცხადეს. თუმცა, მინისტრი ამ თემის წამოწევას ერიდება: მისი განმარტებით, საქართველოს მაგისტრალური გაზსადენის გაყიდვა-შენარჩუნების საკითხის გადაწყვეტა ეკონომიკის სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროსა და პრემიერ-მინისტრის კომპეტენციაში შედის. როგორც გაირკვა, ჯერჯერობით, სამინისტროს ეკონომიკის სამინისტროსთვის მსგავსი წინადადებით არც მიუმართავს.*

ნიკა მარიამიძე

გილაურის თქმით, შემუშავებულია საქართველოს გაზის სექტორის განვითარების გეგმის ხუთი ვარიანტი, რომელთაგან ერთ-ერთი "საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის" აქციათა პაკეტის ნაწილის გასხვისებასაც ითვალისწინებს. თუმცა, მინისტრის განმარტებით, ეს მხოლოდ ერთ-ერთი ვარიანტია, რომელთან შედარებითაც პრიორიტეტი ნებისმიერ სხვა ვარიანტს შეიძლება მიენიჭოს.

როგორც ცნობილია, პარალელურად "გაზპრომთან" გრძელდება მოლაპარაკება "ხანგრძლივი თანამშრომლობის პერსპექტივების" თაობაზე.

ამ "პერსპექტივებში" ყველაზე რეალურად კვლავ რჩება ერთობლივი საწარმოს შექმნის იდეა - საქართველოსა და რუსეთის მხარეების თანაბარი წილობრივი მონაწილეობით.

საგანგებო ბრიფინგი ენერგეტიკის მინისტრმა გაზის სექტორის სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავებაში სამინისტროს მიერ მიწეულ წარმატებებს მიუძღვნა. კერძოდ, გაირკვა, რომ საქართველო-აზერბაიჯანის მაგისტრალური გაზსადენის რეაბილიტაცია უკვე დასრულებულია და საქართველოს გაზის მიღების ალტერნატიული წყარო გაუჩნდა. **"მაგისტრალის დაზიანებული მონაკვეთის აღსადგენად სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1 მილიონი ლარი დაიხარჯა. ჩატარებული სამუშაოს შედეგად შესაძლებელი გახდა, საქართველომ აზერბაიჯანიდან 800 კუბური მეტრი ბუნებრივი აირი მიიღოს,"** - განაცხადა გილაურმა. მისი თქმით, ირანთან უკვე მიმდინარეობს მოლაპარაკება გაზსადენის მასშტაბური რეაბილიტაციისთვის გრანტის გამოყოფის თაობაზე, რის შემდეგაც მილსადენში 3 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი აირის გატარება და იმპორტის განხორციელება იქნება შესაძლებელი.

ამასთან, ენერგეტიკის სამინისტრომ, "გაზის საერთაშორისო კორპორაციასთან" ერთად, გაზის სექტორის განვითარების 20-წლიანი გეგმა შეიმუშავა, რომელიც ქვეყანაში არსებული ბუნებრივი გაზის მაგისტრალური გაზსადენის სისტემის გამართული ფუნქციონირებისათვის აუცილებელ ღონისძიებებს ითვალისწინებს. მინისტრის თქმით, ეს გეგმა დღის სინათლეს 12 იანვარს, საქართველოს მთავრობის სხდომაზე იხილავს. მანამდე კი, მისი განხილვა-გაანალიზებით სამინისტროს ექსპერტები არიან დაკავებულნი.

**"გეგმაში გათვალისწინებულია ქვეყნის ეკონომიკის ზრდის პერსპექტივა, და, შესაბამისად, გაზზე მოთხოვნის ზრდის ტემპები. გათვალისწინებულია შაჰდენიზის მილსადენის ამუშავების ფაქტორი და შესაძლო დივერსიული პროცესებიც კი,"** - განაცხადა გილაურმა. მისი თქმით, არ არის გამორიცხული, დარგის რეაბილიტაციის მიზნით, სექტორში უცხოური მენეჯმენტის მოწვევა გახდეს საჭირო. ისიც შესაძლებელია, რომ დარგი დონორებმა, ან სახელმწიფომ დააფინანსონ.

ენერგეტიკის სამინისტროს მონაცემებით, გაზსადენი სასწრაფო რეაბილიტაციას საჭიროებს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, **"მომავალ ხუთ წელიწადში სისტემა, შესაძლოა, მთლიანად დაინგრეს".** კერძოდ, ჩრდილო-სამხრეთის მაგისტრალის სასწრაფო რეაბილიტაციისთვის (გაზსადენის მონაკვეთი, რომელიც რუსეთ-სომხეთს აკავშირებს) 40 მილიონი დოლარია საჭირო, სისტემის შემდგომ მდგრად განვითარებას დამატებით 60 მილიონი დოლარი ესაჭიროება, მის სრულ აღდგენას კი - 613 მილიონი დოლარი. მისივე ინფორმაციით, კორპორაციის აქტივების ღირებულება ამჟამად 64 მილიონი ლარია, კომპანიის დებიტორული დავალიანებების ოდენობა კი 34 მილიონ ლარს აღწევს.

"საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტის" დავით ინგოროყვას თქმით, გაზსადენთან დაკავშირებით გადაწყვეტილება სასწრაფოდ არის მისაღები. **"მილსადენს, რომელმაც 16 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი აირი უნდა გაატაროს, ამჟამად მხოლოდ 7 მილიარდი კუბური მეტრის გატარების შესაძლებლობა აქვს, რადგან 1992 წლიდან გაზსადენზე მასშტაბური სარეაბილიტაციო სამუშაოები არ ჩატარებულა,"** - თქვა მან და დასძინა, რომ სამინისტროსთან ერთობლივად შემუშავებული გეგმის სხვადასხვა ვარიანტებიდან, კორპორაცია საუკეთესოდ გაზსადენის რეაბილიტაციისთვის საჭირო თანხების მოსაძიებლად დებიტორული დავალიანების ამოღებას და ტრანსპორტირების თანხების სრულად მიღებას მიიჩნევს. მისი თქმით, მართალია, ამ შემთხვევაში კორპორაცია რეაბილიტაციისთვის საკმაო თანხებს ვერ მიიღებს, მაგრამ ამ პროცესის დაწყების საშუალება მაინც მიეცემა.

სხვათა შორის, "გაზის კორპორაციის" აქციათა სახელმწიფო საკუთრებაში შენარჩუნების იდეა არ მოსწონს ეკონომიკის ექსპერტ სოსო ცისკარიშვილს. მისი თქმით, **"ქონების ნაწილი უნდა დავთმოთ, რათა მეორე ნაწილმა გაზსადენის ფუნქციონირებიდან შემოსავლები მოგვცეს."**

# საპრივატიზაციო დოლი საქართველოში

პირველი გვერდიდან



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*ხელისუფლება "საქართველოს საოკეანო სანაოსნოსა" და "ჭიათურმანგანუმის" ტენდერის, უფრო სწორად - სატენდერო განაცხადების გახსნის პროცესისგან ხმაურიან შოუს დგამს.*

განაცხადების მიღება გუშინ საღამოს 6 საათზე დასრულდა. სამინისტროში ბოლო განაცხადი ვადის დასრულებამდე ნახევარი საათით ადრე შევიდა. 7 საათზე, როცა სახელმწიფო კანცელარიაში კომპანიების წინადადებები გახსნეს, საბოლოოდ გახდა ცნობილი ზუსტი სია იმ კომპანიებისა, ვინც საქართველოს ორი რეალურად სტრატეგიული საწარმოს პაკეტების შეძენის სურვილს აცხადებს:

დანიური "Greenoak Group", ავსტრიული "ASP-SHIP Managment", ბრიტანული "Marin kapital", გერმანული "shellor-ship Managment", თურქული "Koryat", რუსული "Проминвестор" და იტალიური "Co-Arma" - ასეთია "საქართველოს საოკეანო სანაოსნო"-ზე შეტანილი განაცხადების ავტორთა ნუსხა.

უკრაინული "Интерпаип", ავსტრიული "DCM-ფერო", ჩეხური "მორავაია ჯორჯია" და რუსული "Евразия Холдинг" ცდილობს "ჭიათურმანგანუმისა" და "ვარციხეჰესის" აქციათა პაკეტის მოპოვებას.

პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ სიის შემადგენლობა საკმაოდ შთამბეჭდავია, ანუ ორივე შემთხვევაში მოთამაშეები საკმაოდ ცნობილი კომპანიები არიან (ზოგიერთ მათგანზე, მათ შორის - მათთან დაკავშირებულ სკანდალურ ისტორიებზეც "24 საათი" უკვე წერდა).

**"ეს საქართველოს ისტორიაში პირველი პრეცედენტია, როდესაც საპრივატიზაციო კონკურსი საზოგადოების თვალწინ იმართება. ორივე ობიექტზე იმაზე მეტი განცხადება შემოვიდა, ვიდრე მთავრობა მოელოდა,"** - ასეთი იყო საქართველოს პრემიერის პირველი კომენტარი, რომელიც სახელმწიფო კანცელარიაში ჯერ კიდევ განაცხადების გახსნამდე გაკეთდა.

განაცხადების სახალხოდ გახსნის მიუხედავად, წინადადებების დეტალები საზოგადოებისთვის ცნობილი არ გამხდარა. პრემიერ-მინისტრმა ჟურნალისტებს, დეტალების გასაგებად, კომპანიებისთვის მიმართვა ურჩია, თავად კი პროცესი მეტად წარმატებულად შეაფასა:

**"წინასწარი მონაცემებით და შეფასებით, "საოკეანო სანაოსნოში" კომპანიები 17-დან 117 მლნ დოლარამდე იხდიან. შვიდი დაინტერესებული კომპანიიდან მხოლოდ ერთია აუტსაიდერი, დანარჩენები კი მთავრობას 100 მლნ დოლარზე მეტს სთავაზობენ. ეს ნიშნავს იმას, რომ კონკურენცია "საოკეანო სანაოსნოზე" სერიოზული იქნება და მთავრობას არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა გაუჩნდა,"** - განაცხადა ზურაბ ჟვანიამ.

რაც შეეხება "ჭიათურმანგანუმის" პრივატიზებას, პრემიერის თქმით, "ჭიათურმანგანუმში" კომპანიები 40-დან 67 მლნ. დოლარამდე იხდიან, ხოლო "ვარციხეჰესთან" ერთიან პაკეტში - 85-დან 117 მლნ. დოლარამდე.

**"უპირატესობას მივანიჭებთ იმ კომპანიებს, რომლებიც უფრო მაღალ თანხას დაასახელებენ. მნიშვნელოვანი იქნება ვადებიც,"** - განაცხადა ზურაბ ჟვანიამ.

გუშინვე ცნობილი გახდა, რომ ორივე შემთხვევაში გამოიკვეთა სამი ლიდერი კომპანია, თუმცა მათი ვინაობა არ დასახელებულა. სამაგიეროდ უკვე ცნობილია, რომ მარათონს გამოეთიშა იტალიური კომპანია "Co-Arma", რომელიც საოკეანო სანაოსნოში 17 მილიონის გადახდას გეგმავდა.

ამასთან, პრემიერის თქმით, დღეიდან ეკონომიკის სამინისტრო ინდივიდუალურ მოლაპარაკებებს დაიწყებს უცხოურ კომპანიებთან, ხოლო 10 დღეში საბოლოო პოზიცია ჩამოყალიბდება, რომელიც მოგვიანებით პრეზიდენტთან შეთანხმდება. ითქვა ისიც, რომ მოლაპარაკებების პროცესში გადახდილ ერთჯერად თანხასთან ერთად, მნიშვნელოვანი იქნება სხვა პირობებიც და ისიც, რომ ამ პროცესში, შესაძლოა, ამა თუ იმ კომპანიის მიერ შემოთავაზებული თანხის ოდენობა გაიზარდოს.

აქვე პრემიერ-მინისტრმა მოუწოდა უცხოურ კომპანიებს, გარანტიის სახით ეკონომიკის სამინისტროს დეპოზიტზე რამდენიმე მილიონი დადონ ან წარმოადგინონ სოლიდური უცხოური ბანკის გარანტია, რათა მთავრობა დარწმუნებული იყოს, რომ კომპანიების განზრახვა სერიოზულია.

### "ინტერპაიპის" სატენდერო განცხადების დეტალები:

"24 საათისთვის" გუშინ ცნობილი გახდა კორპორაცია "ინტერპაიპის" (უკრაინა) სატენდერო განცხადების დეტალები. ამ დეტალების თანახმად, კომპანია გამარჯვების ერთ-ერთი რეალური კანდიდატია:

კორპორაცია "ინტერპაიპის" დირექტორის პორტფელური სტრატეგიის საკითხებში იგორ შლიონსკის ინფორმაციით, კონსორციუმმა "პრიდნესტროვიე", რომელიც წარმოადგენდა "ინტერპაიპის" ინტერესებს, საქართველოს ხელისუფლებას "ჭიათურმანგანუმის" და "ვარციხეჰესის" კასკადში 117 მილიონი აშშ დოლარი შესთავაზა.

უახლოეს პერიოდში კომპანია აპირებს გაზარდოს წარმოება 400 ათას ტონამდე. კომპანია ასევე იღებს მუშა-მოსამსახურეთა ანაზღაურების საკითხის მოგვარებისა და ჭიათურაში სოციალური პროექტების განხორციელების ვალდებულებას.

იგორ შლიონსკის ინფორმაციით, კომპანიამ ჩაატარა წინასწარი კვლევები "ვარციხეჰესზე", რომლებმაც აჩვენა, რომ ჰესი თავის რეალურ შესაძლებლობებზე გაცილებით ნაკლები დატვირთვით მუშაობს. ჰესი საჭიროებს სერიოზული სარემონტო სამუშაოების ჩატარებას. ამიტომ მთლიანობაში ჯგუფი "ინტერპაიპი" საქართველოში სამი წლის მანძილზე 60 მილიონ დოლარზე მეტის ინვესტირებას გეგმავს.

გარდა ამისა, შლიონსკის ინფორმაციით, კომპანია აპირებს სოციალური პროექტების განხორციელებასაც, რომელთა შორის პირველ რიგში მოხდება საქართველოში გრუშევსკის სახელობის უკრაინული სკოლის რეაბილიტაცია.

კონსორციუმი "პრიდნესტროვიე" დაარსდა 2003 წელს, კორპორაცია "სამეცნიერო-სამრეწველო საინვესტიციო ჯგუფის "ინტერპაიპის" წევრების მიერ (შპს "Нижнеднепровский трубопрокатный завод" ГА УУ "Никопольский завод бесшовных труб "NIKO TUBE") ბანკ "კრედიტ-დნეპრთან" და სადაზღვეო კომპანია "აურასთან" ერთად.

კორპორაცია "სამეცნიერო-სამრეწველო საინვესტიციო ჯგუფი "ინტერპაიპი" 1990 წლიდან მოღვაწეობს მეტალურგიულ, სამთო-მომპოვებელ და მანქანათმშენებელ ბიზნესში. როგორც "24 საათი" უკვე წერდა, კორპორაციის ერთ-ერთი მეპატრონე პრეზიდენტ კუჩმას სიძე გახლავთ, რამაც კომპანიის წარმატებაში, სავარაუდოდ, მცირე როლი არ ითამაშა.

კორპორაცია "ინტერპაიპი"-ს წილი მილების მსოფლიო ბიზნესში 4,1 პროცენტს შეადგენს, სარკინიგზო ბორბლების მსოფლიო ბიზნესში - 10 პროცენტს, მარგანეცის შენადნობების ბიზნესში - 11,4 პროცენტს.

# საბორნე გასასვლელი ორ კვირაში ამოქმედდება

ქეთინო ჭაკობია
ფოთიდან

10 იანვარს, ორმხრივი ოფიციალური ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, რუსეთი გახდა ფაქტობრივად მეოთხე ქვეყანა, რომელთანაც საქართველო პირდაპირ საბორნე მიმოსვლას განახორციელებს. ფოთის პორტიდან უკვე რეგულარული საბორნე რეისები ხორციელდება უკრაინის, ბულგარეთისა და თურქეთის მიმართულებით. როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, ახალი საზღვაო მარშრუტი ეკონომიკური ეფექტის მომტანი იქნება და გააადვილებს საქართველოსა და მისი მეზობელი ქვეყნების ტვირთების გადაადგილებას. სომხეთისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლები ფოთსა და რუსეთის ქალაქ ტემრუკთან ახლოს მდებარე პორტ - კავკასს შორის საბორნე მიმოსვლის შესახებ დოკუმენტზე ხელმოწერის ცერემონიალს დამკვირვებლის სტატუსით ესწრებოდნენ.

ხელშეკრულების გაფორმებიდან მეორე დღეს ფოთს რუსეთის კომუნიკაციებისა და ტრანსპორტის მინისტრი, პორტ - კავკასის ხელმძღვანელები, საქართველოს რკინიგზის უფროსი, ეკონომიკური განვითარების მინისტრი და სხვა ოფიციალური პირები ესტუმრნენ.

ვიზიტის პროგრამა ფოთის ნავსადგურის დათვალიერებას ითვალისწინებდა. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა საბორნე გადასასვლელ ხიდზე. სტუმრები პორტის ხელმძღვანელთან, თემურ მიმინოშვილთან ერთად აკვატორიის კატარღით შემოვლისას სწორედ ბორანთან მისასვლელი სარკინიგზო გზითა და ტვირთბრუნვის არსებული და შესაძლო მაჩვენებლებით დაინტერესდნენ. საბორნე გადასასვლელის ვიზუალური დათვალიერება გააიოლა იმ ფაქტმაც, რომ ვიზიტის მომენტში ფოთი-ილიჩოვსკის ბორანი იტვირთებოდა.

შეხვედრა მცირე ხანს გაგრძელდა. რუსი ექსპერტები ბორანის ტექნიკური პარამეტრების დეტალურ შესწავლას გეგმავენ. რუსეთის კომუნიკაციებისა და ტრანსპორტის მინისტრმა იგორ ლევიტინმა პრესასთან კომენტარისას განაცხადა: **"დავათვალიერეთ საბორნე გადასასვლელი, ფოთის პორტის აკვატორია. ნანახი შთამბეჭდავია. დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის ახალი ხაზი გაამართლებს თავის დანიშნულებას. ტექნიკურ შესაძლებლობებზე მოგვიანებით შევჩერდებით, რასაც ვხედავთ, აკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნებს, დასახულ ამოცანას შეასრულებს და ვფიქრობ, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღეთ".**

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი ალექსი ალექსიშვილი ბორანის ამოქმედებას ორ კვირაში ვარაუდობს: **"შეთანხმება, რომელიც გაფორმდა რუსეთსა და საქართველოს შორის, ძალაში შევა უახლოეს მომავალში. ორ კვირაში დაიწყება პორტ - კავკასის მიმართულებით ტვირთების გადაზიდვა. თუ ამ ეტაპზე კვირაში ერთი რეისი იგეგმება, გაზაფხულიდან მისი რაოდენობა სამამდე გაიზრდება. ვიმსჯელეთ პროცესში რუსული კომპანიების აქტიურად ჩართვის საკითხზეც და ვიმედოვნებთ, რომ იგი სწრაფად და ეფექტურად გადაიჭრება. რაც შეეხება ტარიფებს, პორტის ხელმძღვანელობასა და მომსახურე ოპერატორებთან ერთად სამუშაო პროცესში დარეგულირდება".**

ფოთის პორტის უფროსის თემურ მიმინოშვილის გათვლა ტვირთბრუნვითი მაჩვენებლების ზრდაზე აქცენტირდება: **"ეს არის ახალი სატრანსპორტო გზა, ახალი საშუალება, რომ ნავსადგურმა გაზარდოს თავისი ტვირთბრუნვა და, შესაბამისად, შემოსავლებიც. მოვიზიდავთ ახალ, ტრადიციულ თუ თვისობრივად განსხვავებულ ტვირთებს. დიდ ეკონომიკურ ეფექტთან ერთად, მეზობელ ქვეყნებს ექნებათ საშუალება, განავითარონ ეკონომიკური ურთიერთობები რუსეთთან"**, - განაცხადა მიმინოშვილმა.

# საგადასახადო დეკლარაციების დაგვიანება "ძვირი" ჯდება

*ახალ კოდექსში საგადასახადო დეკლარაციების შევსების დაგვიანებისთვის ფინანსური სანქციებია გათვალისწინებული. ამიტომ, მეწარმეებს საგადასახადო დეკლარაციების შევსება მეტი ყურადღებით მოუწევთ. საქმე ისაა, რომ თუ ისინი საგადასახადო ინსპექციაში დეკლარაციის წარდგენას დააგვიანებენ, მათ დამატებით ჯარიმას გადაახდევინებენ. ახალი საგადასახადო კოდექსის თანახმად, ჯარიმის ოდენობა გადასახადის თანხის ხუთი პროცენტით განისაზღვრება.*

ნიკა მარიამიძე

საგადასახადო დეკლარაციის წარდგენის ვადის დარღვევის შემთხვევაში, გადამხდელს ჯარიმის ოდენობა ყოველ დაგვიანებულ საგადასახადო თვეზე ამ დეკლარაციის საფუძველზე დამატებით გადასახდელი თანხის ხუთი პროცენტის ოდენობით დაუდგინდება. თუმცა, დეკლარაციის წარუდგენლობის შემთხვევაში, ჯარიმის ოდენობა 200 ლარზე ნაკლები არ იქნება.

მკაცრად დაისჯება გადასახადისგან თავის არიდების მიზნით დეკლარაციის განზრახ წარუდგენლობა. თუ საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი ვადის ამოწურვიდან ერთ წელზე მეტ ვადაში დეკლარაცია საგადასახადო ინსპექციას არ ჩაბარდა, ხოლო გადაუხდელი თანხა გადასახადის 25 პროცენტს და 100 ათას ლარს გადააჭარბებს, მეწარმეებს სისხლის სამართლის პასუხისგება ელით.

თუმცა, ამ სანქციის მიუხედავად, გადასახადის გადამხდელს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან თავის არიდების შესაძლებლობა მაინც რჩება. საქმე ისაა, რომ თუ გადასახადის გადამხდელი დამატებით დაკისრებული გადასახადების ძირითად თანხას და ჯარიმას 15 დღეში გადაიხდის, საგადასახადო სამსახურებიდან მოკვლევისთვის მასალები სამართალდამცველ სტრუქტურებში არ გადაიგზავნება.

THE EURASIA FOUNDATION

**განცხადება**

ფონდ "ევრაზიის" საქართველოს ოფისი BP ჯორჯია -სთან თანამშრომლობით და გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) ფინანსური მხარდაჭერით იწყებს ახალ პროგრამას -"ნავთობსადენის მონიტორინგისა და დიალოგის ინიციატივა" (PMDI).

PMDI-is პროგრამის ფარგლებში ფონდი ევრაზია იწვევს არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს გამოხატონ თავიანთი ინტერესი BTC-სა და და SCP-ის მილსადენების პროექტების მონიტორინგში ჩასართველად. სამუშაო ჯგუფები შეიქმნება ოთხი ძირითადი თემის გარშემო:

- გარემო და ეკოლოგია
- სოციალური საკითხები
- კულტურული მემკვიდრეობა
- ადამიანისა და შრომის უფლებები

სამუშაო ჯგუფებში წევრები შეირჩევა შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- არასამთავრობო ორგანიზაციის გამოცდილება მონიტორინგსა და მსგავსი ტიპის საქმიანობაში;
- არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის ცოდნა და კვალიფიკაცია მონიტორინგის პროცესში მონაწილეობის მისაღებად;
- მონაწილეთა უნარი იმუშაონ როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფში;
- გამოცდილება კოალიციურ საქმიანობაში

პროგრამით დაინტერესებულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა უნდა შეავსონ სარეგისტრაციო ფორმა და წარმოადგინონ ფონდ "ევრაზიის" ოფისში არაუგვიანეს 2005 წლის 18 იანვრისა.

პროგრამის სრული აღწერა და სარეგისტრაციო ფორმის მოპოვება შესაძლებელია "ევრაზიის ფონდის" საქართველოს ოფისის ვებ-გვერდზე ან მისაღებში:

1. www.eurasia.org.ge
2. ევრაზიის ფონდის საქართველოს ოფისი, კავსაძის ქ. N3, თბილისი, საქართველო

ტელ: (995 32) 22-32-64; 25-39-42/43;
საკონტაქტო პირი: ელისო ანჩაბაძე,
პროგრამის ადმინისტრაციული ასისტენტი
ელ-ფოსტა: eliso@eurasia.org.ge

# ჯორჯ ბუშმა ჟურნალისტები უმუშევრად დატოვა

საპრეზიდენტო არჩევნებში ჯორჯ ბუშის გამარჯვებამ ტელეკომპანია "სი-ბი-ეს"-ის ოთხი წამყვანი თანამშრომელი უმუშევრად დატოვა. მათ მიერ მომზადებული მასალა, აშშ-ს არმიაში პრეზიდენტის სამსახურის შესახებ, არაეთიკურად მიიჩნიეს.

"სი-ბი-ეს"-ის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილების თანახმად, თანამდებობიდან გაათავისუფლეს ტელეარხის ვიცე-პრეზიდენტი ბეტსი ვესტი, გადაცემის "60 წუთი ოთხშაბათს" აღმასრულებელი დირექტორი ჯონ ჰოვარდი, მისი მოადგილე მერი მერფი და პროდიუსერი მერი მეიპსი, რომელმაც აშშ-ს პრეზიდენტის ბუში-უმცროსის სამხედრო სამსახურის შესახებ მოამზადა რეპორტაჟი. სკანდალური პროგრამა ეთერში 8 სექტემბერს გავიდა, საპრეზიდენტო არჩევნებამდე ზუსტად ორი თვით ადრე. პროგრამის წამყვანმა დენ რაზერმა წარადგინა დოკუმენტები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ბუში-უმცროსი სამხედრო სამსახურის დროს ბევრჯერ არღვევდა განაწესს და უკანონო პრივილეგიებით სარგებლობდა. თითქოს მან, მამის პროტექციის წყალობით, ვიეტნამში გამგზავრებას თავი აარიდა, შემდეგ, ტეხასის ეროვნულ გვარდიაში სამსახურის დროს, რამდენიმე თვე არ იმყოფებოდა საჯარისო ნაწილის განკარგულებაში, ერთხელ სამხედრო შეკრება გააცდინა, რითაც უმაღლეს ოფიცერთა ბრძანებებს არ დაემორჩილა.

**შემდეგ კი გაირკვა, რომ ჟურნალისტების მიერ შეგროვებული ფაქტების დამტკიცება შეუძლებელია. ბუშზე საჩივრების უმეტესობის ავტორი, ვიცე-პოლკოვნიკი ჯერი კილიანი, 1984 წელს გარდაიცვალა. მაკომპრომეტირებელი მასალების უტყუარობაც ვერ**



*ბუშმა თავისი სიმართლე დაამტკიცა.*

**დადასტურდა. "სი-ბი-ეს"-ის ხელმძღვანელობამ სექტემბერშივე უპასუხა კრიტიკას. კომპანიის პრეზიდენტმა ენდრიუ ჰიუვარდმა ეთერის საშუალებით განაცხადა, რომ მისმა ხელქვეითებმა ტელეეკრანზე გადაუმოწმებელი ინფორმაცია გაუშვეს. პროგრამის წამყვანმა ბოდიში მოუხადა ტელემაყურებლებს. თუმცა მობოდიშება საკმარისი არ აღმოჩნდა. ნოემბრის არჩევნებში ბუშის გამარჯვების შემდეგ "სი-ბი-ეს"-მა დამოუკიდებელი გამოძიება ჩაატარა. გასული წლის ბოლოს საგამოძიებო ჯგუფმა დაასკვნა: ჟურნალისტების ჯგუფმა ჟურნალისტური ეთიკის პრინციპები დაარღვია სატელევიზიო ეთერში გადაუმოწმებელი მასალების გაშვებით.**

სამსახურიდან გაშვებული ყველა ჟურნალისტი ამ საქმის პოლიტიკურ სარჩულზე მიუთითებს. ყველაზე მეტად სექტემბრის რეპორტაჟის ავტორი მერი მეიპსია აღშფოთებული. მისი განცხადებით, გათავისუფლება უფრო პოლიტიკური მიზეზით არის გამოწვეული, ვიდრე ტელეკომპანიის უკმაყოფილებით. ერთი სიტყვით, ტელეკომპანიამ გამარჯვებული რესპუბლიკელების წინაშე თავი დახარა.

*24 საათი*

# 2004 - დემოკრატიული განვითარების წარმატებული წელიწადი

პირველი გვერდიდან

აქედან გამომდინარე, თითქმის საუკუნის წინ ქემალ ათათურქის მიერ წამოწყებული რეფორმების უკანასკნელი ეტაპი დადგა. დაბოლოს, 2004 წლის მიწურულს უკრაინამ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების გზით, პირველად ისტორიის მანძილზე, დემოკრატიული პროევროპული ლიდერი აირჩია.

2004 წელზე საუბრისას არ უნდა დავივიწყოთ ჩვეულებრივი ცვლილებებიც, რომლებმაც თავისუფლების საზღვრები მოიცვა. პროგრესსა და პოლიტიკურ თავისუფლებაზე კულუარებში ჩურჩული და რეფორმებზე ზურგს უკან აზრთა გაცვა-გამოცვლა ალმა-ატაში, მთიან ყარაბაღსა და კიშინიოვში უკვე ყოველდღიურ მოვლენად იქცა. როგორც ჩანს, ევროპის ცივი ომის შემდგომი ტრანსფორმაციის უკანასკნელი ეტაპი დადგა.

ჩემი მეუღლე ირინა კრასოვსკაია არ მაპატიებდა, რომ არ მეხსენებინა ბელორუსიც, სადაც ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები ლუკაშენკოს წინააღმდეგ საერთო ფრონტს ქმნიან. თავისუფლებისათვის ბრძოლის სულისკვეთებით იმსჭვალება ახალგაზრდობა და სამოქალაქო საზოგადოება. ნარინჯისფერი რევოლუციის მხარდასაჭერად გამოსულ ბელორუს აქტივისტებს ხედავდნენ კიევში, თავისუფლების მოედანზეც. ახლა მხოლოდ დროის საკითხია, როდის დაჰყვება ევროპის უკანასკნელი დიქტატორი ბელორუსი ხალხის ნებას.

ერთი რამ კი უდავოა, 2005 წელი ახალი მღელვარებისა და გამოწვევების წელიწადი იქნება. ახალი ევროატლანტიკური დემოკრატიები, საქართველო და უკრაინა ისე, როგორც არასდროს, მხარდაჭერას საჭიროებენ. დეიტონის შეთანხმების 10 წლისთავის მოახლოებასთან ერთად ბალკანეთში მუდმივი მშვიდობისათვის მყარ გარანტიებს უკვე ვხედავთ. 2005 წელი შეიძლება აღმოჩნდეს ის ეტაპი, როდესაც სერბეთი და ჩერნოგორია დაასრულებენ იზოლაციონისტურ პოლიტიკას და ბალკანური სახელმწიფოები ევროინტეგრაციის კურსს ბოლომდე მიჰყვებიან.

მიმდინარე წელიწადს აუცილებელია, განსაკუთრებული ყურადღება ე.წ. გაყინულ კონფლიქტებს დავუთმოთ, რომლებიც შავი ზღვიდან დნესტრისპირეთს, აფხაზეთს, სამხრეთ ოსეთამდე და მთიან ყარაბაღამდე იარად გასდევს. საჭიროა, დავრწმუნდეთ, რომ დემოკრატიული განვითარებისა და თავისუფლების შესახებ გზავნილი ცენტრალურ აზიასა და რუსეთში მართლაც მოქმედებს. დაბოლოს, უნდა გვახსოვდეს, რომ ისინი, ვისაც დემოკრატიის ეშინია - მოსკოვიდან და მინსკიდან, ტირასპოლამდე და ცხინვალამდე - თავისუფლების ტალღის დასაძლევად ყველაფერს გააკეთებენ. ჩვენი მისია სწორედ მათი მცდელობების დამარცხებაა. გარდამავალი დემოკრატიების პროექტი 2005 წელს საკუთარი შესაძლებლობების გაწონასწორებული სრულყოფით იწყებს. მე მსურს, თქვენი ყურადღება ჩვენს გაუმჯობესებულ ვებგვერდს მივაქციო, რომლის მისამართია: www.ptdemocracy.org, რომელსაც უკვე საფოსტო ფუნქციაც დაემატა.

მე ასევე მაქვს პატივი, პროექტის საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ გამცნოთ. აღნიშნულ საბჭოს შვედეთის პრემიერ-მინისტრი კარლ ბილდტი უხელმძღვანელებს. საბჭოს წევრები თეთრი სახლის ყოფილი ოფიციალური წარმომადგენელი სტივ ბიგანი, "ფორდ მოტორს"-ის აღმასრულებელი შტოს წარმომადგენელი რობერტ კუპერი, გამოჩენილი ბრიტანელი დიპლომატი და აშშ-ს "მარშალის ფონდის" პრეზიდენტი კრეგ კენედი და ყოფილი ელჩი საბერძნეთში ალექს რონდოსი არიან.

გარდამავალი დემოკრატიების პროექტი 2005 წელს გასული წლის ანალოგიური შემართებით აპირებს მუშაობის გაგრძელებას. დირექტორთა საბჭო, ჯული ფინლის, რენდი შონმანისა და პეიჯ რიფის შემადგენლობით, ჩემთან ერთად უსურვებს ყველას, ვისაც საკუთარი სიცოცხლის გარისკვის არ ეშინია, საკუთარი ქვეყნისათვის თავისუფლება და დემოკრატია მოეტანოთ.

*წერილი მოგვაწოდა საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ნიკოლოზ რურუამ*

# რჩევა ვლადიმირ პუტინს

"ნიუ იორკ თაიმსის" სარედაქციო კომენტარი

როდესაც პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი უცხოეთში მის წინააღმდეგ აგორებულ კრიტიკას (იმის შესახებ, თუ როგორ მართავს რუსეთს) უგულებელყოფს - ამის გაგება შეიძლება. თუმცა, სულ სხვა საქმეა, როდესაც მისი ერთ-ერთი ახლო მრჩეველი საჭიროდ თვლის, საჯარო შეშფოთება გამოთქვას იმ მიმართულების შესახებ, საითაც ხელისუფლება მიდის.

28 დეკემბრის პრესკონფერენციაზე, პატივცემულმა ეკონომისტმა და კრემლის ახლობელმა კაცმა, ანდრეი ილარიონოვმა ეკონომიკაში მთავრობის "აბსოლუტურად არაკომპეტენტური ჩარევა" გააკრიტიკა. მან ნავთობგიგანტ "იუკოსის" გაყოფას "წლის თაღლითობა" უწოდა. ილარიონოვმა განაცხადა, რომ მთელ რუსეთში გუბერნატორის არჩევნების გაუქმება უძრაობის ეპოქის დასაწყისია და უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნებში კრემლის მონაწილეობას დასცინა. არც ერთი პრეზიდენტი არ მოითმენდა პოლიტიკური ხელდასმულის მსგავს საჯარო გამცემლობას. ასე რომ, პუტინის პირველი რეაქცია - ილარიონოვის გადადგომა "დიდ რვიანში" რუსეთის წარმომადგენლის პოსტიდან - შედარებით რბილი იყო. ილარიონოვი, ჯერჯერობით, კრემლში რჩება, ეკონომიკურ




საკითხებში უფროსი მრჩევლის რანგში. თუმცა, ის ფაქტი, რომ ის ასეთ უჩვეულო დაუმორჩილებლობამდე მივიდა, ამტკიცებს, რომ პუტინისეული კურსი მხოლოდ მის პოლიტიკურ ოპონენტებს ან უცხოელ კრიტიკოსებს აღელვებს. მთავრობის სხდომაზე ილარიონოვის გამოსვლამდე კიდევ ორმა მინისტრმა განაცხადა, რომ ეკონომიკური ზრდა რეფორმების გაჭიანურების გამო ზარალდება. პუტინს საკუთარი სიმართლის გულწრფელად სჯერა, როდესაც ძირითად რესურსებზე სახელმწიფო კონტროლს აწესებს, კორუმპირებულ გუბერნატორებს ათავისუფლებს და უკრაინის არჩევნებთან დაკავშირებით გარკვეულ პოზიციას იკავებს. მისი მრჩეველები კი ცდილობენ, განუმარტონ, რომ ამხელა ძალაუფლების მიღებით და ამდენი დებატების ჩახშობით, პუტინი მხოლოდ ილუზორულ სტაბილურობას მიაღწევს, რომელიც რუსეთის გრძელვადიან განვითარებას უშლის ხელს. ვლადიმირ პუტინი რუსეთის პრეზიდენტად 2000 წელს აირჩიეს, მას ხშირად აქებდნენ ისეთი მრჩევლების დანიშვნისათვის, როგორიც ილარიონოვია, რომლებიც ბიუროკრატებს არ მოსწონდათ. ბიზნესმენები და ოპოზიციური პოლიტიკოსები საუბრობდნენ იმის შესახებ, თუ როგორ მიმართავდა მათ პუტინი რჩევისათვის. უდიდესი შეცდომა იქნებოდა იმ ხალხისთვის პირზე ხელის აფარება, რომლებსაც პრეზიდენტი გულწრფელობისთვის აფასებდა. ილარიონოვის ჩამოქვეითების მიუხედავად, პუტინს მაინც მოუწევს მისი მოსაზრებების გათვალისწინება.

*24 საათი*

## მოკლედ

### ირანში ძლიერი მიწისძვრის შედეგად 100-ზე მეტი ადამიანი დაშავდა

ირანში ძლიერი მიწისძვრის შედეგად 100-ზე მეტი ადამიანი დაშავდა. რიხტერის სკალით 5,8 ბალის სიძლიერის მიწისძვრა გუშინ ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთში, კასპიის სანაპიროზე, თურქმენეთის საზღვრის მახლობლად მოხდა. ირანი სეისმურად აქტიურ ზონაში მდებარეობს. 2003 წლის 26 დეკემბერს დამანგრეველმა მიწისძვრამ ფაქტობრივად მიწასთან გაასწორა ქერმანის პროვინციაში მდებარე ძველი ქალაქი ბამი. მაშინ დაახლოებით 40 ათასი ადამიანი დაიღუპა. გუშინწინ ორი მიწისძვრა მოხდა თურქეთშიც. პირველად ბიძგები, რომელთა ძალამ რიხტერის სკალით 5,1 ბალი შეადგინა, მუგლას პროვინციაში, ქალაქ მილიასის მახლობლად დაფიქსირდა, მეორედ - 4,7 ბალის სიძლიერის - იმავე პროვინციაში, გეკოვის ყურეში. მიწისძვრის შედეგად ერთი ადამიანი დაშავდა. მსხვერპლის და ნგრევის შესახებ, ჯერჯერობით, არაფერია ცნობილი.

*ინტერ-პრესი*

### იტალიელი მწეველები თავიანთ უფლებებს დაიცავენ

იტალიაში შეიქმნა ასოციაცია სახელად - "მე ვეწევი", რომლის წევრებიც საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში თამბაქოს მოწევის ამკრძლავი კანონის გაუქმებას შეეცდებიან.

ორი დღის წინ ძალაში შესული ნორმატიული აქტის თანახმად, რესტორანში ან კაფეში სიგარეტის მოწევა ნებისმიერ კლიენტს დახლოებით 300 აშშ დოლარი დაუჯდება, ხოლო თავად დაწესებულების მეპატრონეს 3 ათას აშშ დოლარამდე.

უახლოეს დღეებში ასოციაციის ხელმძღვანელი ჟურნალისტი მარიკო პესინა რეფერენდუმის ჩატარების ინიციატივით გამოვა, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს, დარჩება თუ არა ეს კანონი ძალაში და ამავდროულად, თამბაქოს რეკლამირების შეზღუდვის გაუქმებასაც შეეცდება.

*უტრო.რუ*

### ისრაელის პრემიერ-მინისტრი პალესტინელთა არჩევანით კმაყოფილია

ისრაელის პრემიერ-მინისტრმა არიელ შარონმა გუშინ ტელეფონით მაჰმუდ აბასს პალესტინის ავტონომიის მეთაურის პოსტზე არჩევა მიულოცა. როგორც პალესტინის წარმომადგენლებმა ჟურნალისტებს აცნობეს, საუბრისას, რომელიც დაახლოებით 10 წუთს გაგრძელდა, შარონმა და აბასმა სამშვიდობო პროცესის განახლების სურვილი გამოთქვეს. ორი ლიდერის საუბრის სხვა დეტალები არ ხმაურდება. შეგახსენებთ, "ფათჰის" მოძრაობის კანდიდატმა მაჰმუდ აბასმა კვირას გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. მან ამომრჩეველთა ხმების 62,32 პროცენტი მოაგროვა, მისმა ძირითადმა მეტოქემ, მუსტაფა ბარგუთიმ კი - დაახლოებით 20 პროცენტი.

ორშაბათს მაჰმუდ აბასმა ისრაელს ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მოგვარების გეგმის - ე.წ. "საგზაო რუკის" ბაზაზე სამშვიდობო მოლაპარაკების განახლების ინიციატივით გამოვიდა. თავის მხრივ ისრაელი თვლის, რომ ამ ეტაპზე მთავარი აბასის მიერ ტერორის წინააღმდეგ ქმედითი ნაბიჯების გადადგმა ექსტრემისტული ორგანიზაციების ინფრასტრუქტურას დაშლა იქნება.

მსოფლიოს ლიდერები იმედოვნებენ, რომ პალესტინის ავტონომიის პრეზიდენტად მაჰმუდ აბასის არჩევა ხელს შეუწყობს ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებას.

*ბი ბი სი*

### უკრაინის რადამ ერაყიდან უკრაინული სამხედრო კონტინგენტის გამოყვანის შესახებ დადგენილება მიიღო

უკრაინის უმაღლესმა რადამ გუშინ მიიღო დადგენილება ერაყიდან უკრაინული სამხედრო კონტინგენტის გამოყვანის შესახებ. გადაწყვეტილებას მხარი 308 დეპუტატმა დაუჭირა იმ დროს, როცა დადგენილების მისაღებად 226 ხმა იყო საჭირო.

გუშინ უკრაინის მოქმედმა პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრებს კონსტანტინე გრიშჩენკოს და ალექსანდრე კუზმუკს დაავალა, დაუყოვნებლივ დაიწყონ ერაყიდან უკრაინის ჯარების გამოყვანისთვის მზადება. კუჩმას განკარგულებით, უკრაინის კონტინგენტმა ერაყი 2005 წლის პირველ ნახევარში უნდა დატოვოს. კუზმუკის ინფორმაციით, ერაყიდან უკრაინის ჯარების გამოყვანა შეიძლება 2-3 თვის განმავლობაში განხორციელდეს.

ლეონიდ კუჩმას გეგმას აშშ-მა მხარი არ დაუჭირა. სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ადამ ერელიმ განაცხადა, რომ ერაყიდან უკრაინული სამშვიდობო კონტინგენტის გამოყვანის გადაწყვეტილება არა კუჩმამ, არამედ უკრაინის ახალმა პრეზიდენტმა და ახალმა მთავრობამ უნდა მიიღონ. თუმცა, ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციისთვის ისიც ცნობილია, რომ ერაყიდან უკრაინული კონტინგენტის გამოყვანას მხარს ვიქტორ იუშენკოც უჭერს.

ერაყში სულ 1700 უკრაინელი სამხედრო მოსამსახურე იმყოფება. ისინი ერაყის ვასითის პროვინციაში მისიას 2003 წლის აგვისტოდან ასრულებენ. ამ ხნის განმავლობაში ერაყში 17 უკრაინელი სამხედრო დაიღუპა და 20-ზე მეტი დაიჭრა.

*ინტერ-პრესი*

### ბუშის ახალი კანდიდატურა

აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ეროვნული უშიშროების მდივნის თანამდებობაზე ცნობილი ამერიკელი იურისტის მაიკლ ჩერტოფის კანდიდატურა წარადგინა. ჯორჯ ბუშის თქმით, მისი წარდგენილი კანდიდატურა პროფესიონალიზმის მაღალი დონით გამოირჩევა და წარმატებით გაართმევს თავს დაკისრებულ ახალ მოვალეობებს საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პირობებში.

ამჟამად ნიუ ჯერსის შტატის სააპელაციო სასამართლოს წევრი მაიკლ ჩერტოფი საყოველთაოდ ცნობილი 2001-2003 წლებში გახდა, როდესაც აშშ-ს იუსტიციის სამინისტროს სისხლის სამართლის დანაშაულის კვლევის სამმართველოს ხელმძღვანელად მუშაობდა. აღნიშნულ თანამდებობაზე მას 2001 წლის 11 სექტემბერს განხორციელებული ტერაქტის საქმეზე მუშაობა მოუხდა.

სენატის მიერ დამტკიცების შემთხვევაში მაიკლ ჩერტოფი ეროვნული უშიშროების მდივნის პოსტზე ტომ რიჯს შეცვლის, რომელმაც უკვე გააკეთა თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადება.

*იტარ-ტასი*

### ვის სჯერა "ძლიერი რუსეთის"?

2004 წლის მიწურულს ჰოლდინგმა "რომირ მონიტორინგ"-მა რუსეთში საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა ჩაატარა. სოციოლოგიური კვლევა 100 ქალაქსა და დასახლებულ პუნქტში ჩატარდა. კვლევაში 1 500 რესპონდენტი მონაწილეობდა. კითხვაზე: "მიგაჩნიათ თუ არა, რომ ქვეყანა სწორი კურსით მიემართება თუ პირიქით, ჩიხში შედის"? გამოკითხულთა 49 პროცენტმა ქვეყნის განვითარება უარყოფითად შეაფასა. 38 პროცენტმა მიიჩნია, რომ რუსეთი სულაც არ მიექანება უფსკრულისაკენ, ხოლო 13 პროცენტს კითხვაზე პასუხის გაცემა გაუჭირდა. რუსეთის პოლიტიკური კურსის მხარდამჭერნი შორეულ აღმოსავლეთში 54 პროცენტი აღმოჩნდა, ციმბირში - 48, ჩრდილო-დასავლეთ ფედერალურ ოლქებში კი 46 პროცენტი. განვითარების ვექტორით უკმაყოფილო ურალის მცხოვრებთა 54 პროცენტი აღმოჩნდა. მათივე პოზიციას იზიარებს დიდი ქალაქების მოსახლეობის 55 პროცენტიც.

რაც შეეხება რესპონდენტთა ასაკობრივ ჯგუფებს: 18-დან 34 წლამდე გამოკითხულთა 46-47 პროცენტი მიიჩნევს, რომ ქვეყანა განვითარების აღებული კურსით ჩიხში არ მოხვდება, 45 წლის ზემოთ კი რესპონდენტთა 53 პროცენტი შეფასებებში გაცილებით პესიმისტური აღმოჩნდა.

მეორე შეკითხვაზე "უახლოეს მომავალში ჩვენი ქვეყანა გაძლიერდება, იგივე შესაძლებლობების დარჩება თუ დასუსტდება"? პირველი ორი მოსაზრების მომხრეთა რიცხვი თითქმის თანაბარი აღმოჩნდა, კერძოდ, 41-40 პროცენტი. პესიმისტთა, იგივე კარგად ინფორმირებულ ოპტიმისტთა რიცხვმა 14 პროცენტი შეადგინა. გამოკვეთილი პოზიცია ვერ დააფიქსირა რესპონდენტთა 5 პროცენტმა.

"ძლიერი რუსეთის" სჯერა ურალის მოსახლეობის 57 პროცენტს. საკუთარი ქვეყნის სიძლიერეში ეჭვი ცენტრალური რუსეთის 19 პროცენტს ეპარება. ვოლგისპირეთისა და ციმბირის მოსახლეობის დაახლოებით თანაბარი რაოდენობა (49-46 პროცენტი) კი მიიჩნევს, რომ რუსეთი ვერც გაძლიერდება და არც დასუსტდება.

რუსეთის გაძლიერების უმეტესად დიდი ქალაქების მცხოვრებთ, საშუალო და უმაღლესი განათლების მქონე 18-დან 44 წლამდე ასაკის რესპონდენტებს სჯერათ.

*24 საათი*

# "სავაჭრო ცენტრის" ცენტრალური პრობლემა

*კოლმეურნეობის მოედანზე, ყოფილი საკოლმეურნეო ბაზრის შენობაში განთავსებული "საქართველოს სავაჭრო ცენტრის" დირექცია 1 თებერვლიდან სავაჭრო ცენტრის პირველ სართულზე სარემონტო სამუშაოებს იწყებს. ამასთან დაკავშირებით იქ ხილ-ბოსტნეულითა და საკვები პროდუქტებით მოვაჭრეებს რემონტის დამთავრებამდე შენობის ამ ნაწილის დროებით დატოვება მოსთხოვეს. მოვაჭრეთა ერთი ნაწილი უმუშევრად დარჩენის შიშმა შეიპყრო. ისინი ამტკიცებენ, რომ სავაჭრო ცენტრის დირექციას მათი თავისი ხალხით ჩანაცვლება სურს და ამისთვის რემონტს განზრახ იმიზეზებს. მოვაჭრეებმა "დახმარებისათვის" "ლეიბორისტულ პარტიას" მიმართეს.*

ნანა ყაველაშვილი

პარტიის იურისტები "საქართველოს სავაჭრო ცენტრის" წინააღმდეგ სარჩელს ამზადებენ, რომელსაც უახლოეს დღეებში მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოში შეიტანენ. თუ სასამართლოს გადაწყვეტილება არ დააკმაყოფილებთ, მოვაჭრეები ჯერ მერიასთან, შემდეგ - სახელმწიფო კანცელარიასთან აქციების გამართვით იმუქრებიან. ლეიბორისტები კი მათ ყველანაირ მხარდაჭერას ჰპირდებიან. თავის მხრივ, "საქართველოს სავაჭრო ცენტრი" რამდენიმე დღეში პრესკონფერენციას გამართავს, რომელზეც წარადგენს პროექტს, თუ რის გაკეთებას აპირებს შენობის პირველ სართულზე.

რამდენიმე თვის წინათ ექსპერტთა საგანგებო ჯგუფმა სხვა ბაზრებთან ერთად ს/ს "საქართველოს სავაჭრო ცენტრის" შენობაც შეამოწმა. შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ შენობის პირველი სართულის ქვეშ მთელ სიგრძეზე განთავსებული სანიაღვრე და საკანალიზაციო კოლექტორი, რომელიც ნახევარსაუკუნოვანი ექსპლუატაციის განმავლობაში არც გამოცვლილა და არც შეკეთებულა, მოძველებული და მწყობრიდან გამოსულია, დაზიანებული ადგილებიდან კი წყალი ჟონავს. მიმდებარე ტერიტორიებზე განლაგებული კომუნიკაციებიდან სავაჭრო ცენტრის საძირკვლის ქვეშ წყალი ჩაედინება; ასევე, დაზიანებულია რამდენიმე სვეტი.

**"აუცილებელია, ჩატარდეს საკანალიზაციო და სანიაღვრე ქსელის სარემონტო-აღდგენითი სამუშაოები. დაუყოვნებლივ უნდა აღიკვეთოს მიმდებარე ქუჩებიდან სუპერმარკეტის ტერიტორიაზე წყლების შემოდინება",** - ნათქვამია ექსპერტთა რეკომენდაციებში. "საქართველოს სავაჭრო ცენტრის" დირექციის თქმით, სანეპიდსადგური მდგომარეობის დაუყოვნებლივ გამოსწორებას მოითხოვს.

**"ჩვენ ისედაც ვაპირებდით პირველი სართულის კეთილმოწყობას. არსებულის ნაცვლად, გვინდა სუპერმარკეტის ტიპის ბაზრის გაკეთება, რომელიც აღჭურვილი იქნება თანამედროვე დახლ-დანადგარებით, მაცივრებით, ლაბორატორიებით.**

**გვინდოდა, რაც შეიძლება, მალე დაგვეწყო სანიაღვრე-საკანალიზაციო სისტემისა და შენობის ავარიული ნაწილების მოწესრიგება. მომზადდა სარეკონსტრუქციო პროექტი, მაგრამ, ვიდრე სარემონტო სამუშაოები დაიწყება, ჯერ შენობის პირველი სართული უნდა გათავისუფლდეს. მართალია, ეს ჩვენი საზრუნავი არ იყო, მაგრამ მოვაჭრეებს დროებით საბურთალოს ბაზარში გადასვლა შევთავაზეთ. სასწორებითა და საჭირო ინვენტარით დახმარებასაც დავპირდით. როცა რემონტი დასრულდება, ბაზარში ის ივაჭრებს, ვინც ჩვენ მიერ შეთავაზებულ და აუცილებელ სანიტარიულ ნორმებს დააკმაყოფილებს. იმასაც დავპირდით, რომ პირველად ამ პირობებს მათ შევთავაზებდით",** - ამბობს "საქართველოს სავაჭრო ცენტრის" გენერალური დირექტორი პაატა ნამორაძე. მაგრამ, მისი თქმით, მოვაჭრეებს არ სურთ სავაჭრო ცენტრის ტერიტორიის, თუნდაც, დროებით დათმობა.



*"ბაზრიდან თუ გავალთ, როგორც გავიგეთ, იქ ისეთი რემონტის გაკეთებას აპირებენ, მერე ვინღა დაგვაბრუნებს?"*

იური ლობოდინის ფოტო

შენობიდან გასვლის შემთხვევაში კი მაინც და მაინც კოლმეურნეობის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე გარე ვაჭრობას ითხოვენ.

**"ამ ბაზარში 1989 წლიდან ვვაჭრობ. 5 იანვარს სავაჭრო ცენტრის დირექტორმა ბაზრის დაცლა მოგვთხოვა. გვითხრეს, - რემონტი უნდა გაკეთდეს, მერე ისევ დაგაბრუნებთო. ბაზრიდან თუ გავალთ, როგორც გავიგეთ, იქ ისეთი რემონტის გაკეთებას აპირებენ, მერე ვინღა დაგვაბრუნებს? მეორე სართულზე ადგილებს თვეში, თურმე, 700-800 დოლარად აქირავებენ. ამ თანხას ჩვენ ვერ შევწვდებით. დირექციას ჩვენთვის არავითარი პირობები არ შემოუთავაზებია",** - ამბობს ერთ-ერთი მოვაჭრე ტარიელ თაყნიაშვილი.

"საქართველოს სავაჭრო ცენტრის" გენერალური დირექტორის პაატა ნამორაძის თქმით, კერძო დაწესებულებას ნებისმიერ ქვეყანაში აქვს უფლება, საკუთარ შენობაში, როცა უნდა, მაშინ გააკეთოს რემონტი და უკვირს, რატომ უნდა ჩაითვალოს ეს დანაშაულად საქართველოში?

**"როგორც შევიტყვეთ, მოვაჭრეებს "ლეიბორისტული პარტიისთვის" მიუმართავთ. ასევე, გავიგეთ, რომ ისინი დღეს ამ თემაზე პრესკონფერენციასაც მართავენ, მაგრამ მათგან ჯერ არავინ შეგვხმიანებია. რამდენჯერმე გაგვაფრთხილა სანეპიდსადგურმა. ნამდვილად არ გვიხარია შენიშვნები და ჯარიმის გადახდა. გვინდა, ჩვენთან მოსულ მყიდველებს სუფთა, კომფორტული გარემო, სანიტარიული ნორმების დაცვით შენახული, ახალი და ლაბორატორიულად შემოწმებული პროდუქტები შევთავაზოთ. თუ ვინმეს უნდა ჰქონდეს პრეტენზია - ჩვენ. აბა, ჰკითხეთ აქაურ მოვაჭრეებს, არც ერთი მათგანი ხორცს აქ არ ყიდულობს. უმეტესობა სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაუცველად ვაჭრობს. საყვედურებსა და შენიშვნებს კი ჩვენ ვიღებთ. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება",** - ამბობს "საქართველოს სავაჭრო ცენტრის" გენერალური დირექტორი პაატა ნამორაძე.

ქრონიკები

## ბიბლიოთეკის "ჩამოწერა" რაჭულად

ნინო ბერელიძე

ჩემს სოფელში ყველასათვის საყვარელი და გასართობი ადგილი ბიბლიოთეკა იყო. ზამთარში შენობიდან ამოსული კვამლი თავისებურ სიმშვიდესა და სიხალისეს ჰფენდა სოფელს. დიდები ცდილობდნენ, დაბაგებული საქონლისათვის მალევე მოევლოთ, რათა ბიბლიოთეკაში მეტი დრო გაეტარებინათ ჭადრაკის თამაშსა და კითხვაში. ყველა ბავშვმა ადრევე ვისწავლეთ ჭადრაკი და ჩონგურზე დაკვრა. ჩემთვის განსაკუთრებით სასიამოვნო იყო ბიბლიოთეკაში სიარული, რადგან კითხვა ძალიან მიყვარდა. ბიბლიოთეკარი განათლებული ქალი იყო, ბიბლიოთეკაში უნიკალური წიგნები ჰქონდა გამოწერილი, შეგროვებული და შენახული, რომლებითაც ამაყობდა კიდეც; თითოეულ წიგნს საკუთარი შვილივით უვლიდა. ყოველთვის მაოცებდა მისი ნაკითხობა. როდესაც წიგნს შემირჩევდა, ყოველთვის ამიხსნიდა, მთავარი რა იყო და ყურადღება რისთვის უნდა მიმექცია. ერთი სიტყვით, მთის რაჭის სოფელ საკაოს ბიბლიოთეკა უფრო მეტი იყო ადამიანებისათვის, ვიდრე უბრალოდ ბიბლიოთეკა. დღეს კი ყველაფერი მოშლილია და განადგურების პირას არის მისული. ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს, როცა შეტევა ასაკოვან ჩინოვნიკებზე მიიტანეს, ჩვენი ბიბლიოთეკარიც მოხსნეს.

ქალი, რომელიც ბიბლიოთეკის გამგედ დაინიშნა, ახალგაზრდა, მაგრამ სრულიად გამოუცდელი და, თითქმის, წერა-კითხვის უცოდინარი აღმოჩნდა. 90-იანი წლებიდან ბიბლიოთეკის კარიც კი არ გაღებულა და აღარც ვინმეს შეუხედავს იქ. შენობა უკაცრიელს დაემსგავსა.

გიამბობთ ერთ შემთხვევას. ერთ ზაფხულს სოფელში ისვენებდა თბილისელი სტუდენტი, რომელსაც ძალიან დასჭირდა შექსპირის ტრაგედიების ერთ-ერთი ტომი (თეატრალურში სწავლობდა). გაღიზიანებულმა ბიბლიოთეკარმა, რომელსაც ძალით გააღებინეს ბიბლიოთეკის დიდი ხნის გამოკეტილი კარი, უხეშად ჰკითხა: "სად მოვძებნო ეს შექსპირი, ალბათ, თანამედროვე ქართველი მწერალია ვინმე!"

ერთ დღეს სოფელში ხმა გავარდა, - ახალი ბიბლიოთეკარი წიგნებს ტომრებით ყიდის და (რატომღაც, ბიბლიოთეკა მისთვის მემკვიდრეობას ნიშნავს), ერთი ტომარა, სულ რაღაც, ორი ლარი ღირსო. რა თქმა უნდა, მსურველი ბევრი აღმოჩნდა და უამრავი ტომარა წიგნიც გაიყიდა. როგორც გაირკვა, რაიონის კულტურის განყოფილების გამგის გოგი ბურდილაძის დავალებით, "აზრობრივად და შინაარსობრივად მოძველებული" წიგნები უნდა ჩამოეწერათ ბიბლიოთეკებში. ჩემს სოფელში ჩამოწერილ, გაყიდულ და "აზრობრივად მოძველებულ" წიგნებში ჯავახიშვილი, ცვაიგი, ედგარ პო და ილიაც კი აღმოჩნდა. გადაგდებული აღმოჩნდა ძველი, უნიკალური წიგნი "პირველი ქართული შრიფტი".

შემთხვევით არ დავასახელე რაიონის კულტურის განყოფილების გამგის სახელი. მინდა, რაიონის "კულტურული მოღვაწეობის" სრული სურათის წარმოსადგენად ორიოდე სიტყვა მასზეც გითხრათ. საამისოდ რაჭველი კოლორიტის, ბორია გუგეშაშვილის ერთსტროფიანი, ექსპრომტად გამოთქმული ლექსის მოხმობა ჯობს:

"კულტურაში გაბურდულხარ,
ბიჭოვ, ლოყებპუნტულაო,
დამანახე, გოგიუკავ,
სადანა გაქვს კულტურაო"...

ჩემს სოფელში ვისაც უნდა ჰკითხო, სინანულით გადაიქნევს თავს და ტკივილით გაიხსენებს განადგურებულ შენობას, რომელსაც აღარც სიხარული მოაქვს ვინმესთვის და აღარც სწავლის სურვილს უღვივებს ვინმეს. სრულიად შესაძლებელი ყოფილა, ერთმა ადამიანმა უამრავი სასიკეთო საქმე გააკეთოს მთელი თაობებისათვის და, ასევე, ერთის უვიცობამ გამოუსწორებელი შედეგი გამოიღოს.

## მეოთხე სამშობიარო სახლში არეულობა გრძელდება

თამარ დვალი

*თბილისის ქორიძის სახელობის მეოთხე სამშობიარო სახლში რამდენიმე ხნის წინათ დაწყებული საპროტესტო აქცია კვლავ განახლდა. მეან-გინეკოლოგები და ნეონატოლოგები მთავარი ექიმის დალი გაბიძაშვილის უპირობო გადაყენებასა და დირექტორის არჩევნების დანიშვნას მოითხოვენ. მათ შიმშილობა ქალაქის მერისა და ჯანდაცვის მინისტრის მოადგილის ლევან ჯუღელის დაპირების საფუძველზე შეწყვიტეს. თუმცა, პირობების შეუსრულებლობის გამო, გუშინ შიმშილობა კვლავ გააგრძელეს.*



*"მე მხოლოდ იმ შემთხვევაში გადავდგები, თუკი ამას ჩემი ზემდგომი ორგანოები მომთხოვენ", - ამბობს დალი გაბიძაშვილი.*

ლევან ხერხეულიძის ფოტო

**"მე ვილაცების მოთხოვნით არ გადავდგები. ესენი იმას ლაპარაკობენ, რაც თვითონ უნდათ. მათ არგუმენტირებული მოთხოვნები არ გააჩნიათ",** - ასეთი პოზიცია აქვს აქციის მიმართ მეოთხე სამშობიარო სახლის დირექტორს დალი გაბიძაშვილს. მისივე განცხადებით, იგი თანამდებობას მხოლოდ იმ შემთხვევაში დატოვებს, თუკი ამას ქალაქის მთავრობა მოსთხოვს.

**"აქციის მონაწილეებმა ქალაქის მერს, ჯანდაცვის მინისტრის მოადგილესა და მერიის ქონების მართვის სამსახურის უფროსს პირობა მისცეს, რომ აქციას მანამდე შეწყვეტდნენ, სანამ კომისია მუშაობას არ დაასრულებდა. თუმცა, მათ ეს პირობა არ შეასრულეს. აქციის მონაწილეებმა არც ჯანდაცვის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელს მიხეილ ხატიაშვილს მისცეს აქ მუშაობის შესაძლებლობა. საოცარია, მაგრამ მასაც აუჭედეს კაბინეტის კარები და გამოაგდეს გარეთ. მათი საქციელი ყოველგვარ ზღვარს სცილდება. მე მხოლოდ იმ შემთხვევაში გადავდგები, თუკი ამას ჩემი ზემდგომი ორგანოები მომთხოვენ",** - ამბობს "24 საათთან" საუბარისას დალი გაბიძაშვილი.

შეგახსენებთ, რომ მეოთხე სამშობიარო სახლში მედპერსონალსა და მთავარ ექიმს შორის დაპირისპირება ორი თვის წინათ დაიწყო. დეკემბრის ბოლოს, დირექტორის გადადგომის მოთხოვნით, მეან-გინეკოლოგებმა და ნეონატოლოგებმა შიმშილობა დაიწყეს. მათი განცხადებით, დალი გაბიძაშვილი ერთპიროვნულად მართავს კლინიკას და კოლეგებს გამუდმებით ამცირებს.

**"წინა აქციის დროს ჩვენთან მოსული იყო ქალაქის მერი ზურაბ ჭიაბერაშვილი, ქალაქის ქონების მართვის სამსახურის უფროსი ლევან ალაფიშვილი და ჯანდაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი ზაზა გოროზია. მათ გვთხოვეს, შეგვეწყვიტა აქცია და დაგვპირდნენ, რომ პრობლემას უახლოეს მომავალში გადაწყვეტდნენ. თუმცა, ამის მაგივრად, კომისიის მუშაობის დასრულების ვადა 3 იანვრიდან 28 იანვრამდე გადადეს",** - აცხადებენ აქციის მონაწილეები.

რაც შეეხება ჯანდაცვის საქალაქო სამსახურის მიერ გამოგზავნილ წარმომადგენელს, რომელსაც დირექტორთან ერთად უნდა გაეგრძელებინა მუშაობა, მისთვის კარების აჭედვის ფაქტს მოშიმშილეები კატეგორიულად უარყოფენ.

**"ჩვენ მიხეილ ხატიაშვილისთვის არც კარი აგვიჭედავს და არც მის წინააღმდეგ გამოვსულვართ. მეთვალყურის აქ მოსვლას მთავარი ექიმის უფლებების შეზღუდვა უნდა მოჰყოლოდა, თუმცა ასე არ მოხდა. შეგვპირდნენ, რომ დროებით გადააყენებდნენ დალი გაბიძაშვილს, მაგრამ არც ეს პირობა შესრულდა. წესით, მისი მოვალეობა სამკურნალო დარგში მისმა მოადგილემ უნდა შეასრულოს, თუმცა, რადგანაც ის ჩვენს მხარეს იჭერს და ამის გამო არ ენდობიან, თანახმა ვართ, ეს ვალდებულება სხვამ იკისროს",** - აცხადებენ აქციის მონაწილეები.

როგორც ჯანდაცვის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი მიხეილ ხატიაშვილი აცხადებს, მისთვის სამშობიაროს თანამშრომლებს მუშაობაში ხელი არ შეუშლიათ.

**"ჩემთვის არავის არ აუჭედავს კარები. ერთი კვირაა, რაც აქ ვარ და მინდა, ვთქვა, რომ უკიდურესად დაძაბული სიტუაციაა მედპერსონალსა და მთავარ ექიმს შორის. ფაქტია, რომ სამშობიარო სახლში სამკურნალო პროცესი კარგად მიმდინარეობს. პაციენტების სიმრავლით ეს კლინიკა პირველ ადგილზეა. ჩემი აქ ყოფნის დროს ყველა გადაწყვეტილება ერთობლივად იქნა მიღებული. საბოლოო დასკვნის გამოტანა კომისიის მუშაობის დამთავრების შემდეგაა შესაძლებელი",** - ამბობს მიხეილ ხატიაშვილი.

მოშიმშილეები სამედიცინო სფეროში განხორციელებულ რეფორმებს არ ეთანხმებიან და მიიჩნევენ, რომ არასწორი გადაწყვეტილება იქნა მიღებული, როდესაც სამკურნალო დაწესებულებები ჯანდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებიდან გამოიყვანეს, შპს-ებად გარდაქმნეს და მერიასთან არსებულ ქონების მართვის სამსახურს გადასცეს.

**"საკადრო პოლიტიკის წარმართვა სამედიცინო დაწესებულებებში დაკავშირებულია გარკვეულ სამედიცინო სპეციფიკასთან და მოითხოვს დელიკატურ მიდგომას. ამიტომ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, განხორციელდეს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრ ლადო ჭიპაშვილის ინიციატივა და სამედიცინო დაწესებულებებში ხელმძღვანელი პირები შრომითმა კოლექტივებმა აირჩიონ",** - აღნიშნავენ მეოთხე სამშობიარო სახლის თანამშრომლები.

მათ მოთხოვნას შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე ლევან ჯუღელი შემდეგნაირად პასუხობს: **"ჩვენ ამ კუთხით ვმუშაობთ. არსებობს რამდენიმე ვერსია. თუმცა, ჯერჯერობით, საბოლოო პასუხი არ გაგვაჩნია. საჭიროა, შეიქმნას პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ვიმოქმედებთ".**


## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ანკეტა

სახელი, გვარი........................................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი........................................

საკონტაქტო ტელეფონი........................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის I-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ. 77. იურიდიული ოფისი "გაპი".

# ჭიათურის ტრაგედიაში ეჭვმიტანილი დაკავებულია

*ახალი წლის ღამეს ჭიათურის რაიონის სოფელ ჭილოვანში მომხდარ ტრაგედიაში ეჭვმიტანილი, 26 წლის ბორის ზაბახიძე გუშინ ჭიათურის რაიონშივე, კაცხის ეკლესიაში დააკავეს.*

თამარ კაციტაძე

1 იანვარს, ღამის პირველის ნახევარზე ზაბახიძეებთან მისულ ახლობლებს ოჯახის ყველა წევრი - ოჯახის უფროსი ანტონ ზაბახიძე, მისი მეუღლე, ორი ქალიშვილი და თბილისიდან სტუმრად ჩასული, 7 წლის ქეთი ბარნაბიშვილი ცეცხლსასროლი იარაღით დახოცილები დახვდათ.

როგორც შემთხვევის ადგილზე მისულმა სამართალდამცველებმა გაარკვიეს, გარდაცვლილები ავტომატური იარაღით ჯერ შორი მანძილიდან იყვნენ ჩაცხრილულები, შემდეგ კი თითოეულ მათგანს თავის არეში თითო ტყვია მიბჯენით ჰქონდა ნასროლი.

ტრაგედიის მომენტშივე გაჩნდა ვერსია, რომ მკვლელობა ანტონ ზაბახიძის შვილის (პირველი ქორწინებიდან) ბორის ზაბახიძის მიერ უნდა ყოფილიყო ჩადენილი. ამის საფუძველს მეზობლებს და ახლობლებს ბოლო პერიოდში მამაშვილს შორის არსებული დაძაბული ურთიერთობა აძლევდა. როგორც დაკითხულები ირწმუნებოდნენ, ბორის ზაბახიძე მამის მოკვლით ტრაგედიამდე ცოტა ხნით ადრეც იმუქრებოდა. მას პრეტენზია ჰქონია, თითქოს მამა პირველი ქორწინებიდან შვილებს უფრო ნაკლებ ყურადღებას აქცევდა, ვიდრე მეორე ოჯახს. თუმცა, ამას არც ზაბახიძეების ნათესავები და არც ეჭვმიტანილის ღვიძლი და არ ადასტურებენ. პირიქით, ისინი ეჭვმიტანილის პიროვნულ უცნაურობებზე საუბრობენ (სხვათა შორის, ბორის ზაბახიძის დედა ფსიქიურად დაავადებულთა აღრიცხვაზეა აყვანილი და იგი პერიოდულად, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მკურნალობის კურსს გადის).

ახლობელთა დახასიათებით, ბორის ზაბახიძე ბავშვობიდანვე ჩაკეტილი პიროვნება იყო. მას დღემდე ერთი მეგობარიც არ ჰყოლია და, ფაქტობრივად, მეზობლებსაც არ ესაუბრებოდა. მეტიც, მისი დის თქმით, ბორის ზაბახიძე სახლიდან ხშირად გარბოდა და კვირების განმავლობაში ტყეში მარტო ცხოვრობდა. მისი გატაცება კი ცეცხლსასროლი იარაღების შესწავლა და გაკეთება ყოფილა. ბორის ზაბახიძის ბებიის სახლში, სადაც იგი პერიოდულად ცხოვრობდა ხოლმე, სამართალდამცველებმა ჩხრეკისას, სხვადასხვა იარაღის ტყვიებთან ერთად, ის ცეცხლსასროლი პისტოლეტიც ამოიღეს, რომელიც სპორტული შაშხანიდან ჰქონდა გადაკეთებული. იმავე ბინაში პოლიციელებმა ეჭვმიტანილის მიერ გაკეთებული საეჭვო რიტუალური ნივთებიც იპოვეს.

**"მკვლელობის ღამეს, ჩხრეკის ჩასატარებლად მისულთ, ბებია გვიმტკიცებდა, რომ მისი შვილიშვილი სახლში იყო და ეძინა. საწოლში ბალიშები მართლაც ისე იყო ჩალაგებული, რომ მძინარე კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა. როგორც ჩანს, ზაბახიძეს ესეც წინასწარ ისევე ჰქონდა გათვლილი, როგორც ის, რომ ახალი წლის ღამეს მისი ავტომატის გასროლის ხმა სხვების ყურადღებას არ მიიქცევდა,"** - აღნიშნა ჩვენთან საუბრისას იმერეთის რეგიონის პოლიციის უფროსმა გია კაჭარავამ.

ათის დღის განმავლობაში ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებულ, პოლიციის შეფასებით, განსაკუთრებით საშიშ დამნაშავეს იმერეთის სამართალდამცველები ტყეში უშედეგოდ ეძებდნენ. გუშინ კი რეგიონის პოლიციაში ბორის ზაბახიძის მიერ გაგზავნილი მღვდელი მივიდა და ეჭვმიტანილის დანაბარები გადასცა.

**"ზაბახიძე პირობას იძლეოდა, რომ საკუთარი ნებით ჩაგვბარდებოდა, თუ იმის გარანტიას მიიღებდა, რომ მას სოფელი არ ჩაქოლავდა, ან პოლიციაში არ მოკლავდნენ. თავისთავად ცხადია, ამის გარანტია მივეცით და იგი საბოლოოდ ეკლესიაში დავაკავეთ. სხვათა შორის, ბორის ზაბახიძემ ადრეც შემოგვითვალა, რომ ჩაგვბარდებოდა, მაგრამ მაშინ, როგორც ჩანს, დედის ნათესავებმა გადააფიქრებინეს,"** - გვითხრა გია კაჭარავამ.



*აღიარებს თუ არა მკვლელობაში ეჭვმიტანილი ბორის ზაბახიძე ოჯახის წევრების დახოცვას, დღეს გახდება ცნობილი.*

დაკავებული ეჭვმიტანილი ქუთაისის პოლიციის წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაიყვანეს, საქმეს კი ჭაიათურა-საჩხერის პროკურატურა იძიებს.

**"დაკავებული ჩადენილ დანაშაულს ხან აღიარებს, ხან კი უარყოფს. რაღაც პერიოდში კი აშკარად თავს იგიჟიანებს. არის თუ არა იგი ფსიქიურად დაავადებული, ამას სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის მიღების შემდეგ გავიგებთ. რა თქმა უნდა, ჩვენ არაფერს გამოვრიცხავთ, არც იმას, რომ იგი ახლობლებმა დაარიგეს, შეურაცხადად მოგვაჩვენოს თავი,"** - ამბობს პოლიციის უფროსი.

როგორც გია კაჭარავამ ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, ექსპერტიზა დაინიშნება ბორის ზაბახიძის შარვალზეც, რადგან ვიზუალური დათვალიერებით მასზე აღინიშნება ლაქები, რომელიც, შესაძლებელია, დახოცილთა სისხლი იყოს. ერთი სიტყვით, გამოძიება დაწყებულია და საბოლოო სიმართლეც მისი დასრულების შემდეგ დადგინდება.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში გუშინ გამართულ პროცესზე ბრალდების მხარემ, იეღოვას მოწმეთა ლიტერატურის განადგურების ბრალდებით განსასჯელ ბასილ მკალავიშვილისათვის 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა. პროცესზე პროკურორის შუამდგომლობას იეღოვას მოწმეთა ადვოკატიც დაეთანხმა. ბასილ მკალავიშვილისა და მისი მომხრე შვიდი განსასჯელის დაცვის მხარე კი განსასჯელებს უდანაშაულოდ მიიჩნევს და აცხადებს, რომ ისინი უნდა გაათავისუფლონ. სასამართლო თავის გადაწყვეტილებას მომავალ პროცესზე გამოაცხადებს. ბასილ მკალავიშვილი და მისი მომხრეები რამდენიმე თვის წინ დააკავეს გლდანში, მკალავიშვილის მიერ აშენებულ ეკლესიაში ჩატარებული სპეცოპერაციისას და მას სხვისი ქონების განზრახ განადგურებისათვის წაუყენეს ბრალი. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა დედაქალაქში მოქმედი ავტოტრანსპორტის გამტაცებელთა ორგანიზებული ჯგუფის ლიდერი ალექსანდრე ბროლაძე, მეტსახელად "აკო" დააკავეს. შს სამინისტროს ცნობით, მან 9 იანვარს მარჯანიშვილის მოედნიდან ერთ-ერთი მოქალაქის კუთვნილი ავტომანქანა "ბმვ" გაიტაცა. გატაცებული ავტომანქანა, ყალბი საბუთების გამოყენებით, მიჰყიდა სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქეს, ვინმე არტურ სანიკიანს და მასთან ერთად გადავიდა სომხეთის რესპუბლიკაში. გატაცებული ავტომანქანა ამოღებულია, ტარდება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები ბროლაძის თანამზრახველების დადგენა-დაკავების მიზნით. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**ოზურგეთი.** გურიის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს ლანჩხუთის რაიონის სოფელ წყალწმინდაში მცხოვრები, 52 წლის გიორგი კვინტაძე, რომელიც დაბა ურეკში თავს დაესხა სავაჭრო ჯიხურის მეპატრონეს, დაბა ნასაკირალში მცხოვრებ, 69 წლის გიორგი ტუნაშვილს და დანის მუქარით გასტაცა სასურსათო საქონელი. საქმეს იძიებს საგამოძიებო დეპარტამენტის ოზურგეთის განყოფილება. **მედია-ნიუსი**

## მოკლედ

### ასლან აბაშიძის ოჯახისთვის ქონების ჩამორთმევას უზენაესი სასამართლო განიხილავს

დღეს უზენაესი სასამართლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილი მეთაურის ასლან აბაშიძისა და მისი ოჯახის წევრთა ქონების დასაბუთებულობის საკითხის განხილვას დაიწყებს.

როგორც ცნობილია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს 2004 წლის სექტემბრის გადაწყვეტილებით, აბაშიძისა და მისი ოჯახის წევრების სახელზე რიცხული ქონება დაუსაბუთებლად ჩაითვალა და მესაკუთრეებს ჩამოერთვათ. აღნიშნული გადაწყვეტილება აბაშიძის ადვოკატებმა - სოსო ბარათაშვილმა და შალვა შავგულიძემ უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ პალატაში გაასაჩივრეს.

როგორც ბარათაშვილი აცხადებს, საქმე ხელახალი განხილვისთვის ისევ აჭარის უმაღლეს სასამართლოს უნდა დაუბრუნდეს, რადგან პროკურატურის მიერ წამოდგენილ დასკვნაში ასლან აბაშიძის ოჯახის წევრებს ისეთი ქონებაც მიეწერება, რომელიც მათ არ ეკუთვნოდათ. გარდა ამისა, ადვოკატის განმარტებით, საქმის განხილვის დროს არაერთხელ დაირღვა საპროცესო ნორმები.

პროკურორ ვლადიმერ ხუჭუას განცხადებით, ბრალდების მხარე აბაშიძეს და მასთან დაკავშირებულ პირებს 60 მლნ ლარად შეფასებულ ქონებას - სახლებს, ბინებს, სამეწარმეო წილებს, ავტომანქანებს, საბანკო ანგარიშებს - სრულიად კანონიერად ედავება. **ინტერ-პრესი**

### ევროსასამართლომ სულხან მოლაშვილის საქმე რეგისტრაციაში გაატარა

კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის სულხან მოლაშვილის საქმეს უახლოეს მომავალში ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლო განიხილავს. ამის თქმის საფუძველს იძლევა ის ფაქტი, რომ ევროსასამართლომ სულხან მოლაშვილის საქმე, სახელწოდებით "მოლაშვილი საქართველოს წინააღმდეგ," რეგისტრაციაში ახალ წლებამდე გაატარა.

მოლაშვილის ადვოკატი შალვა შავგულიძე იმედს გამოთქვამს, რომ ევროსასამართლო დააკმაყოფილებს მათ კიდევ ერთ თხოვნას, რომ საქმის განხილვა დაჩქარებული წესით მოხდეს.

შალვა შავგულიძის თქმით, საჩივარში აღნიშნულია მოლაშვილის წამების ფაქტი, ასევე ის, რომ დარღვეულია ევროპის კონვენციის მოთხოვნები მოლაშვილის პატიმრობაში ყოფნასთან დაკავშირებით და სხვა.

საქმის დაჩქარებული წესით განხილვასთან დაკავშირებით, ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოდან პასუხი უახლოეს დღეებში უნდა გახდეს ცნობილი.

როგორც ცნობილია, სულხან მოლაშვილი შარშან აპრილში დააკავეს. მას პროკურატურა სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში ედავება. პატიმრობაში მყოფ მოლაშვილს სხეულზე აღმოაჩნდა არაერთი დაზიანება, რაც, მისი ოჯახის წევრებისა და დამცველთა აზრით, მასზე განხორციელებული ფიზიკური ზეწოლის შედეგია. **მედია-ნიუსი**

### თბილისში ქვეითი პატრული ამუშავდა

გუშინ თბილისის საუბნო-სახაზო საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს პირველი სამუშაო დღის დაწყება შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა მიულოცა.

თბილისში სულ 254 ასეთი უბანია. თითოეულს თითო საპატრულო პოლიციელი ეყოლება. ქვეითი პოლიციის დანაყოფი სამ ცვლაში იმუშავებს. საუბნო საპატრულო პოლიციის თანამშრომელთა ძირითადი ფუნქციები ავტოპატრულის დახმარება, კუთვნილ ტერიტორიაზე სიტუაციის მართვა და დანაშაულის პრევენცია იქნება.

საუბნო-სახაზო პატრულის ყველა თანამშრომელმა ერთთვიანი მომზადება შსს-ს აკადემიის ბაზაზე გაიარა. საქართველოს მასშტაბით ქვეითი პატრულის ახალი კონტინგენტის მისაღებად საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში მსურველთა საბუთების მიღება ამჟამად წარმოებს.

როგორც შს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, საუბნო-სახაზო პოლიციის თანამშრომლები მუშაობას ახლადგარემონტებულ სამუშაო ოფისებში დაიწყებენ. ყველა უბანში სამუშაო ოთახების სარეაბილიტაციო სამუშაოები ჯერ კიდევ არ დასრულებულა, ამიტომ დღეისათვის საუბნო საპატრულო პოლიციის თანამშრომლები მხოლოდ ხუთ უბანში დაიწყებენ მუშაობას, ხოლო მთელი თბილისის მასშტაბით ყველა უბანი დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში დაკომპლექტდება.

გარდა ამისა, შს მინისტრი უწყების დაქვემდებარებაში არსებულ შს ყველა განყოფილებას სამუშაო პირობების გაუმჯობესებას და განყოფილებების ახალი ავეჯით აღჭურვას ჰპირდება. **ინტერ-პრესი**

### პოლიციელების ხელფასები გაიზრდება

პოლიციელთა მინიმალური ხელფასი უახლოეს მომავალში 300-400 ლარამდე გაიზრდება.

ამის შესახებ საქართველოს საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა სამშაბათს, პოლიციის სამმართველოების შემოწმებისას აცნობა ჟურნალისტებს. მისი თქმით, თბილისის რაიონების პოლიციის სამმართველოების უფროსების ხელფასი 800-1000 ლარი გახდება, ხოლო თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსს ხელფასი 2000 ლარი ექნება. ამასთან, მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პოლიციის უფროსის თანამდებობაზე სამშაბათს თამაზ ვასაძე დაინიშნა, რომელიც წარსულში ამავე რაიონის პოლიციის სისხლის სამართლის სამძებროს უფროსად, მოგვიანებით კი, შს სამინისტროში სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობდა. **პრაიმ-ნიუსი**

### ცხინვალში ნაცემი ოსი ჟურნალისტი თბილისში გადმოიყვანეს

ცხინვალში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციის "ჰუმანიტარული კვლევების ცენტრის" ხელმძღვანელი, ჟურნალისტი ალან ფარასტაევი, რომელიც ოსმა სამართალდამცავებმა 30 დეკემბერს სასტიკად სცემეს, ცხინვალიდან სამკურნალოდ თბილისში, პირველი კლინიკური საავადმყოფოს ნევროლოგიურ განყოფილებაში გადმოიყვანეს.

ექიმების განცხადებით, მკურნალობის პირველი ეტაპის შემდეგ მას მეტყველება აღუდგა, თუმცა მეხსიერების სრულად აღდგენა ჯერჯერობით ვერ ხერხდება.

ალან ფარასტაევს ოსმა სამართალდამცავებმა მას შემდეგ სცემეს, რაც მან ჰუმანიტარული ტვირთის ქართული სოფლებისკენ ცხინვალის გავლით გატარება მოითხოვა. იგი ტვინის მძიმე შეტევის დიაგნოზით ერთი კვირა ცხინვალის საავადმყოფოში მკურნალობდა.

უამინდობის გამო, მისი ვლადიკავკაზში გადაყვანა გაჭიანურდა და ახლობლებმა მისი თბილისში ჩამოყვანა გადაწყვიტეს. **მედია-ნიუსი**








# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

# კიდევ ერთი პოლემიკა კონცეფციის გარშემო

*კონცეფცია საქართველოს სახელმწიფოში აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ, "24 საათში" 2004 წლის 30 ივნისს გამოქვეყნდა და მაშინვე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება. ნაწილი ძალიან კარგ შეფასებას აძლევდა, მეორე ნაწილი - ძალიან ცუდს, მაგრამ ერთ საკითხში ყველა თანხმდება - მსგავს დოკუმენტებს შორის მოცემული კონცეფცია ყველაზე ფუნდამენტური ნამუშევარია. პროექტ "თქვენი აფხაზეთის" ფარგლებში ამ კონცეფციის არაერთი განხილვა დაბეჭდილა. დღეს კიდევ ერთი უნდა წარმოგიდგინოთ, რომელიც რამდენიმე დღის წინათ პოლიტოლოგიის ინსტიტუტში მოეწყო. შეგახსენებთ, რომ უახლოეს მომავალში საქართველოს მთავრობამ აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით უნდა შეიმუშაოს ოფიციალური დოკუმენტი, რომლის საფუძველი, როგორც სპეციალისტები ამბობენ, სწორედ ეს კონცეფცია გახდება. განხილვა მოაწყო აფხაზეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირმა. საზოგადოების წინაშე კონცეფციის ხუთი ავტორიდან მხოლოდ ორი წარდგა - პაატა ზაქარეიშვილი და კოტე კუბლაშვილი. როგორც პაატა ზაქარეიშვილმა შესავალ სიტყვაში განაცხადა, ეს არის პროვოკაციული დოკუმენტი, რომელმაც პოლემიკა უნდა გამოიწვიოს. ასეც მოხდა და პოლემიკას რიგითობის მიხედვით გთავაზობთ.*


ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

*კონცეფციის განხილვა პოლიტოლოგიის ინსტიტუტში.*

ზაზა ფაჩუაშვილი

**მალხაზ პატარაია, საზოგადოებრივი მოძრაობა "დაბრუნების" თავმჯდომარე:** " ძნელი მისახვედრი არ არის, საიდან მოდის ფედერალიზმის იდეა. თავის დროზე, ელცინი და გრაჩოვიც გვთავაზობდნენ ფედერალურ მოწყობას.

კონცეფციაში წერია, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი ფედერალიზმის პრინციპებს ემხრობა, მაგრამ სინამდვილეში ასე არ არის. პირიქით, ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი ფედერალიზმის წინააღმდეგია და სწორედ ამ ხალხის დამსახურებაა, რომ ფედერალიზმის იდეა ჯერ კიდევ არ განხორციელებულა.

ამის გარდა, კონცეფციაში კონფლიქტის გადაწყვეტის სამართლებრივ საფუძვლებს ნაკლებად ვხედავთ. აქ არის პოლიტიკური მიზანშეწონილობის საკითხის სამართლებრივი გაფორმების მცდელობა. ამ კონცეფციის საფუძველია კომუნისტური ხედვა - მაქსიმალური დათმობა აფხაზურ მხარეს. ასეთი მიდგომა სამართლებრივ საკითხებს ეწინააღმდეგება. დაუშვებელია დისკრიმინაცია და ადამიანების დაყოფა ეროვნული ნიშნით. ეს საყოველთაო ნორმაა.

კონცეფციაში წერია, რომ საქართველო არის ქართველებისა და აფხაზების ქვეყანა, ხოლო აფხაზეთი არის აფხაზების ქვეყანა. რას ნიშნავს ეს?! - ალბათ, იმას, რომ აფხაზეთი საქართველო არ არის.

კონცეფციის ავტორები ამბობენ, რომ აფხაზეთთან, როგორც სახელმწიფოებრივ წარმონაქმნთან, უნდა გაფორმდეს ხელშეკრულება. ასეთი მოდელი მნიშვნელოვან საფრთხეს შეიცავს. თუ ჩვენ აფხაზეთის დღევანდელ ხელისუფლებას არ ვცნობთ, როგორ შეიძლება მასთან რაიმე ხელშეკრულების გაფორმება?! მოსალოდნელია ხელშეკრულების ცალმხრივად დარღვევაც და ვინ გაარჩევს მერე მტყუან-მართალს?

ამ კონცეფციის მიხედვით, აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობა ვართ მხოლოდ ობიექტი, რომელსაც ან დააბრუნებენ აფხაზეთში, ან არა. ჩემი აზრით, ამ კონცეფციით იგულისხმება დევნილთა დიდი ნაწილის არდაბრუნება და სწორედ ამის ხარჯზე კეთდება კომპრომისი.

ეს არის რამდენიმე ფუნდამენტური პრინციპი, რომელსაც ჩვენ კატეგორიულად ვეწინააღმდეგებით, თუმცა სადავო კიდევ ბევრი საკითხია. მაგალითად, ის, რომ საქართველოს პრეზიდენტი და პარლამენტი აფხაზეთის ტერიტორიაზე თავის იურისდიქციას ვერ ახორციელებენ. და კიდევ, კონცეფციაში საერთოდ არაფერია ნათქვამი რუსეთის ფაქტორზე აფხაზეთთან დაკავშირებით. ჩემი აზრით, ამ კონცეფციის რეალიზაციით დაინტერესებულია სწორედ რუსეთი, რომელსაც სურს, ხავერდოვნად, ქართველი ერის ნებით ჩამოგვაცილოს აფხაზეთი. ეჭვი მაქვს, რომ ამ კონცეფციის ავტორები ქართულ საზოგადოებაში მიზანმიმართულად ახდენენ დასავლური ღირებულებების დისკრედიტაციას."

**თემურ ჩილაჩავა, თსუ-ის სოხუმის ფილიალის პრორექტორი:** "დღევანდელმა ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ყველა იმ ადამიანის უფლება, ვინც აფხაზეთში აფხაზებთან ერთად უნდა იცხოვროს. კონცეფცია უნდა იყოს ისეთი, სადაც ქართველთა და აფხაზთა ინტერესები თანაბრად იქნება გათვალისწინებული.

მე ყოველთვის ვიყავი მომხრე საქართველოს ასიმეტრიული ფედერაციული მოწყობისა, თანაც ისე, რომ აფხაზეთს ყველაზე მაღალი ავტონომიური სტატუსი ჰქონდეს. ოღონდ იმ პირობით, რომ ეს სტატუსი ერთნაირად მისაღები უნდა იყოს აფხაზებისთვის და აფხაზეთში მცხოვრები ყველა ადამიანისთვის. ჩემთვის მისაღებია დეცენტრალიზაციის საკითხი, ვინაიდან მიმაჩნია, რომ სახელმწიფო მაშინ არის ძლიერი, როცა რეგიონები ჰყავს ძლიერი.

ჩემთვის აბსოლუტურად მისაღებია ის გარანტიები, რაც ამ კონცეფციით ეძლევა აფხაზეთის მკვიდრ მოსახლეობას. ასევე მისაღებია აფხაზეთის მოქალაქეობა, თავისი პირადობის მოწმობით. ასევე მისაღებია ის გარემოება, რომ მომავალში, როცა საქართველოს ორპალატიანი პარლამენტი ეყოლება, სენატის თავმჯდომარე აფხაზეთის წარმომადგენელი იყოს. ასევე მისაღებია მაღალი ქვორუმის სისტემა, როცა აფხაზეთის დეპუტაციას შეუძლია, აფხაზეთთან დაკავშირებულ რაიმე გადაწყვეტილებას ვეტო დაადოს, და ასე შემდეგ. ასევე მისაღებია აფხაზეთში უძრავი ქონების შეძენის შეზღუდვა.

მაგრამ ჩემთვის, როგორც ქართველი კაცისთვის, რომელიც აფხაზის შვილიშვილია, კატეგორიულად მიუღებელია ის პრინციპი, რომელიც, ფაქტობრივად, არის პერიფრაზა არძინბას მიერ 1994 წლის 26 ნოემბერს მიღებული კონსტიტუციისა, სადაც წერია, რომ აფხაზეთის პრეზიდენტი უნდა იყოს 35-65 წლის ასაკის, აფხაზი ეროვნების ადამიანი. კონცეფციაშიც იგივე წერია, რომ პრეზიდენტი შეიძლება იყოს წარმოშობით მხოლოდ აფხაზი. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა არააფხაზს, რაგინდ დიდი პატრიოტი იყოს, წინასწარ ვუსპობთ უმაღლესი პოლიტიკური ამბიციის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

გადასახედია დევნილების დაბრუნების გრაფიკი და მოსახლეობის აღწერის საკითხი, რომლის თანახმად, აღწერას ექვემდებარება ყველა, ვინც იმ პერიოდისთვის აფხაზეთში იცხოვრებს. ხომ არ ვაძლევთ ამით აფხაზეთში დამკვიდრებისა და ხმის მიცემის უფლებას ომის შემდეგ ჩამოსულ ხალხს, მათ შორის "ბოევიკებს?" ეს კონცეფცია დაწერილია მართლაც ნიჭიერი იურისტის მიერ, მაგრამ ისე, რომ აქცენტი გაკეთებულია ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე. დაბრუნებულ დევნილთა ბედი კი მეორე პლანზეა გადაწეული. თუ ეს საკითხები არ გამოვასწორეთ, დევნილები ამ კონცეფციას მხარს არ დაუჭერენ."

**ვახტანგ თორდია, აფხაზეთის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე:** "როცა სტატუსზე ვსაუბრობთ, პირველ რიგში უნდა განვსაზღვროთ სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული მოწყობა. ამასთან დაკავშირებით, ალბათ, გადასახედი იქნება კონსტიტუციის შესაბამისი მუხლი. ჩვენს მდგომარეობაში ფედერაციულ მოწყობაზე უარის თქმა გაუმართლებლად მიმაჩნია და ამას ვერც მსოფლიო გაგვიგებს, თუმცა გარკვეული საშიშროება შეიძლება არსებობდეს. საბჭოთა უნიტარულ სახელმწიფოშიც კი გვქონდა ფედერაციული მოწყობის ნიშნები.

რაც შეეხება ტერმინს "სახელმწიფო წარმონაქმნი", ადმინისტრაციული ერთეულით უნდა შევცვალოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვეხმიანებით აფხაზეთის უკანონო კონსტიტუციას.

კონცეფციაში ძალიან კარგად არის განხილული უნიტარული სახელმწიფოების: ესპანეთის, შვეიცარიის, გერმანიის მაგალითები, რომლებსაც გააჩნიათ ავტონომიები, მაგრამ უფრო ჭარბობს დისკრიმინაციული მომენტები ქართველებთან დაკავშირებით, რასაც არ ვეთანხმები."

**თემურ მჟავია, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე:** "ჩვენ კონცეფცია განვიხილეთ ერთ კვირაში მას შემდეგ, რაც ის "24 საათში" დაიბეჭდა. იმთავითვე მივეცით მას მაღალი შეფასება. ჩვენ რამდენიმე შენიშვნა გვქონდა, რომელიც მაშინ ჩამოაყალიბა ბატონმა ჯემალ გამახარიამ და იგი თავად ისაუბრებს ამაზე. მე ერთი სურვილი მაქვს, რომ კონცეფცია აუცილებლად განვიხილოთ დიფერენცირებული სახით. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ შევქმენით 40-კაციანი საზოგადოებრივ-საკონსულტაციო საბჭო, რომელიც აქტიურად ჩაებმება ამ საქმიანობაში."

**ჯემალ გამახარია, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი:** "გამოვიდეთ რეალობიდან - ტერიტორია გვაქვს დაკარგული და აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებს საერთოდ ვერ ვაკონტროლებთ. აფხაზეთის სეპარატისტულ რეჟიმს გააჩნია თავისი კონსტიტუცია და გამოცხადებული აქვს დამოუკიდებლობა. აქედან უნდა ამოვიდეთ, თორემ ნოდარ ნათაძის პროექტი რომ ამას სჯობია, ცხადია. ამ მდგომარეობის გათვალისწინებით კი, კონცეფცია, რომელსაც დღეს განვიხილავთ, ძალიან სერიოზული და კარგი დოკუმენტია.

თუ აფხაზები მოლაპარაკებებზე წამოვლენ, ბუნებრივია, მაქსიმალურ უფლებებს მოითხოვენ. ამ შემთხვევაში, კეთილი ინებონ და მაქსიმალურად უზრუნველყონ აფხაზეთში ადამიანის უფლებები, დაამყარონ თანასწორუფლებიანობა. რა დონეზეც შეძლებენ აფხაზეთში მცხოვრები ხალხის თანასწორუფლებიანობის დაცვას, იმ დონის სუვერენიტეტი უნდა მოითხოვონ. თუ ჩვენ შევძლებთ ამ ორი ფაქტორის ერთმანეთთან შეთავსებას, მაშინ მართლაც კარგ დოკუმენტს მივიღებთ. ამიტომ ჩვენ საბოლოო შეჯერებულ ვარიანტში საერთაშორისო სამართლის ნორმებიდან გამომდინარე უნდა ჩავდოთ ადამიანთა თანასწორუფლებიანობის მექანიზმები და ამაში ვერავინ შეგვედავება.

რაც შეეხება პრეზიდენტს, არ უნდა ვთქვათ, რომ ის აუცილებლად აფხაზური წარმოშობის უნდა იყოს. მოდით, ვთქვათ, რომ აფხაზეთის პრეზიდენტი შეიძლება იყოს ის, ვინც ფლობს აფხაზურ და ქართულ ენებს. დასახვეწია სასამართლო ხელისუფლების საკითხიც.

რაც შეეხება ფედერალური ხელშეკრულების დარღვევის შესაძლებლობას, ასეთი შემთხვევისთვის კონცეფციაში უნდა იყოს გათვალისწინებული ისეთი მექანიზმები, რაც არ დაუშვებს ქართველი მოსახლეობის უფლებების შელახვას. ალბათ, ჩვენ კიდევ გვექნება შეხვედრები, სადაც ყველა სადავო საკითხს კონკრეტულად, მუხლობრივად განვიხილავთ."

**გიორგი ჩიქოვანი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე:** "ბატონმა პაატა ზაქარეიშვილმა თავად ბრძანა, რომ ეს არის პროვოკაციული დოკუმენტი იმ თვალსაზრისით, რომ აფხაზეთის საკითხის საყოველთაო განხილვის პროვოცირება მოახდინა. ჩემი აზრით, ამ დოკუმენტში არის დისკრიმინაციული მომენტები, რასაც არც მე და არც ჩვენი დევნილი მოსახლეობა მხარს არ დაუჭერს, მაგრამ თუ ეს ხარვეზები გამოსწორდება, დოკუმენტი მეტ-ნაკლებად ყველასთვის მისაღები იქნება. აქვე მინდა ვთქვა, რომ დროა ყველა კონცეფცია გამოქვეყნდეს."

**კოტე კუბლაშვილი, იურისტი, კონცეფციის ერთ-ერთი ავტორი**: "აქ რაც წერია, ეს არის იმ იდეიდან გამომდინარე, რომ აფხაზეთს ფედერაციის სუბიექტის სტატუსი უნდა ჰქონდეს, მაგრამ ყველას ძალიან ვთხოვ, კარგად წაიკითხოს ეს კონცეფცია. აქ არის 3 გვერდი საერთოდ საქართველოს ტერიტორიულ მოწყობაზე. რეგიონებისთვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების სტატუსი. ამიტომ ეს კონცეფცია შექმნილია ერთიანი ფედერალური საქართველოს იდეისთვის.

რაც შეეხება სახელმწიფოებრივი ერთეულის საკითხს - სახელმწიფოებრივი ერთეული არის ყველა ფედერაციის ყველა შემადგენელი სუბიექტი. აშშ-ს შტატებს ეწოდება სახელმწიფოები, გერმანიის ლანდებს ეწოდება წევრი-სახელმწიფოები, შვეიცარიაში კანტონები სუვერენულები არიან, და ასეა ავსტრიაში, ესპანეთში. ფედერალურ სუბიექტს აქვს თავისი ტერიტორია, ჰყავს საკუთარი მოსახლეობა და ირჩევს თავის ხელისუფლებას. ეს არის სახელმწიფოებრიობის სამი ძირითადი ნიშანი, რასაც ფლობს ფედერაციის სუბიექტი. განსხვავება ისაა, რომ ფედერაციული სუბიექტი იზღუდება იმდენად, რამდენადაც არსებობს ფედერაციის შემადგენლობაში. ეს მდგომარეობა სრულიად განსხვავებულია კონფედერაციული მოწყობისგან, ვინაიდან ფედერაციაში არ არსებობს ე.წ. გამოყოფის უფლება.

ეს კონცეფცია ჩვენ გავუგზავნეთ ორ ძალიან ცნობილ ექსპერტს: ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორს ალექსანდრე ბლანკენაკელს, რომელიც ჩვენი კონსტიტუციის შემუშავებაზეც მუშაობდა და შვეიცარიელ, ფრაიბურგის ფედერალიზმის ინსტიტუტის პროფესორს თომას შლაინერს. ჩვენ მივწერეთ, რომ აფხაზეთი არის სუვერენული ტერიტორიული ერთეული (სახელმწიფოებრივი ერთეული) საქართველოს შემადგენლობაში ფედერალური შეთანხმების ფარგლებში. მათი პასუხი იყო: თუ გინდათ, პირდაპირ სახელმწიფო დაწერეთო, ეს მაინც არ ნიშნავს დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსსო. მათ იციან, რომ ასეთი ფედერაციის სუბიექტების სტატუსი მართლაც სახელმწიფოებრივია.

რაც შეეხება აღწერას, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვინმეს რამე უკანონო ქონება დაუკანონდება. პირიქით, აღწერამ უნდა გამოავლინოს მკვიდრი და ომის შემდეგ ჩამოსახლებული ადამიანები. ამ აღწერასთან ერთად ქონების რესტრუქტურიზაციაც უნდა მოხდეს. გაირკვეს, უკანონოდ ვინ რა მიითვისა.

რაც შეეხება პრეზიდენტს, კონცეფცია გვთავაზობს სამ ვარიანტს - საპარლამენტო რესპუბლიკა, საპრეზიდენტო რესპუბლიკა, ან შერეული (პრეზიდენტს აქვს მხოლოდ წარმომადგენლობითი ფუნქცია, ისევე, როგორც გერმანიაში). თუ აფხაზებთან შერეულ ვარიანტზე შევთანხმდებით, მაშინ შეიძლება, რომ პრეზიდენტი იყოს მხოლოდ აფხაზი. თუ არა, ძალიან რეალური ვარიანტი იქნება - პრეზიდენტმა იცოდეს ორივე, ქართული და აფხაზური ენა.

რაც შეეხება ხელშეკრულების დარღვევის შესაძლებლობას, ეს ყოველთვის შეიძლება მოხდეს, იდეალური კონცეფციის პირობებშიც კი. ასეთ შემთხვევაში ამოქმედდება საერთაშორისო მექანიზმები. ბოლოს და ბოლოს, ეს კონსტიტუციის დარღვევა იქნება.

ფედერალურ შეთანხმებაში წერია, რომ მასში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ ორივე მხარის თანხმობით. ეს გარანტიაა აფხაზებისთვისაც და ქართველებისთვისაც, პირველ რიგში - აფხაზებისთვის, როგორც უმცირესობაში მყოფი ხალხისთვის. ხელშეკრულება იქნება, აგრეთვე, აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შენარჩუნების გარანტიაც. არც საქართველოს პრეზიდენტს და არც რომელიმე პოლიტიკურ ძალას არ ექნება ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა.

არასწორია ოპონენტთა დასკვნები იმის თაობაზე, რომ ამ კონცეფციით აფხაზეთში ქართველთა უფლებები აფხაზებთან შედარებით იზღუდება. დევნილთა მხოლოდ ნახევარი რომ დაბრუნდეს, ქართველები აფხაზებზე მაინც ორჯერ მეტი იქნებიან. ამიტომ, უმცირესობა რომ არ დაიჩაგროს, კონცეფციაში ჩადებულია ისეთი მექანიზმები, რომ აფხაზები და ქართველები ერთნაირ პოზიციაში აღმოჩნდნენ.

ამ კონცეფციაში ძალიან ბევრი დეტალი ღიად არის დატოვებული, რათა აფხაზეთში დაბრუნებულმა ქართველებმა და აფხაზებმა შეთანხმებული გადაწყვეტილება მიიღონ. ამთავითვე ყველაფრის კარნახი შეუძლებელია."

# აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის დარეგულირების სამშვიდობო პროცესის ეფექტური ტრანსფორმაციის უმთავრესი პრინციპები

*პროექტი შემუშავებულია სამხრეთ კავკასიის რეგიონალური უსაფრთხოების ინსტიტუტის მიერ და წარმოადგენს დანართს შესაბამის დოკუმენტებთან - აფხაზეთის და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კონფლიქტების დარეგულირების კონცეფციები*

## დიაგნოსტიკა, ანალიზი და კონფლიქტების ზოგადი ანალიზი

ორი შესაბამისი ექსპერტთა და ანალიტიკოსთა საერთაშორისო ჯგუფის შექმნა, რომლებიც ადეკვატურ შეფასებას მისცემენ აღნიშნულ კონფლიქტებს, ჩაუტარებენ დიაგნოსტიკას - მათ კომპონენტებს, ასევე კონფლიქტის მხარეთა პოზიციებს და ინტერესებს. ანალიტიკოსთა ჯგუფში სასურველია, შედიოდნენ კონფლიქტურ მხარეთა წარმომადგენლები - ექსპერტები, რომელთაც აქვთ პირდაპირი ან ირიბი შეხება კონკრეტულ კონფლიქტთან. შეზღუდული უნდა იყოს სამუშაო ჯგუფის წევრთა რაოდენობა. ჯგუფში უნდა იყვნენ მაქსიმალურად დამოუკიდებელი, გამოცდილი ფასილიტატორები, ქვეყნებიდან რომელთა ინტერესები მინიმალურია აღნიშნულ კონფლიქტებში.

ხელი უნდა შეეწყოს ანალიტიკოსების მიერ კონცეფციის შექმნას, რომლებიც გამოხატავენ კონფლიქტის მონაწილე მხარეთა ინტერესებს (ან დამოუკიდებლები არიან). მაშინ ამ დოკუმენტებს ექნება უფრო მეტად პრაქტიკული გამოყენება, შეიქმნება საფუძველი რეალური სამშვიდობო პროცესისა.

## დეესკალაცია და კონფლიქტის დემონტაჟი

უპირველეს ყოვლისა კონფლიქტის დეესკალაციისათვის აუცილებელია მხარეთა სურვილი, რომ კონფლიქტი არაძალადობრივი ფორმებით გადაიჭრას, ორიენტირება ხანგრძლივ, მდგრად ურთიერთთანამშრომლობაზე და არა მოწინააღმდეგის სრულ განადგურებაზე.

დეესკალაციის უმთავრესი პირობებია დეინტერნაციონალიზაცია და კონფლიქტის ლოკალიზაცია. მხარეებმა ორიენტირება უნდა გააკეთონ საერთო საფრთხეების აღმოჩენაზე და სტრატეგიული პარტნიორობის ორგანიზებაზე.

კონფლიქტის ინტერნაციონალიზაციის პროცესი უნდა ჩანაცვლდეს საერთაშორისო რესურსებით, რომლებიც აუცილებელია მთლიანობაში სამშვიდობო პროცესის ეფექტურობისათვის.

დეესკალაციის ერთ-ერთი პრინციპი უნდა იყოს კონფლიქტის "დემონტაჟის" პრინციპი, რაც გულისხმობს კონფლიქტის დაშლას (დანაწევრებას) კომპონენტებად, სამუშაოების ჩატარება თითოეული მათგანის დეგენერაციისათვის

## კონფლიქტის აღქმის დეეთნიზაცია

აღნიშნული კონფლიქტების მონაწილეებმა უნდა აღიარონ, რომ ეთნიკური კომპონენტი არ არის კონფლიქტის ერთადერთი შემადგენელი და მისი გაიგივება არ უნდა ხდებოდეს, მაგალითად პოლიტიკურ კომპონენტთან.

მხარეებმა უარი უნდა თქვან აფხაზეთის და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიებზე ეთნოკრატიული რეჟიმების მშენებლობაზე.

სამშვიდობო პროცესის მართვასა და ყოფილი ავტონომიების მომავალთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობა შეუძლიათ და უნდა მიიღონ ყველა ეთნო-ნაციონალურმა ჯგუფებმა და ქვეჯგუფებმა, რომლებიც კონფლიქტური ზონების ტერიტორიებზე ცხოვრობენ.

მხარეები განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მიუდგნენ და გაიაზრონ მნიშვნელობა შერეული ოჯახების სიმრავლისა, რომლებიც წარმოადგენენ კონფლიქტის მსხვერპლთა ერთ-ერთ კატეგორიას; მათ გამოყენებას, როგორც ბუნებრივი "ბიოლოგიური მექანიზმისას", დარეგულირების პროცესში უნდა ჰქონდეს უფრო სერიოზული ხასიათი და არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ზოგიერთი ინიციატივებით სახალხო დიპლომატიის დონეზე.

აუცილებელია უარის თქმა შეირაღებული კონფლიქტის დროს დაღუპულთა მონაცემებით პოლიტიკურ სპეკულაციაზე; აგრეთვე ადამიანის უფლებების უხეში დარღვევების შესახებ ინფორმაციის, რომელიც კონფლიქტის მხარეთა ხელთაა, გაერთიანება და კონფლიქტის მსხვრეპლთა საერთო საინფორმაციო ბაზის შექმნა. კონფლიქტის მსხვერპლთა აღქმა, როგორც საერთო უბედურების. განცდის სიმბოლოების სახით გადმოცემა, მაგალითად ერთობლივი მემორიალების და ძეგლების აგებით.

## დემოკრატიზაცია

მოცემული კონფლიქტების მხარეებმა და საერთაშორისო საზოგადოებამ უნდა აღიარონ, რომ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის საზოგადოებრივი ორგანიზმები წარმოადგენენ ტიპურ გახლეჩილ საზოგადოებას (divided society), ეს უტყუარი ფაქტია. გახლეჩილი საზოგადოების წარმომადგენლებს სხვადასხვა შეხედულება აქვთ აღნიშნული რეგიონების ბედთან დაკავშირებით. ნაწილს სურს გამოყოფა, მეორე ნაწილს კი საქართველოსთან კავშირების გამყარება. ამ დაყოფის საზღვრები არ შეესაბამება ეთნიკურ საზღვრებს, როგორც ეს ხდება, მაგალითად მთიან ყარაბაღში.

სამშვიდობო პროცესის უმთავრესი მიზანი უნდა გახდეს გახლეჩილი საზოგადოების რეინტეგრაციის პროცესი. ამისათვის საჭიროა კონფლიქტის ყველა მონაწილემ და საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენლებმა მიმართონ მთელი თავისი ძალები მოლაპარაკებების პროცესის დასაწყებად გახლეჩილი საზოგადოების წარმომადგენელთა შორის.

გახლეჩილი საზოგადოების თითოეულმა მხარემ საჭიროა, გაიაზროს ფაქტი, რომ სტრატეგიული პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება არ უნდა ხდებოდეს მეორე მხარის მონაწილეობის გარეშე.

ყველაფერი ერთიანდება კონკრეტულ პოლიტიკურ მიზანში - აფხაზეთის და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დაიწყოს მშენებლობა პოლიტიკური რეჟიმისა ლეგიტიმურობის მაღალი დონით; ე.ი. სამოქალაქო დემოკრატიის და არა ეთნოკრატიული რეჟიმების.

დონორმა ორგანიზაციებმა უნდა შეწყვიტონ უარყოფითი პრაქტიკა ცალმხრივი დაფინანსებისა და ხელი შეუწყონ კონფლიქტით გახლეჩილი საზოგადოების ყველა ნაწილის სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების თანაფარდ განვითარებას. განსაკუთრებით წახალისებული უნდა იყოს ერთობლივი პროექტების პრაქტიკა, რომლებიც ხელს შეუწყობენ რეინტეგრაციას.

## მოლაპარაკების პროცესის დეფორმატიზაცია

მოცემული კონფლიქტის მხარეებმა უნდა აღიარონ ის ფაქტი, რომ მოლაპარაკებების პროცესები არაადეკვატურად ასახავენ დაპირისპირების რეალურ არსს. კონფლიქტის მხარეები, მაგალითად რუსეთი მოლაპარაკების პროცესში წარმოდგენილია მედიატორად, რაც შეუთავსებელია სამშვიდობო პროცესების ორგანიზების ძირითად პრინციპებთან და მოლაპარაკებების ფორმატთან კერძოდ.

აუცილებელია მოლაპარაკებების ფორმატის დივერსიფიკაცია. მოლაპარაკებები არ უნდა შეიზღუდოს მხოლოდ ერთი ფორმატით, ჟენევის ან სოჭის. ისინი უნდა წარმოებდეს ჩვენ მიერ დემონტირებული კონფლიქტის ყველა წახნაგში (საზღვარი, მიჯნა). მედიატორთა რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს კონფლიქტის წახნაგთა რაოდენობას და იმას თუ რამდენი მოლაპარაკებათა ფორმატი ემსახურება დარეგულირების პროცესს .აუცილებელია ახალი მედიატორების მოძიება.

## დეკრიმინალიზაცია

აუცილებელია კონფლიქტის მხარეებმა (მონაწილეებმა) შექმნან ყველა პირობა, რათა კრიმინოგენულმა დონემ კონფლიქტურ ზონებში მაქსიმალურად დაიწიოს, ვინაიდან ყოველი კრიმინალური ქმედება ხელს უწყობს მტრის ხატის ფორმირებას და განიხილება, როგორც პოლიტიკური აქტი (ქმედება).

უპირველეს ყოვლისა საჭიროა ზომების მიღება ისეთი ფაქტების აღსაკვეთად, როგორებიცაა ცოცხალი ადამიანებით და გარდაცვლილთა სხეულებით ვაჭრობა (სპეკულირება). კრიმინალური დაჯგუფებების ქმედება, როგორიცაა ტყვედ აყვანა უნდა გაიგივდეს ტერორისტულ აქტთან. მსგავსი დაჯგუფებები განადგურებულ უნდა იქნეს საერთო ძალისხმევით.

საჭიროა შემუშავდეს სპეციალური პროგრამები კონტრაბანდასთან საბრძოლველად. პირველ რიგში იარაღის და ნარკოტიკების. კონტრაბანდასთან ბრძოლის მეთოდებმა არ უნდა შეასუსტონ კონფლიქტის ზონებში მცხოვრებთა ისედაც პრობლემური ეკონომიკური მდგომარეობა.

მნიშვნელოვანია, მეტი ყურადღება დაეთმოს პოლიციელთა ჯგუფების ერთობლივ მომზადებას, რომლებსაც ექნებათ საშუალება ოპერატიულ ქმედებებთან ერთად დაგეგმონ ერთობლივი სტრატეგიული და ტაქტიკური ამოცანები. ხელი უნდა შეეწყოს შერეული ოჯახების წარმომადგენალთა აქტიურ, მაგრამ გონიერ ინტეგრაციას ამ პროცესში.

## დემილიტარიზაცია

კონფლიქტის მონაწილეებმა მკვეთრად უნდა შეზღუდონ პოლიტიკური მილიტარიზაცია. პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში სამშვიდობო პროცესი არაეფექტური იქნება, ვინაიდან საძირკველში არ იქნება ნდობა.

აუცილებელია აღქმა იმისა, რომ არსებობს და ხელმისაწვდომია უფრო თანამედროვე, ალტერნატიული, ცივილური ტექნოლოგიები კონფლიქტის დარეგულირებისა, გამოყენებითი კონფლიქტოლოგია დამყარებული მეცნიერულ ანალიზზე და გამოცდილებაზე.

საჭიროა ორიენტირება კონფლიქტური ზონების სრულ დემილიტარიზაციაზე და მათვის მშვიდობიანი ზონის საერთაშორისო სტატუსის მინიჭებაზე. პირველ რიგში ეს უნდა შეეხოს გალის რაიონს.

კონფლიქტში მყოფმა მხარეებმა უნდა დაიწყონ ლოკალური სამშვიდობო კონტინგენტების შექმნის პროცესი, გახლეჩილი საზოგადოების წარმომადგენლებისაგან (პირველ რიგში შერეული ოჯახების წევრთაგან). ამ კონტინგენტებმა შესაძლებელია, გაიარონ სპეციალური მომზადება მსოფლიოს სხვადასხვა კონფლიქტურ ზონებში და მომავალში გახდნენ საფუძველი ერთ-ერთი ძირითადი მექანიზმის საერთო (ზეეთნიური) უსაფრთხოების სისტემის შექმნისა.

პირველ რიგში საჭიროა ჰუმანიტარულ გამნაღმველთა სპეციალური ქვეგანაყოფის შექმნა და მომზადება, რათა თავიდან აცილებულ იქნეს მოსახლეობის და საერთაშორისო ორგანიზაციათა წარმომადგენლების ნაღმებზე აფეთქება.

პრინციპულად მნიშვნელოვანია მექანიზმების შექმნა, რათა მოხდეს პრევენცია მომავალში აფხაზეთის და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე მეზობელი ქვეყნების, რომელთაც გააჩნიათ აღნიშნულ ზონებში ისტორიული სტრატეგიული ინტერესები, სამხედრო კონტინგენტის (მათ შორის სამშვიდობოსი) განთავსების არ დაშვებისა.

მათი მონაწილეობის ალტერნატივა შესაძლებელია, გახდეს მხოლოდ საერთო სამოქალაქო უსაფრთხოებაზე ორიენტაცია აფხაზეთსა და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიებზე და აღნიშნული კონფლიქტური ზონების საერთაშორისო სტატუსი.

პროექტის მხარდამჭერი conciliation resources

დამსხვრეული ბავშვი სცენაზე



B2

კარავაჯოდან კაილი მინოუგის ჩათვლით



B3

სოლო ფრენა მსოფლიოს გარშემო



B8

ნომრის სტუმარი

# რუსთავი "მკვდარი ქალაქი" აღარ უნდა იყოს

მაია ქალაგანიძე

*ისინი ჩვენი მოქალაქეები არიან და მათაც ზუსტად ის პრობლემები აწუხებთ, რაც საქართველოს ნებისმიერ სხვა რეგიონში - უმუშევრობა, სიბნელე, სიღარიბე, მაგრამ ქვემო ქართლს მაინც სპეციფიკურ რეგიონს უწოდებენ. "სპეციფიკურობა" შევარდნაძის დროს ნამდვილად იმას გულისხმობდა, რომ რეგიონი ყოველთვის ხელისუფლების ლამის ერთადერთი რესურსი იყო არჩევნებში. თუკი მამალაძის ეპოქის მსგავსად ეს მითიც დაიმსხვრევა, ეს პირდაპირ კავშირში იქნება ხელისუფლებისა და ამ რეგიონის მართლაც განსაკუთრებულად არადემოკრატიულ საარჩევნო ურთიერთობებთან.*

*უკანასკნელი წლის მანძილზე, ამ რეგიონში პრეზიდენტმა ზურაბ მელიქიშვილი მეორედ დანიშნა რწმუნებულად. პირველად მან ეს სკამი პირდაპირ მამალაძის შემდეგ დაიკავა. მოგვიანებით ის სახელმწიფო მინისტრად (რეგიონულ საკითხებში) გადაიყვანეს. სამი კვირის წინ მაზმიშვილი შეცვალეს და მელიქიშვილი ისევ რწმუნებულის პოსტზე დააბრუნეს. ამ ცვლილების შესახებ ხელისუფლება მკაფიო განმარტებებს არ იძლევა. ამის გაგებას და იმასაც, პირველად მოსვლა უფრო რთული იყო თუ მეორედ - თავად გუბერნატორისგან შევეცადეთ.*



*სახელსა და გვარს არ ვებრძვი. ნებისმიერ ადამიანთან ერთად ვაპირებ ბრძოლას.*

**- რატომ დაგაბრუნათ პრეზიდენტმა?**

- რეგიონის პრობლემების მოსაგვარებლად. აქ უამრავი პრობლემაა, მაგრამ არა მოუგვარებელი - შეიძლება, დროში გაიწელოს, მაგრამ მოუგვარებელი პრობლემა არ არსებობს. ერთ მაგალითს გეტყვით - ჯანდარასა და ლემშვენიერას ირგვლივ არსებული მიწები სულ რამდენიმე ადამიანის ხელში იყო და არც ბიუჯეტში იხდიდნენ თანხებს. გამგეობის გადაწყვეტილებით, ეს მიწები ამ ორი სოფლის მაცხოვრებლებს გადაეცათ. აქ რომ ჩამოვედი, ექვსივე რაიონის მიწის მართვის განყოფილების უფროსი მოვხსენი და საქმე სამართალდამცავებს გადავეცი, რადგან დიდი კანონდარღვევები იყო. რამდენიმე მათგანზე საქმეც აღიძრა და შეიძლება, დაჭერილიც არის.

**- პრეზიდენტმა თქვენი წინამორბედიც იგივე დავალებებით დანიშნა, რატომ შეცვალეს?**

- ის რწმუნებული და გამგებელია წარმატებული, რომელსაც ადგილობრივი ინიციატივები აქვს. არ შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ პრეზიდენტის მითითებებზე იყო დამოკიდებული. კარგია, როცა პრეზიდენტის დავალებას შეასრულებ, მაგრამ ადგილობრივი ინიციატივა სულ სხვა რამ არის.

**- მეორედ მოსვლა უფრო ადვილია?**

- რეგიონში პირველად უფრო მძიმე ვითარება დამხვდა.

**- ქვემო ქართლს სპეციფიკურ რეგიონს რატომ უწოდებენ?**

- აქ სხვადასხვა ეროვნების ჩვენი მოქალაქეები ცხოვრობენ და თითოეულ რაიონთან ინდივიდუალური მიდგომაა საჭირო. წლების განმავლობაში ეს რაიონები კონკრეტული მიმართულებით ვითარდებოდა - ერთი რაიონი მებოსტნეობას მისდევდა, მეორე - მეცხოველეობას და ა.შ. უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში ამ რაიონებს ეს ფუნქციები სრულიად მოეშალათ. საზღვრისპირა რაიონები ტვირთების გადატანა-გადმოტანით არიან დაკავებული, ზოგიც მიწაზე მუშაობს. გარდაბანსა და მარნეულში ძირითადად, მებოსტნეობა უნდა განვითარებულიყო. რაც შეეხება დმანისის რაიონს - იქ ისეთი კლიმატია, რომელიც მოსფლიოში თითზე ჩამოსათვლელია. მაგალითად, დმანისში შეიძლება ჰოლანდიური ყველის წარმოება და ჩემი მხრიდან დანაშაული იქნება, ამას ხელი არ შევუწყო.

**- და არა სულუგუნის სამშობლოში?**

- აქ მნიშვნელობა აქვს, რომელ ზონაშია გაზრდილი საქონელი. ამ მხრივ, უკვე კონკრეტულად არის საუბარი 2 მინისაწარმოზე. მარნეულსა და თეთრიწყაროს რაიონში გადამამუშავებელი მინიქარხნების მშენებლობით ქართველი ბიზნემენებიც არიან დაინტერესებული. ჩემი ძირითადი მიზანი ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა, კრიმინალური ვითარების გამოსწორება და ბიზნესგარემოს შექმნაა. არ შეიძლება ადამიანი დამოკიდებული იყოს მხოლოდ რამდენიმე დიდი საწარმოს მუშაობაზე.

**- ქალაქი რუსთავი სწორედ ამ ქარხნების გამო აშენდა...**

- დიახ, აშენდა და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ მეტალურგიამ დიდი დატვირთვით იმუშაოს. მაგრამ, არ შეიძლება მანამდე გულხელდაკრეფილები ვიყოთ. რუსთავში უამრავი არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთია გაცემული, სადაც უნდა აშენებულიყო კაფე, სპორტული დარბაზი, სხვა ობიექტები, სადაც ადამიანები უნდა დასაქმებულიყვნენ. დღეს ამ სამუშაოების 70 პროცენტი შესრულებული არ არის და ობიექტების ნასახიც არ არსებობს. ქარხანაზე, რომელშიც 13 000 ადამიანი მუშაობდა, კიდევ მიბმული იყო მცირე საწარმოები და ინფრასტრუქტურა. ამ ყველაფრის გაჩერების შედეგად ადამიანები დღეს დაუსაქმებელნი არიან.

**- ეს რეგიონი სპეციფიკური მოსახლეობის პოზიციით და განწყობით არის?**

- აქ არ არის საუბარი მოქალაქეების განწყობაზე. თუ სადმე შევარდნაძის ხელისუფლება ძლიერი იყო, ეს ქვემო ქართლში ხდებოდა. მამალაძე 8-9 წლის განმავლობაში იყო პირველი პირი, ჰქონდა მართვის საკუთარი სისტემა, გეგმა, რომელიც დღეს მთლიანად მოვშალეთ.

**- უკანასკნელ არჩევნებში აქედან ახალმა ხელისუფლებამაც კარგად მიიღო ხმები...**

- დიახ, მიიღო და ეს არ იყო დამოკიდებული აქამდე არსებულ სისტემაზე.

**- რა შეცვალეთ ადმინისტრაციაში?**

- აპარატის თანამშრომელი იქნებოდა თუ სხვა ადამიანი, მისი არსებობა დამოკიდებული იყო ურთიერთობებზე რეგიონის პირველ პირთან - სხვა რამ განმსაზღვრელი არ ყოფილა. აპარატშიც და გამგეობებშიც უამრავი ისეთი ადამიანი მუშაობდა, რომელსაც არასდროს შეურცხვენია საკუთარი თავი და უკანონო არაფერი ჩაუდენია. მხოლოდ ადამიანთა გარკვეული ჯგუფი აკეთებდა ამას ხალისით.

**- ამ ჯერზე რისი შეცვლით დაიწყეთ?**

- პრიორიტეტები განვსაზღვრე - ინფრასტრუქტურის მოწყობა და ბიზნესისთვის მისაღები გარემოს შექმნა. ბიზნესის განვითარება ერთი მარტივი მიზეზის - ხალხის დასაქმებისთვის არის საჭირო. მთავარია, თითოეულმა რაიონმა თავისი ფუნქცია შეიძინოს.

**- კონკრეტულად?**

- დმანისში უნდა დავაბრუნოთ მეცხოველეობა...

**- დმანისი არქეოლოგიური აღმოჩენების გამო ისედაც არის მსოფლიო რუკაზე...**

- დიახ და ამის გამო აქ ტურიზმიც უნდა განვითარდეს. იქ დღემდე არ არსებობს მუზეუმი, სასტუმრო და ტურიზმისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა. მარნეულის რაიონში არის მიწები, სადაც სეზონზე ორჯერ იღებენ მოსავალს. მაგრამ, თუ არ იქნება ჩამბარებლი პუნქტები, გადამამუშავებელი ქარხანა და სხვა - ეს რაიონი არ განვითარდება. ეს მომგებიანი ბიზნესია და ბიუჯეტიც ივსება. კანონით იქნება დევნილი ადამიანი, რომელიც აქ ბიზნესმენს რაიმე სახით მოსთხოვს წილს. ანალოგიური უნდა გაკეთდეს გარდაბნის რაიონზეც.

რუსთავში უნდა ამუშავდეს საწარმოები და არ იგულისხმება მხოლოდ ორი-სამი დიდი საწარმო. 40 000 ოჯახზე სამი სასწრაფო მანქანა მუშაობს. თბილისის მთავრობისა და ჯანდაცვის მინისტრის დახმარებით აქ სამი მანქანა დავამატეთ და უფასო მომსახურებაზე გადასვლისთვის ვემზადებით.

განახლდება ტროლეიბუსის პარკიც (უკვე 4 ჩამოვიყვანეთ), რადგან ეს რუსთაველთათვის იაფი ტრანსპორტია. სერიოზულად ვფიქრობთ მუნიციპალური ტრანსპორტის ამუშავებაზეც. მერიას დავალებული აქვს და რუსთავის საზოგადოებასთან, საკრებულოსთან ერთად ქალაქის გეგმის პრეზენტაციას გავაკეთებთ. არ შეიძლება რუსთავში, რუსთაველის ძეგლის უკან, მანქანების სამრეცხაო პუნქტი იყოს.

რუსთავში ნომერ პირველი წყლის პრობლემაა. მთელი სისტემის შეცვლისთვის რამდენიმე მილიონია საჭირო და ეს ეტაპობრივად მოხდება. ქალაქში დაიწყება შიდა საუბნო გზებისა და ეზოების მოწესრიგება და ერთდროულად შეიცვლება მილებიც, რომელიც ამორტიზების გამო მაღალ წნევას ვერ უძლებს.

**- რა დოზით ერევა რეგიონის ადმინისტრაცია აქ არსებული დიდი საწარმოების პრივატიზების საკითხებში, რომელიც ხშირად სადავოა?**

- რწმუნებულის საქმე ნამდვილად არ არის ამა თუ იმ საწარმოსთვის ინვესტორის მოძებნა. ამისთვის არსებობს ეკონომიკის განვითარების სამინისტრო, რომელმაც სახელმწიფო დანიშნულების საწარმოების განვითარების შესაბამისი პირობები უნდა განსაზღვროს.

აქ წლების გნმავლობაში განუკითხაობა იყო. საწარმოს გაუჩნდა საეჭვო წარმოშობის მევალეები. ეს არ არის მილიონიანი დავალიანება. მათ ჯართის სახით 300-500 000-ის ნედლეული შეიტანეს და ამის სანაცვლოდ გადაეცათ ხან სტადიონი, ხან სასტუმროს შენობა. ეს მასალები ძიებას გადავეცი და ასეთი ფაქტი უამრავია.

**- მერიასთან როგორი ურთიერთობები ჩამოგიყალიბდათ?**

- საქმიანი. გვაქვს ბევრი კარგი იდეა. მე სახელსა და გვარს არ ვებრძვი. ნებისმიერ ადამიანთან ერთად ვაპირებ ბრძოლას. მერიის თანამშრომლებს ვუთხარი - ვისაც ჩემთან ერთად ბრძოლის მორალური უფლება გაქვთ, გამომყევით-მეთქი.

**- რამდენი დაგემშვიდობათ?**

- ჯერჯერობით არავინ.

**- განსაკუთრებით ამ რეგიონშია მნიშვნელოვანი სამოქალაქო სექტორის, ადგილობრივი არასამთავრობოების არსებობა...**

- ამ ხნის განმავლობაში რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციას შევხვდი და სერიოზული ანტიკორუფციული მასალები მომაწოდეს, რომელზეც ერთად გავაგრძელებთ მუშაობას. არ ვარ დამოკიდებული არც გამგებელზე და არც სოფლის საკრებულოზე, მათთან არანაირი ვალდებულება არ მაქვს და ადამიანის მოხსნა ჩემს შინაგან სირთულეებთან დაკავშირებული არ არის. ვაპირებ შევქმნა საზოგადოებრივი საბჭო, სადაც შევლენ არა მხოლოდ არასამთავრობოების წარმომადგენლები, არამედ ცნობილი რუსთაველები, ადამიანები, ვისაც უყვარს ეს ქალაქი. ამ ქალაქს იმედი უნდა დავუბრუნოთ. არ მინდა ვიყო იმ რეგიონის რწმუნებული, სადაც შვიდ ტერიტორიულ ერთეულში არც ერთი კინოთეატრი არ მუშაობს. რუსთავი "მკვდარი ქალაქი" აღარ უნდა იყოს.

**- რეგიონში კონტრაბანდასთან ბრძოლის ეთნოკონფლიქტად მონათვლის მცდელობები შეინიშნება. როგორ უმკლავდება ამას ადგილობრივი ხელისუფლება?**

- ჩემი ჩამოსვლის პირველივე დღეებში რეგიონის ფინანსურმა პოლიციამ ერთი სოფლის მხოლოდ 2 ოჯახიდან, დაახლოებით, 10 მილიონის კონტრაბანდული საქონელი ამოიღო. ეს იყო 12-13 დატვირთული "კამაზი"... კონტრაბანდას, გარკვეულწილად, უმუშევრობა და სწრაფად ფულის შოვნის სურვილიც განსაზღვრავს. მაგრამ ტვირთის მფლობელი გადმომტანი არ არის. ტვირთი ჩვენი საზღვრის იქით იხსნება. რადგანაც 300 ლარამდე ღირებულების გადმოტანას განბაჟება არ სჭირდება, ხელით გადმოაქვთ და ამაზე მთელი სოფლები მუშაობენ. უფრო დიდ დამნაშავეებად ის მებაჟეები მიმაჩნია, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან ამ მოვლენას. ჩემი მოთხოვნით, წითელი ხიდისა და ვახტანგისის საბაჟოს თანამშრომლებს შეცვლიან, მაგრამ აქ სისტემური ცვლილებებია საჭირო - ყველა რგოლი უნდა გაძლიერდეს, უნდა შეიქმნას სამუშაო ადგილები და ეს ხალხი დასაქმდეს. რეგიონში ყოველთვის იყვნენ ისეთი ადამიანები, ქართველებიცა და აზერბაიჯანელებიც, რომლებიც ეთნიკური ფაქტორით მანიპულირებდნენ. ამის საშუალება არ უნდა მივცე და ამას საქმით უნდა შევეწინააღმდეგო. ამ რეგიონში ნებისმიერ კრიმინალურ ფაქტზე იმ დღესვე თუ არ მოხდა რეაგირება, ეს შეიძლება ვინმემ გამოიყენოს და ეთნოკონფლიქტი დაარქვას.

**- ადრე, განსაკუთრებით საზღვრისპირა სოფლების სკოლებში, აზერბაიჯანული წიგნებით სწავლობდნენ, სადაც დამახინჯებული იყო ისტორია და საზღვრები. ახლა?**

- ჩვენი წიგნებით ასწავლიან. როგორი დაფინანსებაც იყო, ისე ასწავლიდნენ ქართულ ენას, ანუ პრაქტიკულად არ ასწავლიდნენ. შარშან განათლების სამინისტროს პროექტის ფარგლებში ჩამოვიდნენ პედაგოგები და სხვადასხვა სკოლებში ასწავლიან ქართულ ენას. გარდა ამისა, გამგეობებში გაიხსნა ქართული ენის შემსწავლელი კურსები და მოთხოვნა იმდენად დიდია, რომ შეიძლება ამ ჯგუფების რაოდენობა გაიზარდოს.

ამ სამი კვირის განმავლობაში, ასევე, გარდაბანში გავხსენით კულტურის სახლი, ცენტრალური სტადიონი, ბოლნისის რაიონში რამდენიმე საკრებულოს წყლის პრობლემა მოვუწესრიგეთ, წერაქვის ქართულ სკოლას ვაჩუქეთ ავტობუსი, რითიც პედაგოგები კვირაში სამჯერ უფასოდ ჩამოდიან. 2005 წელს ბიუჯეტში ჩავასმევინეთ ამ სოფლის გზის შეკეთება. მარნეულში აშენდება ძალიან კარგი სპორტული კომპლექსი აუზით, ტრენაჟორებით და ამას აზერბაიჯანული მხარე აკეთებს. ეს საკითხი ილჰამ ალიევის საქართველოში ვიზიტის დროს გადაწყდა...

**- წინა რწმუნებულმა რაიმე დაგახვედრათ შეცვლილი?**

- ბევრი რამის გაკეთება შეიძლებოდა და კიდევ შეიძლება. პირველივე დღეების განმავლობაში შევძელით რამდენიმე ისეთი პრობლემის მოგვარება, რომელსაც თვეები ნამდვილად არ სჭირდებოდა. აი, აქ კედელზე საკრებულოების მიხედვით მაქვს გაკრული პრობლემები და უკვე შესრულებული სამუშაო წითელი ჯვრებით არის აღნიშნული...

**- წითელი ფერი აშკარად არ ჭარბობს.**

- იმიტომ, რომ ცოტა დროა გასული.



ჩემი ძირითადი მიზანი ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა, კრიმინალური ვითარების გამოსწორება და ბიზნესგარემოს შექმნა. არ შეიძლება, ადამიანი დამოკიდებული იყოს მხოლოდ რამდენიმე დიდი საწარმოს მუშაობაზე.



ამ რეგიონში ნებისმიერ კრიმინალურ ფაქტზე იმ დღესვე თუ არ მოხდა რეაგირება, ეს შეიძლება, ვინმემ გამოიყენოს და ეთნოკონფლიქტი დაარქვას.





# აფიშა

## თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
ჟან-ჟაკ ბრიკერი
"ინსტიქტი"
რეჟისორი: ოთარ ეგაძე
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
რალფ კნიგი
ET CETERA
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
დათო ტურაშვილი
"ჯინსების თაობა"
რეჟისორი: დათო დოიაშვილი
დას: 19:00 სთ.

## კინოთეატრები

**რუსთაველი**
"ყველაზე მაგრები მსოფლიოში"
დას: 11:00; 17:00; 19:10 სთ.

"პოლარული ექსპრესი"
დას: 13:10 სთ.

"ღრუბლებთან თამაში"
დას: 22:15 სთ.

**ამირანი**
"პოლარული ექსპრესი"
დას: 12:00; 16:00; 20:00 სთ.

"ყველაზე მაგრები მსოფლიოში"
დას: 18:00 სთ.

"საღამო ჟამს"
დას: 22:00 სთ.

**ცირკი**
საშობაო-საახალწლო წარმოდგენა
მოსკოვის საცირკო კოლექტივის ახალი პროგრამა
დას: 12:00; 15:00 სთ.

## გამოფენები

**TMS**
თემო აბუთიძის ფოტონამუშევრების გამოფენა

**საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
გამოფენა "შუა საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნება"

**თბილისის ისტორიის მუზეუმი "ქარვასლა"**
"ქარვასლასა" და სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმში დაცული ექსპონანტთა გამოფენა

**ჰობი**
საშობაო გამოფენა

**სურათების ეროვნული გალერეა**
ვერა ქიქოძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა)
II დარბაზი

ლერი ჭანტურიას ნამუშევართა პერსონალური გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება)
I დარბაზი

## პრეზენტაცია

**წიგნის სახლი**
17 საათზე, "ლოგოს-პრესი" აწყობს ალექსანდრე ჩიკვაიძის წიგნის - "პოლიტიკური ჭადრაკის" პრეზენტაციას.

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

# დამსხვრეული ბავშვი სცენაზე

## წარმოდგენა გაციებულ საზოგადოებაზე

სოფო კილასონია

თეატრალური სარდაფი რუსთაველზე ახალ წელს ახალი სპექტაკლით შეეგება. "ცივი ბავშვი" - ასე ჰქვია პიესას, რომლითაც რეჟისორი გურამ ბრეგაძე დაინტერესდა. ნატაშა ბაკშისა და მაია ფალავანდიშვილის პიესის თარგმანი და სანდრო კაკულიას ინსცენირება, გოჩა ღულელაურის მხატვრობა, ია საკანდელიძის მუსიკალური გაფორმება და, რაღა თქმა უნდა, გია მარღანიას ქორეოგრაფია - ამჯერად ნევროზულ-ტემპერამენტული ცეკვები დაეხმარა რეჟისორს, გერმანული საზოგადოებისთვის დამახასიათებელ ზოგად გულგრილობაზე დაწერილი პიესა სარდაფის მაყურებლამდე მიეტანა.

ორი ოჯახის პარალელურად განვითარებული ამბები, ერთგან ახალგაზრდა წყვილი - ვერნერი (ზურა ინგოროყვა) და სილკე (ქეთი ხიტირი), ცოლი რომელიც ყველაფერზე წუხს და ზრუნავს, საკუთარი გაყინული შვილის გარდა, რომელიც იმასაც ვერ მიმხვდარა, რა დევს პატარა საწოლში ისეთი, რასაც მისი პამპერსების სუნით აქოთებული მეუღლე გამუდმებით დასცქერის. მეორეგან ოჯახი - ურჩი და მორჩილი ქალიშვილებით: ტინე (ეკა ქართველიშვილი) და ლენა (მაკა შალიკაშვილი), საკუთარ თავზე, ფულსა და სექსზე უზომოდ შეყვარებული მათი მშობლები (ონისე ონიანი და ეკა ბაკურაძე). ეს ის პორტრეტებია, რომლებიც თავიდანვე ცხადად იკვეთება სპექტაკლში. კიდევ ორი გმირის - რომანტიკული და უსაზღვროდ დაბნეული იოჰანისა და ერთი უსუსური მამაკაცის, ტინეს მომავალი მსხვერპლის - ჰენინგის სცენაზე შემოსვლასთან ერთად ამ საამური ოჯახების გზები იკვეთება.

სულ მალე მორჩილი ქალიშვილი ტინე ბრჭყალებს გამოაჩენს, დანარჩენი ქალბატონები კი საკუთარ ქმრებს დაერევიან და რიგ-რიგობით ყველას განგმირავენ, თუმცა, მანამდე გოგონების მშობელი მამა არაერთხელ გააფრთხილებს ყველას, რომ მის ქონებას ვერავინ დაეპატრონება მისი სიკვდილის შემდეგაც კი, რადგან ყველაფერი მისია, მხოლოდ მისი! ვერნერი - ახალგაზრდა მეუღლე საინტერესო კითხვას დასვამს: ასეთი დედის ხელში ბავშვი საერთოდ ცოცხალი როგორააო და ძიძის ამპლუაში მყოფ საკუთარ თავსაც მწარედ დასცინებს. შემდეგ ყველა უეცრად აღმოაჩენს, რომ უბედურია, ანდა, ის არ ჰყვარებიათ, ვინც უნდა ჰყვარებოდათ. კომედია მთავრდება და გადაღლილ გმირებთან ერთად სისხლიან ტრაგიზმში ვეშვებით. ყველაფერი კი იმით დასრულდება, რომ სილკე - უგულო დედა, გაციებულ ბავშვს ყველას დასანახად მოისვრის, ჩვილის თაბაშირის თოჯინა სცენაზე იფშვნება, ნამტვრევებს კი მშვიდად და საგულდაგულოდ აკრეფენ.



*"ცივი ბავშვი" - გულგრილი და გაყინული საზოგადოების სისხლიანი ისტორია სარდაფში*

შესაძლოა, ზემოთ მოთხრობილი ამბავი მართლაც ეფექტური იყოს, თუმცა სპექტაკლის ნახევრად ბუნდოვანი ან საგანგებოდ არეული სიუჟეტი ის არაა, რაც შთაბეჭდილებას ახდენს. მაყურებელს პირველ რიგში ისტერიკული, ხშირი შეძახილები და მსახიობთა გადაჭარბებული ემოციურობა ამახსოვრდება. ყველაფერი, რაც სცენაზე იმისთვისაა გამოტანილი, რომ სპექტაკლმა უცნაურობისა და, შესაძლოა, აბსურდულობის იერი შეიძინოს. ხმამაღალ დიალოგებსა და უეცრად მაყურებლის თავს დატეხილ საერთო პათეთიკას, რაც მრავალი ახალი სპექტაკლისთვის გახდა დამახასიათებელი, აქაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება. თუმცა, ამ ყველაფერმა საპრემიერო ჩვენებას მაინც ხელოვნურობისა და გაუგებრობის ელფერი შესძინა.

სპექტაკლი ცეკვებითა და სიმღერა-მელოდიებით უხვადაა დატვირთული. წარმოდგენის დიდი ნაწილი ქორეოგრაფიას უკავია, თითქოს ოსტატურად შესრულებული ცეკვები იყოს მსახიობთა მთავარი მისია, სპექტაკლში სწორედ მათი რიტმული და ვნების ამშლელი მოძრაობებია მაყურებლის სიხალისისა და მოწონების გამომწვევი - ეს უკანასკნელი ხერხი ხომ ამ ბოლო დროს ყველაზე ეფექტურია ამ თვალსაზრისით. სწორედ მონდომებით შესრულებული ცეკვებით ახერხებს ზოგიერთი გმირი საკუთარი შესაძლებლობების გამომჟღავნებასა და ერთგვარად უფერული ხასიათის მაქსიმალურად გაფერადებას. ეროტიკულად და დიდი მონდომებით ამოძრავებული ჯერ ტინე, შემდეგ კი სხვები, ათამაშებული შუქი, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ეფექტურია და ტაშიც არ აგვიანებს.

საათნახევრიანი წარმოდგენის მსვლელობისას ხშირად იქმნება შთაბეჭდილება, რომ სპექტაკლი ეფექტებს დაეძებს და ზოგჯერ ოსტატურად პოულობს კიდეც მათ. მაგალითად, სცენა მშობლების მოგზაურობიდან. მაგრამ "დაძველებულ ნომრებსაც" ხშირად ვაწყდებით. ამიტომ სპექტაკლი, თავისი თეატრალური ხერხებით, მის თანამედროვეთა უმრავლესობისთვის დამახასიათებელ გარკვეულ ბანალურობას მაინც ვერ სცილდება.

იმის მიუხედავად, რომ დარბაზიდან გამოსულ ახალგაზრდა გოგონების შეფასებას - "ძაან მაგარია" - ბოლომდე ვერ ვეთანხმები, მაინც უნდა აღვნიშნო წარმოდგენის რამდენიმე საინტერესო დეტალი. პირველი ის, რომ კოტე თოლორდავას მიერ შექმნილი იოჰანის კომიკური სახე საერთო, მძიმე და დამღლელ განწყობას ახალისებს. და მეორე, თავდაპირველი დაძაბული მდგომარეობა. სპექტაკლის დასაწყისში იქმნება შთაბეჭდილება და შეგრძნება იმისა, რომ წარმოდგენა საზოგადოების რაღაც საერთო ავადმყოფობაზე მოგვითხრობს, სცენაზე კი დასნეულებული, გაციებულ-გაყინული საზოგადოების თვალსაჩინო გმირები დგანან, რომელთა ილუზიებისა და თამაშების მოწმენი და მონაწილენი ჩვენც უნდა გავხდეთ. ასეთი ვითარება მაყურებელს, შესაძლოა, კიდეც ხიბლავს და კიდეც აინტრიგებს.

# მთები გამოფენაზე

## ერთი წელი გავიდა მხატვარ ვალერი მარგიანის გარდაცვალებიდან

დალი კუპრავა

მას არ შეეძლო ცხოვრება შემოქმედების გარეშე, ვერც სიცოცხლე შეძლო.

90-იან წლებში, როცა, ბევრი სხვა მხატვრის დარად, ვალერი მარგიანის შემოქმედებითი ცხოვრებაც შეფერხდა და ერთნაირად ძნელი მოსაპოვებელი გახდა საარსებო პური და ერთი ტუბი საღებავი, მან არჩევანი ვერ გააკეთა. მშრალ ხიდზე ფეხი ვერ მოიკიდა, სასიცოცხლოდ აუცილებელი ადაპტაცია ვერ შეძლო, არც კომერციული ნიჭი აღმოაჩნდა და ვერც ჭეშმარიტ ხელოვნებას გადაუხვია.

ვალერი მარგიანი მთელი ცხოვრება ხატავდა და უშურველად ჩუქნიდა ადამიანებს - ქართველებს და უცხოელებს. მეგობრები საყვედურობდნენ ნახატების "გაფანტვის" გამო, მაგრამ ის პასუხად მხოლოდ ილიმებოდა. "მიმოფანტული" ნახატები კი, თავის მხრივ, ბევრ სიკეთეს "სჩადიოდნენ". ერთმა ჩემმა ახლობელმა, პოლონეთში გულის ოპერაცია რომ გაიკეთა, ჩემი ექიმი ფერწერის მოყვარულიაო და, თბილისიდან წაიღო რამდენიმე ტილო, რათა ექიმს თავად შეერჩია. მას ვალერი მარგიანი მოეწონა - კატალოგს ვნახავდი, შევიძენდიო, სთხოვა პაციენტს. მაგრამ ვალერი მარგიანის ნახატების კატალოგი დღესაც არ არის. ხელოვნებათმცოდნემ, ქალბატონმა ნინო ზაალიშვილმა მხატვრისგან ნაჩუქარი ორი ტილოდან ერთი მის ოჯახს საჩუქრად გადასცა. მხატვრის შვილებს, თავადაც მხატვრებს - მაია და მირზა მარგიანებს მამის ნახატი არ დარჩენიათ. დღეს მისი ოჯახი სთხოვს ყველას, ვისთანაც არის ვალერი მარგიანის ტილოები, შეეხმიანონ და მისცენ ნება, კატალოგისთვის ფოტოები გადაიღონ.



ვახო ბესელიას ფოტო

გასული წლის ბოლოს, წინასაახალწლო დღეებში, საგამოფენო დარბაზ "ვერნისაჟში" მოეწყო ფერმწერ ვალერი მარგიანის ნამუშევრების გამოფენა. გარდაცვლილი ადამიანის გახსენება ყოველთვის სევდიანი და ტკივილნარევია, მაგრამ თავად ექსპოზიცია ენერგიით და სიხარულით მუხტავდა მნახველს - ფშავი, ხევსურეთი, ქისტეთი, ყაბარდოჩეჩნეთი და, რა თქმა უნდა, სვანეთი, სადაც დაიბადა მხატვარი. მთაზე უკეთესი ხომ მხოლოდ ის მთაა, სადაც ჯერ არავინ ყოფილა, მღერის პოეტი და ვალერი მარგიანის მთებიც ამის დასტურია - მთის კეთილშობილება და სიძლიერე წელიწადის ყველა დროს, დარსა თუ ავდარში, მზეში თუ მთვარიან ღამეს. გამოფენაზე სწორედ ერთფეროვნება არ იგრძნობოდა, თუმცა, ირგვლივ სულ მთები იყო. ეს მხატვრის ოსტატობააო, - აღნიშნავდნენ პროფესიონალი და არაპროფესიონალი დამთვალიერებლები.

70-იანელთა ერთ-ერთი საინტერესო მხატვრის შემოქმედებითი ცხოვრება გამოფენებსა და საერთაშორისო პლენერებზე მონაწილეობით მიდიოდა. მისი ნამუშევრები დაცულია მოსკოვში, ტრეტიაკოვის გალერეაში, კაუნასის სახვითი ხელოვნების მუზეუმში, ქუთაისის გალერეაში. ის იყო იუნესკოსთან არსებული მხატვართა გაერთიანების წევრი. მაგრამ მხატვრის შემოქმედების აღიარება ის უფროა, რომ ყოველდღიურად ადამიანები საქართველოში და საზღვარგარეთ უყურებენ ვალერი მარგიანის ნახატებს და დადებით ძალასა და ენერგიას იღებენ.

# ფესტივალი თხილამურებზე

ვერა ნეფარიძე

*გუშინ ბაკურიანში დაიწყო ხელოვნების ოთხდღიანი საერთაშორისო ფესტივალი. მუსიკოსები, მოქანდაკეები, დიზაინერები, მოდელები, ფოტოხელოვანები, ფესტივალის მხარდამჭერები - დაახლოებით ამგვარია საზოგადოება, რომელიც ღონისძიების ორგანიზატორმა კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ შეარჩია.*

უკვე მივეჩვიეთ, ფესტივალი დავარქვათ ყველაფერს, რასაც მოგვინდება რომ დავარქვათ. გამონაკლისი არც ბაკურიანში დაწყებული ღონისძიებაა. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ფესტივალი, პირველ რიგში, სასიამოვნო განწყობაა, რასაც ამ შემთხვევაში ნამდვილად ქმნის ბაკურიანის დათოვლილი მთები, ალბათ, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ორგანიზებული ღონისძიებების ერთობლიობაც იმსახურებს იმ საერთო სახელწოდებას, რაც უკვე დაარქვეს ორგანიზატორებმა. თანაც, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბაკურიანში დაგეგმილი ოთხი დღის მოკრძალებული არსი ერთდროულად საქართველოში ტურიზმის განვითარება, კურორტების რეკლამირება და ხელოვანთა დაახლოება, მათ შორის, კულტურული, მეგობრული ურთიერთობების გაღრმავება და შემოქმედებითი კონტაქტების გაზრდაა.

პირველ რიგში, მათ შესახებ, ვის კონტაქტებსა და დაახლოებაზეც იზრუნეს ფესტივალის ორგანიზატორებმა. ანუ, ვინ არიან ბაკურიანის ოთხდღიანი ღონისძიების მონაწილეები: "ჯეოსტარში" გამარჯვებული მომღერლები, "უცნობი", პანჩო, გოგონათა კვარტეტი (ნინი ბადურაშვილი, ქრისტინე იმედაძე, ქეთა თოფურია, თაკო გაჩეჩილაძე), ნიკოლ-შოუ; დიზაინერები, მოდელები, ფოტოხელოვანები... ვინაიდან ფესტივალი საერთაშორისო სტატუსისაა, რასაკვირველია, გათვალისწინებულია მასში უცხოელ მონაწილეთა ჩართვა. პირველ ჯერზე ფესტივალის სტუმრები რუსეთიდან, უკრაინიდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან და თურქეთიდან მოწვეული ყინულის მოქანდაკეები არიან. სამომავლოდ აპირებენ ფესტივალის მონაწილეთა შემოქმედებითი არეალის გაფართოებას რეჟისორების, მსახიობების, პოეტების, მწერლების, პაროდისტების, თეატრალური დასების, სპორტსმენების, მხატვრების დამატებით. ასე რომ, პირველ ღონისძიებაში მონაწილეთა წრე შედარებით შეზღუდული გამოვიდა.



*ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი ბაკურიანში 14 იანვარს დასრულდება.*

ფესტივალის პარალელურად დაგეგმილია სპორტული და კულტურული ღონისძიებები, შეჯიბრებები; ორგანიზატორები იმედს იტოვებენ, რომ ნიჭიერ ხელოვანთა, სპორტის საუკეთესო მოყვარულთა გამოვლენას და ფესტივალის ტრადიციულობას შედეგად მოჰყვება დამსვენებელთა მოზიდვა, ადგილობრივი მცხოვრებლების დასაქმება და წვრილი ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა. "პროგრამის რეალიზაცია და ტრადიციად ჩამოყალიბება სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდა თაობების შემოქმედებითი პოტენციალის სრული გამოვლენის, მათთვის საზეიმო ატმოსფეროს შექმნის, მეგობრული კონტაქტების განახლებისა და გაღრმავების წინაპირობაა", - მიაჩნიათ იდეის ავტორებს.

წლევანდელი ფესტივალის ფარგლებში რამდენიმე ღონისძიებაა დაგეგმილი. მათ შორის ერთ-ერთი ძირითადია ყინულის ქანდაკების ფესტივალი, რომელშიც უცხოეთიდან მოწვეული მოქანდაკეები (ყინულის მთლელები) მიიღებენ მონაწილეობას; ისინი დაამზადებენ ყინულის მატარებელს, მეცენატთა ლოგოებს და სხვადასხვა ფიგურებს. ფესტივალი დასრულდება შეჯიბრებებში გამარჯვებულთა დაჯილდოებით (გადაეცემათ კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს პრიზები). ფესტივალის დახურვის ცერემონიალი გაიმართება "კუკუშკის" ფორმის ყინულის პოდიუმზე. გუშინ, ფესტივალის პირველ დღეს, მონაწილეები თოვლის ბაბუების დამზადებაში უნდა შეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, რის შემდეგაც დაგეგმილი იყო კონცერტი ზემოთ ჩამოთვლილი მომღერლების მონაწილეობით. რაც შეეხება დარჩენილ სამ დღეს, დაგეგმილია საახალწლო ნაძვისხეების დამონტაჟება, სპორტული თამაშები, ყინულის ქანდაკებების დამზადება, ფოიერვერკი, რასაკვირველია, თხილამურებზე სრიალი და გალაკონცერტი. ფესტივალის მონაწილეები 14 იანვრის დილას გამოემგზავრებიან თბილისისკენ.

# კარავაჯოდან კაილი მინოუგის ჩათვლით

კულტურული ცხოვრების მაჯისცემა

ნაახალწლევს მსოფლიოს ინტელექტუალური საზრდოს მიღების სურვილი უათკეცდება ხოლმე. ალბათ, ამიტომაც არის, რომ ყველა დიდი გალერეა უკვე გადატენილია ხალხით, მელომანები კი წინასწარ ჯავშნიან ბილეთებს საყვარელი მუსიკოსების კონცერტებზე დასასწრებად. თუ ასეთი აქტივისტების ალტკინებას ჩვენც გავითვალისწინებთ და ახალი წლის პირველი სამი თვის განმავლობაში დაგეგმილ კულტურულ ღონისძიებებს გადავავლებთ თვალს, ვნახავთ, რომ მსოფლიოში ცხოვრება დუღს. აზიური ტრაგედიის მიუხედავად, კულტურა - მაღალი და დაბალი, მასობრივი და ექსკლუზიური - ხალხს მაინც ჰაერივით სჭირდება. ამ მსოფლიო სიჭრელის უკეთ აღსაქმელად ზოგიერთ ღონისძიებას ჩვენც გადავხედოთ. ნუსხაც საგანგებო სიჭრელით შევადგინოთ. ერთმანეთში ავურიოთ ფერწერა და პოპმუსიკა, ჰოლივუდი და ევროპული ქორეოგრაფია და თარიღებიც. ასე უფრო აშკარად ვიგრძნობთ მსოფლიოს კულტურულ მაჯისცემას.

**23 თებერვალი. ლონდონის ნაციონალური გალერეა.** კარავაჯო მთელი თავისი ბრწყინვალებით. უზარმაზარი რეტროსპექტივა, რომელსაც ხელოვნებათმცოდნეები უკვე აფასებენ, როგორც 2005-ის ყველაზე მნიშვნელოვან ისტორიულ გამოფენას. “გარდიანი” კი წერს, რომ ეს იქნება ნამდვილი “მკვლელი” გამოფენა თვითონ მკვლელი მხატვრისგან, რომელმაც დუელში მეტოქე მოკლა, გაიქცა და ბოლო ტილოები სწორედ გაქცეულმა ხან ნეაპოლში, ხანაც მალტასა და სიცილიაზე შექმნა.

**იანვარ-თებერვალი. ევროპა.** დაახლოებით ამ დროისთვის ევროპის ყველა დიდ ქალაქში უკვე ნანახი ექნებათ სტივენ სოდერბერგის განახლებული ბლოკბასტერი “ოუშენის 12 მეგობარი”. ფილმი უკვე ლიდერობს საერთაშორისო კინოთეატრების სალაროებზე დაყრდნობით შედგენილ ბლოკბასტერთა ნუსხაში. ევროპაში კი ჰოლივუდელთა რომანტიზებული ქურდობები განსაკუთრებით მოსწონთ. სოდერბერგმა იცის, როგორ მოხიბლოს მაყურებელი.

**იანვარი.** გასაყიდად გამოიტანენ “ქემიქალ ბრაზერსის” ახალ ალბომს Push the Button (დააჭირე ღილაკს თითი), რომელიც ესიდ ჰაუზის აღზევების ჟამს დისკო-მოცეკვავეებს სულზე მოუსწრებს. მუსიკისმცოდნენი კრებულს უკვე აფასებენ, როგორც “ფანტასტიკურს”. თავად “ქემიქალ ბრაზერსი კი 18 მარტს დააჭერს ღილაკს თითს და 19 მარტამდე ეჭირება - ლონდონში, ბრიქსტონის აკადემიაში, ისინი მსმენელის წინაშე წარდგებიან.

**28 იანვარი.** ალექსანდერ პეინი პირისპირ წარდგება მაყურებლის წინაშე და ძალიან კარგ ფილმს შესთავაზებს. სურათს ასეც ჰქვია: “პირისპირ”. მთავარ როლებს პოლ ჯამატი და ტომას ჰადენ ჩერჩი ასრულებენ. ერთი ხელმოცარული მწერალია, მეორე - ყოფილი კინოვარსკვლავი. ისინი ერთი კვირით კალიფორნიის “ღვინის მხარეში” მიემგზავრებიან და კარგი ღვინის წრუპვაწრუპვით საკუთარ შეცდომებსა და შანსებს განიხილავენ. როგორც ამბობენ, მათი დიალოგი იმდენად ცხოვრებისეული, სადა და ბუნებრივია, რომ მაყურებელს წინ დიდი სიამოვნება ელის.

**25 მარტი.** კიდევ ერთი დამოუკიდებელი ანუ არაჰოლივუდური ფილმი, რომელსაც ნიუ იორკიდან ვუდი ალენი წარმოგვიდგენს. “მელინდა და მელინდა” უკვე აჩვენეს სხვადასხვა პრესტიჟულ კინოფესტივალზე, მარტიდან კი მას უკვე ყველა იხილავს. ალენის სცენარი ამ შემთხვევაშიც საოცრად სასაცილოა. ორი მწერალი ერთმანეთთან დავობს უტოპიურ კითხვაზე - რომელი ჯობია, ტრაგედია თუ კომედია? საკუთარი სიმართლის დასადასტურებლად ისინი ირჩევენ პერსონაჟს, სახელად მელინდა, და მის ისტორიას ტრაგიკულადაც ჰყვებიან და კომიკურადაც. ეკრანზეც ორმაგი თხრობა და თამაშია. ამიტომაც ჰქვია ფილმს “მელინდა და მელინდა”.

**19 მარტი.** და აი, კარავაჯოსა და ვუდი ალენის საზოგადოებაში ეს ქალბატონიც მოხვდა. ავსტრალიელი სექსბომბა კაილი მინოუგი გლაზგოში წარდგება მსმენელის წინაშე და თავისი ახალი ალბომის პოპულარიზაციას შეეცდება.


ვუდი ალენი


5x2



“ქემიკალ ბრაზერსი”


კაილი მინოუგი


პინა ბაუში

**22 იანვარი. ლონდონის სამეფო აკადემია.** ბრიტანელთა წინაშე გადაიშლება თურქული მუზეუმებიდან მოკრებილი უდიდესი საგანძური - ტექსტილი, ხელნაწერები, გრავიურები, ხის ნაკეთობები, კერამიკა, სპილენძის ნივთები, სამკაული - 350-ზე მეტი ექსპონატი წარსულიდან, მეშვიდე საუკუნიდან დაწყებული, ოტომანთა იმპერიით დამთავრებული, ანუ აქ იქნება სამივე უდიდესი თურქული დინასტიის - სელჩუკების, თემურიდებისა და ოტომანების საგანძური.

**17 იანვარი.** და კიდევ ლონდონი. “სედლერს უელსის” თეატრში ამ დღიდან გამაყრუებელი ფეხების ბაკუნი ატყდება. სტარტს აიღებს ფლამენკოს მეორე ფესტივალი, რომელიც თავს მოუყრის როგორც ტრადიციული ფლამენკოს მოცეკვავეებს, ისე მოდერნისტებსაც. ასე რომ, ჟანრის მოყვარულებს იქ მრავალფეროვანი სიურპრიზები ელით.

**10 თებერვალი.** “სედლერს უელსის” თემას მანამ ვერ ამოვწურავთ, სანამ ერთ საოცარ ქალბატონს არ ვახსენებთ. ამჯერად სცენას დაიპყრობს გერმანელი ქორეოგრაფი პინა ბაუში, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა პედრო ალმოდოვარის ცნობილი ფილმის “ელაპარაკე მას” წარმატებაში. პინა ბაუში ლონდონში ორი დამოუკიდებელი წარმოდგენით ჩადის. პირველი - “ნელკენი” ბავშვური ფანტაზიის არენა და “პალერმო პალერმო” - სპექტაკლი, რომელშიც მოცეკვავეები სიცილიურ მტვერში ეძებენ სიყვარულს.

**მარტი. ევროპა.** ამჯერად ინიციატივა საფრანგეთიდან მოდის. ინიციატივის ავტორია ფრანსუა ოზონი. თემა კვლავაც სიყვარულია, ოღონდ სრულიად განსხვავებულად მოთხრობილი. ეს არის აწეწილ-დაწეწილი სიყვარულის ისტორია, რომელსაც რეჟისორი ბოლოდან გვიყვება. მაყურებელი ნაწყვეტ-ნაწყვეტ ხუთ ცხოვრებისეულ ეპიზოდს ეცნობა. პირველი ეპიზოდი გაყრაა...

**თებერვალი.** ისევ ევროპა. და ისევ კინემატოგრაფი. ამჯერად ჰოლივუდის პროდუქცია, რომელსაც ერთი სახელი - კევინ ბეკონი ახალისებს. მსახიობი პედოფილი მეტყევის როლს ასრულებს. სასჯელის მოხდის შემდეგ ის ბავშვობისდროინდელ სახლში ბრუნდება და ყველაფერი მაშინ იწყება.

**14 იანვარი.** ამ დღეს აზიიდან დანარჩენი მსოფლიოსკენ დაიძვრება ცნობილი რეჟისორის ვონ კარ ვაის ხომალდი, თანაც, ისევ სიყვარულის ენერგიაზე მომართული. კარ ვაის ახალი ფილმი ძველის - “სიყვარულის განწყობის” თემატურ გაგრძელებად შეიძლება ჩავთვალოთ. ფილმი სამეცნიერო ფანტასტიკაა და “2046” ჰქვია. 2046 წელია. მას მწერალი იგონებს. მწერალი, რომელსაც ეგონა, რომ მომავალზე წერდა. სინამდვილეში კი წარსულზე უწერია. ამ კაცის რომანში მატარებელი რკინიგზის სადგურიდან გარკვეული ინტერვალის შემდეგ, 2046-ე წლისკენ გადის. ყველას, ვინც მატარებელში ჯდება, ერთი სურვილი ამოძრავებს - დაკარგული მოგონებები დაიბრუნოს. მათ იციან, რომ 2046-ში დრო გაყინულია. იქ არაფერი შეცვლილა. თუმცა, ზუსტად ეს მაინც არავინ იცის - ვინც მატარებელს გაჰყოლია, უკან აღარავინ დაბრუნებულა. კინოფილებს ერთი სული აქვთ, როდის ნახავენ აზიელი რეჟისორის ამ უცნაურ ფილმს, რომელიც კომპლექსურ აზროვნებას მოითხოვს.

**10 თებერვალი.** დაბოლოს, ისევ “ათვლის წერტილი” - ლონდონი და მისი ცნობილი გალერეა ტეიტი. იქ 15 მაისის ჩათვლით წლის, ალბათ, ყველაზე პოპულარულ გამოფენას წარმოადგენენ. ორგანიზატორები ერთად მოუყრიან თავს სამ მხატვარს ტერნერს, უისტლერს და მონეს და მათ სინათლისადმი საოცარი ლტოლვით გააერთიანებენ. მონე და უისტლერი ერთმანეთს იცნობდნენ, მაგრამ საინტერესოა, როგორ დაუკავშირებენ მათ ტერნერს. ეს კითხვა ბევრ ხელოვნებათმცოდნეს აწუხებს. ამიტომაც ბილეთების დაჯავშნა ამ გამოფენაზე უკვე დაწყებულია.

---

სამსონ ლეჟავას სვეტი

## დარბაზის ხუროთმოძღვრება - უნივერსალური კულტურული მონაპოვარი



ტრადიციული ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთ უმაღლეს გამოვლინებას წარმოადგენს ე.წ. "დარბაზი" - თავისი სრულფასოვანებით, "მსოფლმხედველობრივ-კონსტრუქციული" ერთობის გამომხატველი, ათასწლეულებში გამოტარებული ფუძე-პარადიგმის სიმდგრადით, და ბოლოს იშვიათი მხატვრული ღირებულებითაც.

დარბაზი, როგორც საკაცობრიო მნიშვნელობის ფენომენი, სრულიად ამოუცნობია თავისი სიღრმით, თუმცა მისი შესწავლის საქმეში იმთავითვე ჩაერთნენ დიდი მეცნიერები - გიორგი ჩუბინაშვილი და გიორგი ჩიტაია; ასევე, დაუოკებელი ენთუზიასტი და დარბაზის უდიდესი მესაიდუმლე ლონგინოზ სუმბაძე; მისი დეკორის სემანტიკის ღრმად ჩამწვდომი ირაკლი სურგულაძე; მთელი კავკასიისა და უფრო მომცველი მასშტაბითაც - დარბაზისავე საფუძვლიანად შემმეცნებელი თეიმურაზ ჩიქოვანი; ამ ნაგებობის პირველსაფუძველთა არქეოლოგიის გამოჩენილი მკვლევარი ალექსანდრე ჯავახიშვილი; გერმანელი მეცნიერი ფრიდრიჰ ბაუმჰაუერი და, ცხადია, სხვებიც - მარინა ილინა, რუბენ აგაბაბიანი, აკაკი სოხაძე, ვალერიან გაგოშიძე, გურამ ყიფიანი, დავით ცხადაძე და ა.შ.

საგულისხმოა, რომ დარბაზული ტიპის შენობები იგებოდა არა მხოლოდ სოფლად, არამედ, მაგალითად, თბილისში. მისი არქაული პროტოტიპები თუ მსგავსი ფორმები ჩვენში არსებობდა უძველესი დროიდან - არა მხოლოდ აღმოსავლეთ და სამხრეთ, არამედ დასავლეთ საქართველოში, რისი უტყუარი მაგალითიცაა არა მხოლოდ ვიტრუვიუსის მიერ აღწერილი შენობა, არამედ ყოფაში ბოლო დრომდე შემორჩენილი "კუშტურა სახლი" (თ. ჩიქოვანი) და ეთნოლოგ ლევან ფრუიძის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, "გვირგვინისებრი" გადახურვის მქონე საბძელები რაჭაში. ჩვენმა არქეოლოგებმა არაერთგზის დაადასტურეს დარბაზისებრი ნაგებობების არსებობა შუასაუკუნეების საქართველოში. ამჯერად მხოლოდ იმის საშუალება გვაქვს, რომ დარბაზის ყველაზე არსებით მახასიათებლებს შევეხოთ. აქვე უნდა დავამატოთ, რომ მსგავსი ნაგებობანი ძალიან ფართო არეალშია გავრცელებული, მაგრამ საქართველოში, თ. ჩიქოვანის თანახმად, კულიმინაციურ გამომხატველობას აღწევს.

ცნობილი არქიტექტურის ისტორიკოსი, ფილოსოფოსი და დიზაინის თეორეტიკოსი ვიაჩესლავ გლაზიჩევი დარბაზს უდიდესი მნიშვნელობის კულტურულ მონაპოვრად მიიჩნევს.

და მაინც, რა საიდუმლოებებია ჩამარხული დარბაზში, რომელსაც ადრე "ერთობის" სახლი ერქვა? ამ კითხვაზე პასუხის გაცემას მკვლევართა თაობების დაუღალავი შრომა დასჭირდება. ეს იქნება მუდამ აქტუალური თემა აზროვნებისათვის.

შესაძლოა, ერთ-ერთი გასაღები დარბაზის შიდა სივრცის ჩასაწვდომად ის მძაფრი და უეცარი შთაბეჭდილებაა, რაც გეუფლება ამ შენობის ინტერიერში მოხვედრისას. ემოციური "ეფექტი", ამ თვალსაზრისით, ძალზე ინტენსიურია: თავისთავად, ხუროთმოძღვრულად სავსებით გამართული, სვეტებიანი წინაბჭის გავლის შემდგომ ჩვენ ვხვდებით სულ სხვა განზომილების მქონე "ტაძრულ" სივრცეში, რომლის ე.წ. "გვირგვინში" ჩენილი საფეხუროვანი აღმასვლა, თითქოსდა, იკრიბება კულიმინაციურ არეში, რომელსაც ერდო ეწოდება. მისგან ჩამოსხივებული სინათლე დიდ სიწმინდედ აღიქმებოდა ჩვენი ხალხური პოეზიის სახილველში. გვირგვინის არქიტექტურულად და ტექტონიკურად სრულყოფილი ფორმა, მართლაც, უზადოა და გადამწყვეტი ვერტიკალურობის, ლევან რჩეულიშვილის უზუსტესი გამოთქმით - "ცადაქნილობის" მნიშვნელობასაც გამოჰკვეთს. გარდა გვირგვინისა, რომელიც მზერას ზემოთკენ იზიდავს და ადამიანს, განწყობისმიერად, თითქოსდა "სწყვეტს" კიდეც გრავიტაციისაგან, არსებით მნიშვნელობას იძენს დედაბოძის თვით ფორმა, რომელიც გამოირჩევა დინამიკისა და სისრულის იშვიათი ბალანსით. მასში ჩადებულია აღმასვლის, ზრდის, ზენა სფეროსაკენ მიმართულობის თავდაჭერილი სწრაფვა, შეხამებული მდგრადობა-სიმტკიცესთან. დედაბოძზე "დაბრძანებულია" თავისებური რიდის აღმძვრელი დეკორი (decorare გულისხმობს განდიდებითს შემკობას - ა. სალტიკოვი). იგი, მართლაც, ცეცხლოვანი ენერგიით არის დამუხტული. მასზე "ხარობს" ასტრალური საუფლო, თავისი "სხივმოსილი" მნათობების მტკიცე ურთიერთშეკავშირებულობით. ამასთან, დედაბოძისავე თავისებურ ცისმეტყველებაში და მთელ მის ორნამენტულ სისტემაშიც გამთლიანებული ჩანს პარმენიდესა და ჰერაკლიტეს ფილოსოფიურ განსჯათა წინარე ხატისებრი საწყისები. მასში, შესაძლოა, მართლაც კოსმოსის საიდუმლოებანია შეკრებილი და თავმოყრილი არქიტექტურულად სრულყოფილი სახით. იგი უთუოდ აქტუალურია ჩინური "ფენ-შუის" სისტემისათვის, ხოლო XX საუკუნეში არსებითი შეიძლებოდა აღმოჩენილიყო ისეთი სიღრმითი არქიტექტურისათვის, როგორიც გახლდათ ფრენკ ლლოიდ რაიტის მოძღვრება, რომელშიც პირველსტიქიების შეცნობას, აგრეთვე, არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა. სწორედ აღნიშნული თვალსაზრისითაა გამორჩეული დარბაზის კერა - ეს ბირთვისებრი, "კვრივული" (ზურაბ კიკნაძე) ალაგი, რომელიც ოჯახისათვის, ასევე, უდიდეს სიწმინდეს წარმოადგენდა. კერაზე საუბრისას შეუძლებელია არ გავიხსენოთ გრიგოლ რობაქიძე. მისთვის ხომ ცნებები "ცეცხლი" და "სიცოცხლე" სრულიად განუყოფელია და ურთიერთშემსჭვალულიც.

დარბაზის სივრცე იმასაც ცხადჰყოფს, რომ ტრადიციულ საზოგადოებაში საკრალური და ყოფითი საწყისები გადაჯაჭვული იყო.

რაც შეეხება მის ბანს (რომელიც გარემოსთან კონტაქტისათვისაც საუკეთესო ეზოსებრი ტერიტორიაა), აქ ადამიანები დროის დიდ ნაწილს ატარებდნენ; შრომობდნენ კიდეც და ლხინზეც არ ამბობდნენ უარს. ამ თვალსაზრისით, ინტერესს აღძრავს მიხეილ ლერმონტოვის ნახატები, რომელნიც ძველ საქართველოში სწორედ ცხოვრების წესის ასახვითაა ინფორმაციული...

დღეს, როდესაც მთელი სიმწვავით იჩენს თავს მრავალი კარდინალური პრობლემა, დაკავშირებული არა მხოლოდ ადამიანისა და ბუნების მიმართებასთან, არამედ თვით ადამიანის არსებობის საზრისთანაც, გულისყური უნდა მიეპყრას ისეთ ამოუწურავ ორიენტირს, როგორიცაა დარბაზის სივრცე. მასში დაკრისტალებულია ქართველთა არაერთათასწლოვანი, საყოველთაო მნიშვნელობის გამოცდილება, საგულისხმო არა მხოლოდ ხუროთმოძღვრული თვალსაზრისით. დარბაზი კოსმოგონიის ხატიცაა, როგორც გამოვლენა ზეცისა და მიწის შეერთებისა, მთელი სამყაროს ღრმად სიმბოლური და სასიკეთო გამთლიანებისა.

ინფოთეკა

## "ევერტონი" და "ლივერპული" ვერ შეთანხმდნენ

დიდი ბრიტანეთის სპორტის მინისტრის რიჩარდ კაბორნის შუამდგომლობით "ლივერპულისა" და "ევერტონის" წარმომადგენლებს შორის მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მოლაპარაკება, რომელიც საბოლოო ჯამში უშედეგოდ დამთავრდა და მხარეებმა შეთანხმებას ხელი არ მოაწერეს. "სამწუხაროდ, მხარეები ვერ შეთანხმდნენ სტადიონის ერთობლივი მშენებლობის თაობაზე. ჩვენ ყველაფერს ვილონებთ იმისთვის, რომ "ევერტონს" ახალი სტადიონი ჰქონდეს", - განაცხადა ლივერპულის მერიის პრესატამშემ. "ლივერპულის" ხელმძღვანელობამ "ევერტონს" საერთო, 60-ათასიანი სტადიონის მშენებლობა მას შემდეგ შესთავაზა, რაც მშენებლობისთვის სავარაუდო დანახარჯი 80-დან 110-მილიონ გირვანქა სტერლინგამდე გაიზარდა.

## ჯერემის "მიდლსბროში" გადასვლა სურს

კამერუნელმა ჯერემი ნჯიხაპმა განაცხადა, რომ ლონდონის "ჩელსიდან" "მიდლსბროში" გადასვლა სურს. "უკმაყოფილო ვარ "ჩელსიში" ჩემი მდგომარეობით, რადგან არ ვთამაშობ. მინდა, "მიდლსბროში გადავიდე, რადგან ამ კლუბთან შესანიშნავი მოგონებები მაკავშირებს", - განაცხადა ჯერემიმ, რომელიც "მიდლსბროში" იჯარის წესით 2002-2003 წლებში თამაშობდა.

## "ლაციო" და "სამპდორია" ფორვარდებს ცვლიან

"ლაციომ" და "სამპდორიამ" ფორვარდების გაცვლა გადაწყვიტეს. უეფას ოფიციალური საიტი გვამცნობს, რომ სიმონე ინძაგი იჯარის წესით სეზონის ბოლომდე "სამპდორიაში" დარჩება, ფაბიო ბაცანი კი - "ლაციოში".

## "გაზას" ჯანმრთელობა შეერყა

ინგლისის სპორტული სამყარო პოლ გასკოინის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ერთობ შეწუხებულია. საშობაო დღესასწაულის დღეებში "გაზა" საკუთარ სახლში შეუძლოდ გახდა, რის შემდეგაც გრძნობა დაკარგა.

ინგლისის ნაკრების ყოფილი კაპიტანი საავადმყოფოში გააქანეს. ექიმებმა მას ფილტვების ანთება დაუდგინეს. გასკოინს გაუკეთეს ინგლისის საავადმყოფოებისთვის ტრადიციული ანალიზი ვიპ-ინფექციებზე. თუმცა, ამ ანალიზის პასუხი საშობაო არდადეგების გამო მოგვიანებით გახდება ცნობილი.

სწორედ ამ ფაქტმა შეაფუცხუნა ინგლისური პრესა, რომელმაც ფეხბურთელის მდგომარეობაზე ათასგვარი ვარაუდი შეთხზა. გასკოინის ჭირით დაავადების შესახებ ჟურნალისტებმა რამდენიმე არგუმენტი მოიყვანეს. ჯერ ერთი, ბოლო დროს სპორტსმენი ძალიან გახდა, რასაც ფეხბურთელობის პერიოდში ვერ აღწევდა. მეორეც, ის სულ უფრო ხშირად მიმართავს ექიმებს დასახმარებლად.

2003 წლის თებერვალში გასკოინმა მიაკითხა ლონდონის ერთ-ერთ პრესტიჟულ კერძო კლინიკას, რომელიც სპეციალიზებულია ნარკოტიკული და ალკოჰოლური დამოკიდებულებისგან განკურნებაზე. 2004 წლის ივლისში მას გაუკეთეს ოპერაცია - მუცლიდან წყლული ამოკვეთეს. წლეულს, საშობაო დღესასწაულების წინ, პოლი სატელევიზიო შოუში მიიწვიეს, მაგრამ მან უარი განაცხადა, მიზეზად კი ზურგის ტკივილი დაასახელა.

ბრიტანული პრესის ცნობით, ახლა გასკოინი დაბნეული და დათრგუნულია. ის ტესტების შედეგს ელოდება. "როგორც არ უნდა იყოს, მთელმა ბრიტანულმა სპორტულმა სამყარომ თითები გადააჯვარედინა. ის მოთმინებით და იმედით ელოდება, რომ ტესტი უარყოფით შედეგს აჩვენებს", - წერს "სანდი მირორი".



ფეხბურთი

# ერიქსონი: „ილაპარაკე ნელა, ილაპარაკე წყნარად, არაფერი თქვა!„

ნინო ტიკარაძე

*რამდენიმე დღის წინათ სვენ გორან ერიქსონმა ინგლისის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე ყოფნის ოთხი წლისთავი იზეიმა. ალბათ, თითზე ჩამოსათვლელად თუ არიან ისეთი მწვრთნელები, რომელთაც უცხო ქვეყნის გუნდში ასეთ წარმატებას მიაღწიეს და იმ ქვეყანაში ოთხი წელიც დაყვეს. სერ ბობი რობსონის შემდეგ ერიქსონმა შეძლო ამის მიღწევა.*

2001 წლის 10 იანვარს შვედი სპეციალისტის დანიშვნამ ინგლისის ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად მრავალი კითხვა წარმოშვა. უკმაყოფილება აშკარა იყო არა მხოლოდ ფეხბურთის მესვეურთა, არამედ გულშემატკივართა მხრიდან. "მახსოვს, როცა პირველად ჩამოვედი ინგლისში, სოჰოს მოედანზე, ჩემს მომავალ ოფისთან დამხვდა ერთი მამაკაცი პლაკატით ხელში: "არ გვინდიხარ". დრო წარმოუდგენლად სწრაფად გარბის. არ მჯერა, რომ მას შემდეგ ოთხი წელი გავიდა. მე კვლავაც მიყვარს ჩემი სამუშაო და ვამაყობ მისით," - განაცხადა ერიქსონმა.

მისი, როგორც ინგლისის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის დებიუტი შედგა თებერვალში ბირმინგემში "ვილა პარკის" სტადიონზე, ინგლის-ესპანეთის ამხანაგურ მატჩზე, რომელიც ინგლისელთა გრანდიოზული წარმატებით დასრულდა (3:0). შემდეგ კი, როცა მისმა გუნდმა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურში ჯერ ფინეთის ნაკრებს (2:1), მოგვიანებით (იმავე წელს) კი გერმანიის ნაკრებს სძლია (5:1), სვენ გორან ერიქსონი ეროვნული გმირი გახდა.

დღემდე გერმანიასთან ასეთ გამარჯვებას შვედი მწვრთნელი ყველაზე დიდ წარმატებად თვლის თავის სპორტულ კარიერაში. "შეგიძლია გერმანია დაამარცხო, მაგრამ წარმოუდგენელია, მას ასეთი ანგარიშით მოუგო. ჩვენ ეს შევძელით. ეს მართლაც ისტორიული შედეგი იყო," - განაცხადა ერიქსონმა.

წარმატებების გარდა, შვედმა სპეციალისტმა აუღელვებელი და მშვიდი მწვრთნელის სახელი მოიპოვა. მის უზომოდ გაწონასწორებულ ხასიათზე მეტყველებს სოჰოს მოედანზე მდებარე ერიქსონის ოფისში ჩარჩოში ჩასმული სლოგანი: "ილაპარაკე ნელა, ილაპარაკე წყნარად, არაფერი თქვა".

ამას გარდა, მან მალე დაიმსახურა ინგლისის ნაკრების ფეხბურთელთა პატივისცემა, რასაც დღემდე ინარჩუნებს.

"მას დიდი გამოცდილება აქვს. ჩვენ ყველანი პატივს ვცემთ ამ ადამიანს. დამეთანხმებით, გუნდის მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანია ნებისმიერი მწვრთნელისთვის," - განაცხადა გუნდის კაპიტანმა დევიდ ბექჰემმა რამდენიმე დღის წინათ.

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის მარკეტინგის დეპარტამენტის მონაცემებით, ინგლისის ეროვნული ნაკრები ერიქსონის მწვრთნელად მოსვლის პერიოდიდან გაცილებით უფრო ძვირად ღირებული გუნდი გახდა, ვიდრე მანამდე იყო. ამ ფაქტს ინგლისელები სვენ გორან ერიქსონის დამსახურებად თვლიან, თუმცა, გუნდის ასეთ წარმატებაში მარტო მწვრთენლს კი არა, ისეთ ფეხბურთელებსაც მიუძღვით წვლილი, როგორებიც არიან დევიდ ბექჰემი, მაიკლ ოუენი, უეინ რუნი და სხვები.

და მაინც, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თავკაცებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ შვედ სპეციალისტში გადახდილი ფული ქარისთვის არ გაუტანებიათ.

მაგალითად, გასულ წელს ყველაზე კარგად ინგლისის ნაკრების მაისურა იყიდებოდა.

შარშანდელი მონაცემებით, ერიქსონის გუნდს მსოფლიოს მასშტაბით ყველაზე მრავალრიცხოვანი მაყურებელი ჰყავდა.

და მაინც, წარმატების კვალდაკვალ იყო წარუმატებლობაც. ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატები.

ზოგიერთი ექსპერტის ცნობით, ინგლისის ნაკრების თავკაცს კიდევ ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი. "მომავალი ორი წელი საკმაოდ რთული და შრომატევადი იქნება ერიქსონისა და მთლიანად ნაკრებისთვის. სვენმა გაცილებით მეტი უნდა გააკეთოს, რადგან ვფიქრობ, რომ მას თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი არ გამოუვლენია, როგორც ეს მოხდა გასულ ევროპისა თუ მსოფლიო ჩემპიონატებზე. ცხოვრებაში ყველაზე მეტად იაპონიაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ინგლისელთა თამაშმა დამწყვიტა გული. ვფიქრობ, გვქონდა შანსი, დაგვემარცხებინა ბრაზილია და ფინალშიც გავსულიყავით, მაგრამ ერიქსონმა ეს შესაძლებლობა ხელიდან გაუშვა. შეცდომები აღარ უნდა გამეორდეს," - განაცხადა ინგლისი ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა ტერი ბუჩერმა "ბიბისისთან" საუბარში.

თავად ერიქსონი კი გარკვეული წარუმატებლობის მიზეზად, რომელიც ინგლისს მწვერვალების დაპყრობაში ეღობება, ჩემპიონატის არაორგანიზებულ კალენდარს ასახელებს, რაც ფეხბურთელებს სათანადოდ მომზადების საშუალებას არ აძლევს. "ტექნიკური თვალსაზრისით, ინგლისის ნაკრები ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში. ჩვენ გვყავს დევიდ ბექჰემი და მაიკლ ოუენი, რომლებიც მაღალი კლასის ესპანურ გუნდში მადრიდის "რეალში" თამაშობენ, რაც თავისთავად რაღაცას კი არა, საკმაოდ ბევრს ნიშნავს. ამათ გარდა, ძლიერ ინგლისურ გუნდებში თამაშობენ ჯერარდი ("ლივერპული"), უეინ რუნი ("მანჩესტერ იუნაიტედი"), ჯერმენ დეფო ("ტოტენჰემი"). არც ისინი აღწევენ ნაკლებ წარმატებას. მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვება ინგლისური ფეხბურთის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ჩვენ მსოფლიოსა თუ ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალიდან ჩემპიონატს გამოვეთიშეთ, იყო ის, რომ ფეხბურთელები სათანადადო ფორმაში არ იყვნენ. ცუდია, როცა ასეთ მნიშვნელოვან ტურნირზე ამდენი ვარსკვლავი გამოგყავს მოედანზე, მაგრამ წარმატებას მაინც ვერ აღწევს. და ეს მათი ბრალი არ გახლავთ. ერთი თვე მაინც უნდა იყოს ვადად პრემიერლიგის დამთავრებასა და ჩემპიონატის დაწყებას შორის. ფეხბურთელებს დასვენებისთვის ერთ კვირას მივცემდი, დანარჩენ სამ კვირას კი მომზადებას დავუთმობდი," - განაცხადა ინგლისის ეროვნული ნაკრების თავკაცმა სვენ გორან ერიქსონმა.

ამის გამო შვედმა თხოვნით მიმართა ფეხბურთის ასოციაციის ხელმძღვანელობას, 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატამდე მოსამზადებლად გაცილებით მეტი დრო მისცენ ეროვნულ ნაკრებს, ვიდრე აქამდე ჰქონდა. "დიდი იმედი მაქვს, რომ ამ ქვეყნის ფეხბურთის თავკაცები ოთხკვირიან დასვენებას მოგვცემენ ქვეყნის ჩემპიონატსა და მსოფლიო ჩემპიონატს შორის. მოგეხსენებათ, პორტუგალიასა და იაპონიაში მეოთხედფინალში გავედით. ზოგიერთის აზრით, ეს კარგი შედეგია, ზოგი კი ფიქრობს, რომ საკმარისი არაა. მეც მიმაჩნია, რომ სამი კვირა ძალიან ცოტა დროა სულის მოსათქმელად, ჩვეული ფორმის დასაბრუნებლად და გამარჯვების მოსაპოვებლად. ამიტომაც ვიბრძვი მოსამზადებელი ვადის გასაგრძელებლად. მოგვეცით შანსი და ჩვენ გაცილებით მეტს გავაკეთებთ".

ძნელი სათქმელია, მოახერხებს თუ არა შვედი სპეციალისტი მიზნის მიღწევას, რომლისთვისაც ასე თავგანწირული იბრძვის. თუმცა, ასეა თუ ისე, იგი 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის ემზადება და, თხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მის მოგებასაც გვპირდება.

# რონალდო: "დარწმუნებული ვარ, "ბარსელონას" დავეწევით"

*მადრიდის "რეალის" ბრაზილიელი ვარსკვლავი რონალდო საუკეთესო ბომბარდირთა დავაში ერთვება. მადრიდის "ატლეტიკოს" კარში გატანილმა ორმა გოლმა მას საშუალება მისცა, 10 გოლით ბომბარდირთა დავაში მეორე ადგილზე გადასულიყო და ახლანდელ ლიდერს სამუელ ეტო`ოს სამი ბურთით ჩამორჩება. რონალდო "ატლეტიკოსთან" გამართულ მატჩს იხსენებს.*

**- შენ მატჩის მთავარი გმირი გახდი: ორი გოლი გაიტანე, რამაც "რეალს" სამი ქულა მოუტანა.**

- მე მატჩის მთავარი გმირი არ ვყოფილვარ. უბრალოდ, კარგად გავაკეთე ის, რაც უნდა გამეკეთებინა - გავიტანე გოლები. მე ჩემი შანსი გამოვიყენე და ჩვენ დამსახურებული გამარჯვება მოვიპოვეთ. თუმცა, უნდა ვაღიარო, რომ "ატლეტიკომ" ბევრჯერ დაგვინდო.

**- კარგი, ნუ უარობ... შენ ორი მომენტი გქონდა და ორივე გამოიყენე.**

- მე ყველაფერი გამომივიდა. დე, ასე იყოს ყველა მატჩში. თუმცა, ამასთან, მე მქონდა თამაშები, როცა ბევრ საგოლე მომენტს ვაფუჭებდი. თუმცა, თუ დავთ, რეალიზებული მომენტები უფრო იყო, ვიდრე გამოუყენებელი. კიდევ იმის თქმა მინდა, რომ ჩვენი მიზანია, პრიმერადივიზიონი მოვიგოთ. ამას კი საერთო ძალისხმევა სჭირდება.

**- გეტყობა, ძალიან კმაყოფილი ხარ.**

- დიახ. ეს მართალია. მე ორი გოლი გავიტანე, მაგრამ ჩვენ ამავე ტემპში უნდა გავაგრძელოთ, რადგან "ბარსელონას" ძალიან ჩამოვრჩებით. თუმცა, დარწმუნებული ვარ, ჩამორჩენას აღმოვფხვრით, რადგან "ბარსა" ზოგიერთ მატჩში წაიბორძიკებს, ჩვენ კი - არა.

**- ერთი კვირაა, რაც თქვენ ლუქსემბურგოსთან ვარჯიშობთ. მისი ხელი დაგეტყოთ?**

- ვფიქრობ, რომ დაგვეტყო. ერთი კვირის განმავლობაში ჩვენ ძალიან კარგად ვმუშაობდით ტაქტიკაზე და გუნდმაც თამაში უფრო დაალაგა. დაცვაშიც და თავდასხმაშიც უფრო ორგანიზებული ვართ.

**- მას ესპანურ ენასთან პრობლემები აქვს?**

- ფეხბურთის ენა უნივერსალურია. მნიშვნელოვანია ის, რომ ვანდერლეის ლამაზი ფეხბურთი უყვარს და, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ერთი კვირაა, რაც ჩვენთან არის, გამოსდის იმის ახსნა, რასაც ჩვენგან ითხოვს.

**- მეჩვენება, რომ ამ გამარჯვების შემდეგ ეიფორიაში ხართ...**

- გამარჯვება დიდ მოტივაციას გვაძლევს. ვიმეორებ, დარწმუნებული ვარ, რომ "ბარსელონა" შეცდება. დღევანდელი მატჩის შედეგი ლოგიკურია, თუმცა, ისიც სიმართლეა, რომ, როგორც უკვე ვთქვი, "ატლეტიკომ" ბევრჯერ დაგვინდო. მთელმა გუნდმა შესანიშნავად ითამაშა, ჩვენ გამარჯვებას მთელი ძალისხმევა შევალიეთ. "ატლეტიკო" შინ თამაშობდა და პირველმა გოლმა დიდი შვება მოგვგვარა. ამ შედეგისთვის რომ მიგვეღწია, საჭირო იყო, კონტრშეტევები გამოგვეყენებინა.

**- რა შეგიძლია თქვა ლუქსემბურგოს შესახებ?**

- ის დიდი მწვრთნელია და ამას მადრიდის "რეალში" მუშაობისას გამოავლენს. მას მშვიდი მუშაობის საშუალება უნდა მიეცეს და დროთა განმავლობაში ყველაფერს აჩვენებს. თუმცა, ყველაფერი მასზე არ არის დამოკიდებული. ჩვენც უნდა გამოვიჩინოთ თავი.

**- რა შეგიძლია თქვა მის მიერ რაციის გამოყენებაზე?**

- უკვე დიდი ხნიდა, რაც ის რაციას იყენებს. ამას იმიტომ აკეთებს, რომ მატჩს სხვადასხვა წერტილიდან ადევნოს თვალი.

**- მომავალ კვირაში თქვენ "სარაგოსასთან" გიწევთ თამაში.**

- ახლა მხოლოდ თასზე თამაში გვაღელვებს. "სარაგოსაზე" შემდეგ ვიფიქრებთ. ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა ვიაროთ. კარგი იქნება, თუ მომავალშიც ისე კარგად დავიცავთ თავს, როგორც დღეს. ეს გამარჯვება ფსიქოლოგიური თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია.




ინფოთეკა

## დი კანიო "სიენას" გაწვრთნის

იტალიური პრესის ცნობით, მას შემდეგ, რაც "სიენას" ხელმძღვანელობამ კლუბის მწვრთნელი ლუიჯი სიმონი გაათავისუფლა, გუნდს ლუიჯი დი კანიო ჩაუდგა სათავეში. კლუბის პრეზიდენტმა პაოლო დე ლუკამ მწვრთნელის შესაძლო ცვლილების შესახებ ორშაბათს საღამოს გაავრცელა ინფორმაცია. დი კანიო ადრე "ნაპოლისა" და "უდინეზეს" ედგა სათავეში.

## რეკობა არ გაიყიდება

მილანის "ინტერის" მთავარმა მწვრთნელმა რობერტო მანჩინიმ განაცხადა, რომ არ აპირებს ურუგვაელი ფორვარდის ალვარო რეკობას გაყიდვას. "ჩვენ ალვაროს გაყიდვას არასოდეს ვაპირებდით", - განაცხადა მწვრთნელმა. ცნობილია, რომ ფეხბურთელით გენუის "სამპდორიას" წარმომადგენლები იყვნენ დაინტერესებული.

## "ლივორნომ" დონადონი მიიწვია

სერია A-ს კლუბმა "ლივორნომ" კონტრაქტი გაწყვიტა მწვრთნელ ფრანკო კოლომბოსთან და გუნდის სათავეში იტალიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი რობერტო დონადონი მიიწვია. კოლომბო მხოლოდ ექვსი თვის წინათ მივიდა "ლივორნოს" სათავეში. იტალიის ჩემპიონატის ბოლო ორ მატჩში გუნდმა "ინტერთან" და "იუვენტუსთან" წააგო და ამის შემდეგ გათამაშების ცხრილში მე-15 ადგილამდე ჩამოქვეითდა. გუნდს გასავარდნ ზონასთან მხოლოდ ოთხი ქულა აშორებს.

"მილანის" ექსნახევარმცველმა "ლივორნოსთან" 2006 წლამდე გააფორმა კონტრაქტი. ის ერთხელ უკვე წვრთნიდა კლუბს 2002-2003 წლების სეზონში. მაშინ "ლივორნომ" სერია B-ს ჩემპიონატი მე-10 ადგილზე დაასრულა. გასული სეზონის დასაწყისიდან 41 წლის სპეციალისტი უმუშევარი იყო. ის კლუბ "ჯენოას" მწვრთნელის თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ამ კლუბში დონადონიმ მხოლოდ სამი თამაში წარმართა.

მიმდინარე სეზონში "ლივორნო" მეშვიდე გუნდია, რომელმაც მწვრთნელი გამოიცვალა. მანამდე რადიკალურ ზომებს მიმართეს "რომამ", "ფიორენტინამ", "ატალანტამ", "პარმამ", "ლაციომ" და "სიენამ".

## ლემანი ჰილდებრანდს შეცვლის

გერმანული "შტუტგარტის" მთავარმა მწვრთნელმა მათიას ზამერმა განაცხადა, რომ მისი კლუბი ლონდონის "არსენალის" მეკარით იენს ლემანით არის დაინტერესებული. ზამერის ვარაუდით, ლემანი კლუბს იმ შემთხვევაში შეავსებს, თუ "შტუტგარტის" ძირითადი მეკარე ტიმო ჰილდებრანდი კლუბს დატოვებს. "თუ ტიმო წავა, ლემანს ავიყვანთ. არ მგონია, რომ ლემანი ლონდონში თავისი მდგომარეობით კმაყოფილია", - აცხადებს მათიას ზამერი.

## ალექს ფერგიუსონი: "რუნი ითამაშებს"

ინგლისის "მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარმა მწვრთნელმა სერ ალექს ფერგიუსონმა განაცხადა, რომ გუნდის ფორვარდი უეინ რუნი დღეს ითამაშებს Carling Cup-ის გათამაშებაში ლონდონის "ჩელსის" წინააღმდეგ. "რუნიმ ბოლო სამი მატჩი გამოტოვა, მაგრამ ძალიან კარგად ვარჯიშობდა", - განაცხადა ფერგიუსონმა. შეგახსენებთ, რომ უეინ რუნის სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია ჰქონდა.



ინფოთეკა



**ჭადრაკი:** მსოფლიო რეიტინგის პირველი ნომერი გარი კასპაროვი სულ მალე მიკრო, ორრაუნდიან მატჩში შეხვდება ფიდეს ჩემპიონ რუსტამ კასიმჯანოვს. ეს შეხვედრა ლინარესის ტრადიციული სუპერტურნირის ფარგლებში, 23 თებერვალს გაიმართება. საინტერესოა, რომ ბოლო ათწლეულების განმავლობაში პირველად ლინარესში თამაშზე უარი განაცხადა მსოფლიო ჩემპიონმა კლასიკურ ჭადრაკში ვლადიმირ კრამნიკმა. თუმცა, ამის მიუხედავად, ტურნირმა მაინც მაღალი, ფიდეს შკალით მეოცე კატეგორია მიიღო. კრამნიკს რომ ეთამაშა, მაშინ ტურნირი უმაღლეს, 21-ე კატეგორიას მიიღებდა, მაგრამ თავისი შემადგენლობით ისედაც საინტერესო უნდა იყოს. მონაწილეთა შორის არიან:

| | |
|---|---|
| გარი კასპაროვი (რუსეთი) | 2804 |
| ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 2786 |
| ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 2757 |
| პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 2749 |
| მაიკლ ადამსი (ინგლისი) | 2741 |
| ფრანსისკო ვალიეხო (ესპანეთი) | 2686 |
| რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი) | 2678 |




**მოტოსპორტი:** ბარსელონა-დაკარზე მიღებული ტრავმებისგან გარდაიცვალა ესპანელი მრბოლი ხოსე მანუელ პერესი. სპორტსმენი მოტოციკლიდან გადმოვარდნის შემდეგ დაშავდა. მას ოპერაცია გაუკეთეს - ერთი თირკმელი ამოკვეთეს და ამის შემდეგ სამშობლოში გადაიყვანეს. ჰოსპიტალში მოთავსებიდან ნახევარი საათის შემდეგ პერესი გარდაიცვალა. კვირას რალისტები ისვენებდნენ და უდაბნოს დაძლევის შემდეგ მანქანებს აწესრიგებდნენ. ორშაბათს მე-10, გუშინ კი მე-11 ეტაპის რბოლები გაიმართა.



**ოლიმპიზმი:** საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ჟაკ როგე ვიზიტით აფრიკულ ქვეყნებში იმყოფება. მან აფრიკელებს წინადადება მისცა, იბრძოლონ ოლიმპიური თამაშების მასპინძლობისთვის. "ამ დროისთვის არც ერთ აფრიკულ ქვეყანას ოლიმპიური თამაშების მასპინძლობაზე განაცხადი არ გაუკეთებია, თუმცა, იმედი მაქვს, ახლო მომავალში ეს პრესტიჟული სპორტული ღონისძიება აფრიკაში გაიმართება. მიხარია, რომ ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში გაიმართება", - განაცხადა როგემ.



**ჩოგბურთი:** სლოვაკი ჩოგბურთელი დომინიკ ჰრბატი, რომელმაც ჰოპმანის თასი მოიგო, თანამემამულე დანიელა ჰანტუხოვასთან ერთად ახალი ზელანდიის აეროპორტის საბაჟოს თანამშრომლებმა 139 დოლარით დააჯარიმეს. ჯარიმა ხილის გადატანისთვის მიუსაჯეს. ავსტრალიური ტურნირის ჯილდოსთან - ბრილიანტის საჩოგბურთო ბურთთან ერთად ჩოგბურთელის ბარგში რამდენიმე მანდარინი იდო. "ეს ყველაზე ძვირფასი მანდარინებია, რომელიც კი ოდესმე მქონია. ამ ფულით მე 50 კგ. ხილის შეძენა შემეძლო", - იხუმრა განაწყენებულმა ჩოგბურთელმა.

სათხილამურო სპორტი

# ადელბოდენში გზა გაკვალულია

ბიგა ბურასაშვილი

*23 ოქტომბერს დაწყებული სამთოსათხილამურო სეზონი კარგა ხანია შეხურდა და აშშ-ის, კანადის, ავსტრიის, საფრანგეთის, იტალიისა თუ შვეიცარიის საკურორტო ფერდობებიც საკმაოდ გადაიტკეპნა. გაიმართა ქვეყნიდან ქვეყანაში მომთაბარე არაერთი მსოფლიო ეტაპიც როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის. თითოეულ დისციპლინაში (სლალომი, გიგანტური სლალომი, სწრაფდაშვება და სუპერგიგანტი) გამოიკვეთნენ ლიდერები და მათი მოცილეები.*

ამ ხნის განმავლობაში დათოვლილ ფერდობებს მაყურებელი არ მოჰკლებია. იყო იმედგაცრუებაც და სიხარულიც. კიდევ კარგა ხანს გაგრძელდება ასე - 2004-2005 წლის სეზონის ბოლომდე. იმას, თუ ვინ იქნება თითოეული დისციპლინის ლიდერი, ამას ბოლოს შევიტყობთ, მანამდე კი იმაზე მოგიყვებით, თუ ვინ არიან გიგანტურ სლალომში საერთო ჩათვლის ლიდერები.

გუშინდლამდე ლიდერის პოზიცია კანადელ ტომას გრანდის ეკავა, მაგრამ მთავარი ის იყო, შეძლებდა თუ არა ზედიზედ მესამედ ამ დისციპლინაში გამარჯვებას. მაგრამ მანამდე თვალი შევავლოთ მსოფლიო თასის მეექვსე ეტაპის მასპინძელ ფერდობს - შონისბერგლს, რომელიც შვეიცარიაში, კერძოდ, ადელბოდენშია.

შეჯიბრება მეტისმეტად საინტერესო უნდა ყოფილიყო, რადგან მსოფლიოს საუკეთესო მოთხილამურეებს გამორჩეულ და, როგორც ხშირად ამბობენ, ლეგენდარულ ფერდობზე - შონისბერგლზე უნდა ესასპარეზათ. ამ ფერდობს ერთ-ერთი ურთულესის სახელი აქვს დაგდებული მსოფლიო თასის ტრასებს შორის. ალბათ ამიტომაც იყო, რომ შეჯიბრებას 15 ათასამდე მაყურებელი ადევნებდა თვალყურს.

მაყურებელთა შორის, რა თქმა უნდა, მასპინძლები ჭარბობდნენ. მათი გამამხნევებელი შეძახილები თანამემამულ დიდიე დეფაგოსკენ იყო მიმართული. ამაზეც მოგვიანებით

გიგანტური სლალომის საერთო ჩათვლაში ტომას გრანდის დაწინაურება იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ კანადელის პირველობა ბევრისთვის სიურპრიზი აღმოჩნდა. ამ ოჯახაშენებულმა სიბერეში გამოიდო თავი! აბა, ვინ იფიქრებდა, თუ გრანდი, რომელიც სეზონის დაწყებამდე, ფაქტობრივად, სათხილამურო სამყაროსთვის უცნობი გახლდათ, 32 წლისა მსოფლიო თასის ლიდერად მოგვევლინებოდა. გრანდიმ კარიერის პირველი ეტაპი ჯერ ალტა ბადიას (იტალია) ტრასაზე მოიგო და მერე ავსტრიის ფლახაუს ტრასასაც მიაყოლა. დღის წესრიგში დადგა მესამე ეტაპის მოგებაც, მაგრამ, ხომ გაგიგონიათ, კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო. კანადელს ხელი მოეცარა. ორი დაშვების ჯამში ეტაპის გამარჯვებულს, იტალიელ მასიმილიანო ბლარდონეს 01,54 წამით ჩამორჩა, ასპარეზობა მე-12 შედეგით დაასრულა და საერთო ჩათვლაში მეორე საფეხურზე გადაინაცვლა. თავად იტალიელი კი წარმატებამ ჩათვლის მესამე საფეხურზე აიყვანა, რაც გიგანტურ სლალომში კარიერის პირველი გამარჯვების დამსახურებაა.

იტალიელს ორი დაშვების ჯამში 2 წუთი და 19,84 წამი დაუგროვდა, რაც 0.18 წამით ნაკლებია უახლოეს მდევარ და საერთო ჩათვლაში დაწინაურებულ ამერიკელ ბოდე მილერზე (მილერი სხვადასხვა დისციპლინათა ჩათვლის ჯამშიც მოწინავეა) და 0.39 წამით ნაკლები - შარშანდელი ეტაპის გამარჯვებულ ფინელ კალე პალანდერზე.

მასპინძელთა იმედმა დიდიე დეფაგომ პირველი დაშვების შემდეგ თანამემამულეებს გამარჯვების ნაპერწკალი კი გაუღვივა, რაც მის საუკეთესო შედეგშიც გამოიხატა, მაგრამ მეორე დაშვების საწყის მონაკვეთზე შვეიცარიელს კოჭებმა უმტყუნა და ჭიშკარი გამოტოვა, რაც იმას ნიშნავს, რომ ასპარეზობა ვერ დაასრულა. თუმცა, შვეიცარიელი ერთადერთი არ ყოფილა, ვინც ტრასა ვერ დაამთავრა. მსოფლიო თასის მეექვსე ეტაპის გათამაშების მონაწილეთა ნახევარმა მისი ბედი გაიზიარა - ზოგმა პირველი დაშვებისას, ზოგმაც მეორე დაშვებისას (სულ 41 მონაწილე).

გუშინდელი დღის ყველაზე დიდი სანახაობა ამერიკელი დარონ რალვზის დამსახურებაა. რალვზმა, რომელიც მეორე დაშვებამდე მესამე პოზიციაზე იყო და კარგი შანსიც ჰქონდა კვარცხლბეკზე ასასვლელად, ტრასის შუა მონაკვეთზე თხილამურებზე კონტროლი დაკარგა. ამერიკელმა ნაირგვარი პირუეტებით დაახლოებით 20 მეტრი ჰაერში იფრინა და, დამცავი ბადე რომ არა... ბადეს შეჯახებული, რამდენიმე წამს გაუნძრევლად ეგდო. ყველას სუნთქვა შეეკრა, მაგრამ ბოლოს შვებით ამოისუნთქეს: ამერიკელი წამოდგა და საკუთარი ფეხით ჯანმრთელი და უვნებელი გაეცალა იქაურობას.

რაც შეეხება ტიტულოვან "ჰერმინატორად" წოდებულ ავსტრიელ ჰერმან მაიერს, რომელიც მსოფლიო თასის 2003-2004 წლების გათამაშების საერთო ჩათვლის გამარჯვებული გახლდათ, მან ასპარეზობა მე-18 შედეგით დაასრულა.




TV-სპორტი

**ოთხშაბათი. 12 იანვარი**

**НТВ+ФУТБОЛ**

12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 საფრანგეთის ჩემპიონატი. "ლილი" - "მარსელი"
14:00 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
15:00 საფეხბურთო არდადეგების ჟამს. ჰოლანდიის ჩემპიონატი. "ფეიენოორდი" - პსვ. შესვენებისას (15:45) - თავისუფალი დარტყმა
17:00 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
17:30 ბრაზილიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. "კორინთიანსი" - "სანტოსი"
19:20 თავისუფალი დარტყმა
19:35 სახვალიო ტელეპროგრამა
19:45 ჩემპიონთა ლიგა. სეზონი 2004-2005. "მილანი" - "სელტიკი"
21:40 რუსეთის ჩემპიონატი - 2004. საკუთარი ვერსია
22:10 თავისუფალი დარტყმა
22:25 საფრანგეთის ჩემპიონატი. "სოშო" - "ლიონი". პირდაპირი ტრანსლაცია
00:20 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა

**НТВ+ПЛЮС**

10:00, 13:00 პრესცენტრი
10:20, 22:30 "ქრონიკა"
10:25, 11:40 "ჰარმონიის ფორმულა"
10:40 "ჰოკეი-პლუს"
10:55 სათხილამურო რბოლა. რუსეთის ჩემპიონატი. დღე პირველი
12:00 "ვარსკვლავური სამშაბათი"
13:15 "გუნდი" - "ლადა"
13:45 "ვატერპოლე"
14:15 ფიგურული სრიალი. რუსეთის ჩემპიონატი. შესვენებისას (15:45) - პრესცენტრი
17:45 ჰოკეი. "სტენლის თასის რეტროსპექტივა". 1998 წელი. ფინალი. "DETROIT RED WINGS" - "WASHINGTON CAPITALS". პირველი მატჩი. შესვენებისას (19:15) - პრესცენტრი
20:15 "სპორტისიმო"
21:00 "თოვლის სამყარო". ტელეჟურნალი
21:30 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატის წინ
22:35 სახვალიო ტელეპროგრამა
22:45 "ჰოკეი-პლუს"
23:00 სამთოსათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის ეტაპი იტალიაში. ქალები. სუპერგიგანტი
00:00 ახალი ამბები
00:15 "თოვლის სამყარო". ტელეჟურნალი
00:45 "სპორტისიმო"

**EUROSPORT**

10:30 რალი. რალი-რეიდი, დაკარი
11:15 სნოუბორდი. მსოფლიო თასი ავსტრიაში
11:45 სნოუბორდი. Air & Style ავსტრიაში
12:15 სამთო თხილამურები. მსოფლიო თასი შვეიცარიაში
12:45 სამთო თხილამურები. მსოფლიო თასი იტალიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
14:15 რალი. რალი-რეიდი, დაკარი. პირდაპირი ტრანსლაცია
14:30 ფეხბურთი. "Efes Pilsen" თასი
16:00 საჩოგბურთო ისტორიები
16:15 ჩოგბურთი. WTA ტურნირი ავსტრალიაში
17:15 ბოულინგი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში. ქალები. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
18:30 მულტისპორტი - აი, მესმის!
19:00 რალი. რალი-რეიდი, დაკარი. პირდაპირი ტრანსლაცია
19:15 ბიატლონი. მსოფლიო თასი გერმანიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
21:00 ფეხბურთი. "Efes Pilsen" თასი. "ბორუსია" - "სპარტაკი". პირდაპირი ტრანსლაცია
23:00 მულტისპორტი - აი, მესმის!
23:30 ბიატლონი. მსოფლიო თასი გერმანიაში
00:30 რალი. რალი-რეიდი, დაკარი. პირდაპირი ტრანსლაცია
01:15 თავგადასავლის რეიდი
01:45 ახალი ამბები
02:00 ბიატლონი. მსოფლიო თასი გერმანიაში
02:45 რალი. რალი-რეიდი, დაკარი




# რევოლუციის შემდეგ

## სამოქალაქო საზოგადოება და დემოკრატიის კონსოლიდაციის პრობლემები საქართველოში

*გაგრძელება. დასაწყისი იხ. №4 (864)*

*როგორ შეიძლება ვარდების რევოლუცია ავხსნათ? რა იყო ეს, საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების მომწიფებისა და საქართველოს დემოკრატიული მისწრაფებების გამოხატულება, როგორც მისი მომხრეები განმარტავენ, თუ დასავლელი დამფინანსებლების მიერ ჭკვიანურად დადგმული სახელმწიფო გადატრიალება, როგორც მისი კრიტიკოსები ამტკიცებენ?*

დოქტორი
ლოურენს ბრუერი
*ლონდონის ნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი*

### "ვარდების რევოლუციის" განმარტებისთვის

სამოქალაქო საზოგადოებამ "ვარდების რევოლუციის" დროს უმნიშვნელოვანესი როლი ერთდროულად სამ დონეზე შეასრულა: ნოემბრის არჩევნების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა; არჩევნების დასრულებისთანავე, საპროტესტო აქციებისთვის ბიძგის მიცემა და რევოლუციის "შესაქმნელად" პროტესტის გადატანა ტელეეკრანზე.

ის, რაც ნოემბრის არჩევნების დროს ორგანიზებულ სადამკვირვებლო კამპანიას ადრინდელისგან აშკარად განასხვავებდა, მობილიზებული უზარმაზარი ფინანსური რესურსები და, ამასთანავე, ხელისუფლების წინააღმდეგ პროპაგანდისტული ომის მოსაგებად ამ რესურსების აგრესიული გამოყენება იყო, რათა საბოლოოდ ეჭვქვეშ დაეყენებინა არჩევნების ოფიციალურად დაფიქსირებული შედეგები.

სამოქალაქო ჯგუფები ძალიან კარგად იყვნენ მომზადებული ნოემბრის არჩევნებისთვის და საქართველოში აქამდე არნახული სადამკვირვებლო შესაძლებლობების მობილიზება შეძლეს. საარჩევნო უბნებზე, იმის გარდა, რაც, ტრადიციულად, საერთაშორისო ორგანიზაციებს (ეუთო-ს, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეას) ჰყავდათ მივლინებული, "სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო ფონდმა" და "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ", შესაბამისად, 2300 და 500 დამკვირვებელი მიავლინა. პირველად, ფონდ "სამართლიან არჩევნებს" შესაძლებლობა მიეცა, აჭარაში დაკვირვება მოეხდინა არა მარტო უშუალოდ ხმის მიცემის პროცესზე, არამედ, წინასაარჩევნო და ხმის დათვლის პროცესებზე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს არა ადგილობრივი რეჟიმის პოლიტიკური ლიბერალიზაციის შედეგი, არამედ, უფრო ინერციით გადადგმული ნაბიჯი იყო.

არჩევნებზე დაკვირვების ასეთი მასშტაბების მიღწევა უპრეცედენტო საგარეო დახმარების საშუალებით გახდა შესაძლებელი: მარტო შეერთებულმა შტატებმა არჩევნების ხელშეწყობისთვის 3 მლნ აშშ დოლარი გამოყო, რასაც საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაღებული კიდევ ერთი მილიონი დაემატა. ეს ფინანსები ადგილობრივი დამკვირვებლების მოსამზადებლად დაიხარჯა, და პირველად საქართველოში დაფინანსდა ეგზიტ-პოლი, რომელმაც საქართველოს საარჩევნო უბნების 17 პროცენტი მოიცვა, ასევე ჩატარდა პარალელური ხმის დათვლა საარჩევნო უბნების 20 პროცენტიდან მიღებული მონაცემების მიხედვით.

აღნიშნული ღონისძიებების შედეგად, პირველად გახდა შესაძლებელი, დამკვირვებლებს მართლაც რეალური მონაცემებით გამყარებულებს ესაუბრათ არჩევნების შედეგებზე და, აქედან გამომდინარე, სასამართლოებში საარჩევნო ადმინისტრაციების წინააღმდეგ საფუძვლიანი სარჩელები შეეტანათ. თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, ალბათ, მაინც პარალელური ხმის დათვლის შედეგების დროზე ადრე გამოქვეყნება იყო, რამაც, არჩევნების მომდევნო დღესვე, საშუალება მისცა ოპოზიციას, გამარჯვების შესახებ განცხადებები გაემყარებინა და, შესაბამისად, ოფიციალური შედეგების აპრიორი დისკრედიტაცია გამოეწვია (რომელიც, სხვათა შორის, 20 ნოემბრამდე არ გამოქვეყნებულა).

არჩევნების შემდგომ პერიოდშიც, ოფიციალური შედეგების სასამართლოში გასაჩივრების დროს, სწორედ სამოქალაქო ჯგუფებმა ითამაშეს მთავარი როლი. გარდა ამისა, პოლიტიკურ პარტიებს საზოგადოებრივი პროტესტის ორგანიზებაში დაეხმარნენ. მოსარჩელეების როლშიც, ისევ და ისევ, "სამართლიანი არჩევნები" და "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" იყო. მათ საარჩევნო ადმინისტრაციების წინააღმდეგ 150 სარჩელი შეიტანეს.

კიდევ უფრო შთამბეჭდავი როლი სტუდენტურმა მოძრაობა "კმარამ" შეასრულა. 2003 წლის აპრილში შექმნილი "კმარა" შეიძლება თავისუფლად მივიჩნიოთ უფრო ადრე იუგოსლავიაში ჩამოყალიბებული "ოტპორის" მემკვიდრედ. თავის მხრივ, "კმარას" მაგალითზე შეიქმნა უკრაინული "პორა". ეს მემკვიდრეობითობა არაძალადობრივი საპროტესტო მოძრაობის გამოცდილების აქტიურ გაზიარებაში გამოიხატებოდა: 2003 წლის ზაფხულში "კმარას" ლიდერები სერბეთში იმყოფებოდნენ, ხოლო "ოტპორის" ტრენერებმა საქართველოში თითქმის 700 აქტივისტი მოამზადეს. არჩევნების თარიღისთვის, უკვე 2000 წევრის მყოლი "კმარა", შეურაცხმყოფელი წარწერებისა და პლაკატების გაკვრის აქტიურ კამპანიას აწარმოებდა. ამას გარდა, კარგად იყენებდა სატელევიზიო კლიპებსა და ქუჩის აქციებს უკმაყოფილო ელექტორატის მისაზიდად. არჩევნების შემდეგ, ამ ორგანიზაციამ, "ნაციონალური მოძრაობისა" და "ბურჯანაძე-დემოკრატების" პოლიტიკურ გაერთიანებებთან ერთად, "გაერთიანებული ოპოზიციის" კოალიცია შეადგინა. "კმარას" არჩევნების შემდგომმა სატელევიზიო რეკლამებმა, სადაც პირდაპირ დებდნენ ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრებს შედეგების გაყალბებაში ბრალს, საკმაოდ მძაფრი გამოხმაურება გამოიწვია და "რუსთავი-2"-ის ეთერიდან მხოლოდ მას შემდეგ მოიხსნა, რაც ეს ტელეკომპანია სასამართლომ დააჯარიმა.

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი როლი პროტესტის აგორებასა და მისთვის ერთიანი, ორგანიზებული სახის მიცემაში მაინც ზოგიერთმა მედია საშუალებამ შეასრულა. თვითგადარჩენის ინსტინქტით მოქმედმა, საქართველოს ყველაზე პოპულარულმა დამოუკიდებელმა ტელეკომპანიამ "რუსთავი-2"-მა (როგორც უკვე აღვნიშნე, 2002 წელს ხელისუფლების მხრიდან დახურვის საფრთხის წინაშე იდგა) ცალმხრივად, მხოლოდ პრო-ოპოზიციური კუთხით გააშუქა არჩევნები და მის შემდეგ დაწყებული საპროტესტო მოძრაობა. როგორც ყველაზე პოპულარული დამოუკიდებელი ელექტრონული მედია საშუალების - მისი გავლენა მართლაც შთამბეჭდავი იყო.

"ვარდების რევოლუციის" კრიტიკოსები აცხადებენ, რომ ყველა საშუალება იქნა გამოყენებული იმისათვის, რათა ტელეეკრანზე "რევოლუცია შეექმნათ", ყოველ შემთხვევაში, პირველ ეტაპზე მაინც, რასაც, სხვათა შორის, სამოქალაქო სექტორის ზოგიერთი წარმომადგენელი პირად საუბრებში მეტნაკლებად ადასტურებს კიდეც. ეს შეეხება ტელეკადრების ჭკვიანურ მონტაჟს, ერთი და იმავე ხალხის მასის კადრების სხვადასხვა ადგილებზე ჩვენებას, სხვა პარტიების სიმბოლოების "ნაციონალური მოძრაობის" ავტობუსებზე "დადებას" (უფრო მასშტაბური მხარდაჭერის შთაბეჭდილების შესაქმნელად), და პოლიციის რიგებში განხეთქილების იმიტაცია - ჩვენება, რომ პოლიცია ხალხის მხარეზე გადავიდა.

შევარდნაძის გადადგომის შემდეგ, "რუსთავი-2"-ის დირექტორმა აღიარა, რომ არხი "საქართველოში მიმდინარე პროცესებს ცალმხრივად აშუქებდა." იმის პარალელურად, რომ ეს აშკარად სახელმწიფოსგან მედიის დამოუკიდებლობაზე მიუთითებს, ამავდროულად, იგი გვიჩვენებს, რომ საზოგადოებისთვის მიწოდებული ინფორმაცია ხშირად ობიექტური არ იყო.

სავარაუდოდ, ამ ფაქტზე მიანიშნებდა რევოლუციის შემდგომი საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა, სადაც აშკარად ჩანდა, რომ "რუსთავი-2" ხშირად ისეთივე ტენდენციური იყო ინფორმაციის მიწოდებისას, როგორც სახელმწიფოს კონტროლქვეშ მყოფი პირველი არხი და ტელეკომპანია "აჭარა."

საფუძვლიანია თუ არა იმის მტკიცება, რომ "ვარდების რევოლუცია" მხოლოდ და მხოლოდ ჭკვიანურად დადგმული სახელმწიფო გადატრიალება იყო?

**საქმე ისაა, რომ ჩემი აზრით, პოლიტიკური ოპოზიცია მხოლოდ თავისი ძალებით "რევოლუციას" ვერ მოახდენდა.** უცხოურ ფინანსებს, სამოქალაქო სექტორს და, განსაკუთრებით, მედიას, პოლიტიკური პარტიების ძალისხმევასთან ერთად, საპროტესტო მოძრაობის აგორებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნდათ.

ამგვარად ქმედებისას, საქართველოს სამოქალაქო საზოგადოება გასცდა პოლიტიკური მოვლენების დამკვირვებლის ტრადიციულ როლს და ამ მოვლენების ერთ-ერთ მთავარ



იური ლობოდინის ფოტო

ძალად გადაიქცა - თან, რაც მთავარია, მათ შედეგებზე არანაირი პასუხისმგებლობა არც უკისრია.

რასაკვირველია, სისულელეა იმის მტკიცება, რომ მნიშვნელოვანი შიდა წინააღმდეგობის გარეშე რეჟიმის შეცვლა შესაძლებელი იქნებოდა. განცხადებები, რომ "ვარდების რევოლუცია," უბრალოდ, "დადგმული რევოლუცია" იყო, არც ნოემბრის არჩევნების წინმსწრებ პოლიტიკურ ვითარებას ითვალისწინებს, არც ქართული საზოგადოების უდიდეს მობილიზაციას, და არც მაშინდელი რეჟიმის სრულ უუნარობას, ჩაეტარებინა სანდო არჩევნები.

კიდევ უფრო საინტერესოა გულუბრყვილო მსჯელობა დასავლურ მედიაში, რომელიც საქართველოში არსებულ პოლიტიკურ ვითარებას უტრირებულად - პროგრესულ პროდასავლურ დემოკრატებსა და ჩამორჩენილ კორუმპირებულ ავტოკრატებს შორის დაპირისპირებად სახავს. საქართველოს მოსახლეობისთვის კარგადაა ცნობილი, რომ რევოლუციის ყველა ლიდერი წინა ხელისუფლების პერიოდში სხვადასხვა დროს სხვადასხვა მაღალ თანამდებობას იკავებდა. ასე რომ, მათ მიერ დემოკრატიული ღირებულებების დამცველებად გამოსვლა ქვეყნის შიგნით საკმაოდ დიდი სკეპტიციზმით აღიქმება.

მეორე გადამწყვეტი მომენტი - რევოლუციაში მონაწილე სამოქალაქო აქტორების მიერ მთელი სამოქალაქო საზოგადოების სახელის მითვისებაა. (ზოგიერთი) სამოქალაქო აქტორების პროდასავლური მისწრაფებების ნიადაგზე და, ასევე, მნიშვნელოვანი დასავლური ფინანსური მხარდაჭერის იმედად, პოლიტიკურ ოპოზიციასთან აშკარა შერწყმა სამოქალაქო საზოგადოების "გარე ძალების" სამსახურში ყოფნის შთაბეჭდილებას ქმნის.

ეს ფაქტი საფუძვლად დაედო ახალ რიტორიკულ თემას სამოქალაქო სექტორის გასაკრიტიკებლად. ისინი "დაქირავებულ დემოკრატებად" შერაცხეს. ხშირი იყო რევოლუციით განაწყენებულთა განცხადებები - ქართული პოლიტიკის მისამართით - *სოროსიზაცია*, ხოლო არასამთავრობოებისა და ყოფილი სამოქალაქო სექტორის აქტივისტების მიმართ *გასოროსებული*.

თუმცა, "ვარდების რევოლუცია" არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ საერთაშორისო ფაქტორებით. დარწმუნებული ვარ, რეჟიმის შეცვლის ასახსნელად სასარგებლო იქნება გავიხსენოთ სახელმწიფო-სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულება პოსტსაბჭოთა საქართველოში. ამ ურთიერთობებმა შედეგად სახელმწიფოს ავტონომიას მნიშვნელოვანი შეზღუდვები მოუტანა. **მხოლოდ ძლიერ სახელმწიფოს - მორჩილი, უმნიშვნელო სამოქალაქო საზოგადოების ან "გასვრილი" ოპოზიციის მყოლს - შეუძლია იგნორირება გაუკეთოს იმ საზოგადოებას, რომელსაც მართავს.**

ამის საპირისპიროდ, პოსტსაბჭოთა საქართველოსთვის დამახასიათებელი იყო, სულ ცოტა ორი წინააღმდეგობა, რომელიც სახელმწიფოს ავტონომიურ მმართველობას ზღუდავდა.

პირველი, ხელისუფლების ავტონომიურობის მთავარი წყარო რესურსული ბაზის არსებობაა (მაგალითად, ნავთობის ან გაზის), რომელიც სახელმწიფოს სტრატეგიული ნედლეულის ბაზართან კავშირს უზრუნველყოფს. ასეთი გზით მიღებული შემოსავლები სახელმწიფოს "პატრონაჟისთვის" მდიდარ წყაროებს აძლევს, თითქმის გამორიცხავს პოლიტიკური ოპოზიციის რაიმეგვარ გავლენას და ფინანსების მობილიზების მიზნით საზოგადოებასთან შეთანხმების მიღწევის აუცილებლობას ამცირებს (მაგალითად, გადასახადების სახით). გარდამავალ ქვეყნებში ხომ პოლიტიკური მოვლენები ფინანსების წარმოშობის წყაროზე, გლობალურ ეკონომიკაში მათ როლზე და სახელმწიფო-სამოქალაქო საზოგადოებას შორის ურთიერთობებზე თითქმის მთლიანად არის დამოკიდებული.

გარდა ამისა, ისიც ფაქტია, რომ დასავლური ინტერესები და მათი გამომხატველი საერთაშორისო ორგანიზაციები გაცილებით შემრიგებლურები არიან ისეთი არადემოკრატიული რეჟიმების მიმართ, სადაც ასეთი სტრატეგილი რესურსები არსებობს - ისევ და ისევ, "სტაბილურობის" შენარჩუნების თვალსაზრისით.

შეიძლება, საქართველო რესურსებით მდიდარი ქვეყანაა მინერალური საბადოების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების, ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის, ადამიანური რესურსებისა და ბუნებრივი სილამაზის მხრივ. მაგრამ, მათგან არც ერთი არ შეიძლება ჩაითვალოს ისეთად, რომელიც საკმარისი შემოსავლების მობილიზების ან დემოკრატიზაციის შემაკავებელი პატრონაჟული სისტემის დამყარების საშუალებას იძლევა.

ოპოზიციის "გასვრისა" და "დასაჩუქრების" გზით საერთო თანხმობის შენარჩუნების სტრატეგიები, ისეთები, როგორიც აზერბაიჯანსა და ყაზახეთში არსებობს, უბრალოდ, ვერ იქნება განხორციელებული საქართველოში. რაღაც დრომდე ეს ფაქტი დაჩრდილული იყო წარმატებებით, რომელსაც საქართველომ საერთაშორისო დახმარების ხარჯზე მიაღწია, მაგრამ ამ რესურსების შესაძლებლობა, შეერბილებინა სოციალური უკმაყოფილება, მინიმალური იყო, ისევ და ისევ, ინსტიტუციური უუნარობისა და კორუფციის გამო.

მეორე, საქართველოს მასობრივი აქციების დიდი ისტორიული გამოცდილებაც აქვს და რევოლუციური გზით ხელისუფლების შეცვლისაც (ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების ჩამოგდება 1992 წელს). გამსახურდიას ჩამოგდება, მნიშვნელოვანწილად, სწორედ მის მიერ საქართველოში ყოველთვის არსებული მძლავრი დასავლური თვითიდენტიფიკაციის ღირებულებების შელახვას უკავშირდებოდა.

საქართველოში პოლიტიკური კულტურა ღია ავტოკრატიის მიმართ მკვეთრად უარყოფითად არის განწყობილი. ტრადიციონალისტურ-პოპულისტური და "ევრაზიონისტური" იდეოლოგიები, ისეთი, როგორიც თურქმენეთში და რუსეთშია პოპულარული, საქართველოში მცირე მხარდაჭერას პოულობს. მართალია, შევარდნაძის დამოკიდებულება დემოკრატიასთან უდავოდ, მხოლოდ ინსტრუმენტულ ხასიათს ატარებდა - როგორც ქვეყნის შიგნით დამკვირვებლები უწოდებდნენ, **"დემოკრატია დემოკრატების გარეშე"** - დემოკრატიული განვითარების შეზღუდვის ღია მცდელობები ფრიად იშვიათი იყო. მიუხედავად ამისა, შევარდნაძის მიერ გარშემო ისეთი პიროვნებების შემოკრება, რომელთაც დემოკრატიულ ღირებულებებთან აშკარად ცინიკური დამოკიდებულება ჰქონდათ, საფუძვლიანად ჩრდილავდა შევარდნაძის დემოკრატიულ იმიჯს, რაც, თავის მხრივ, მისი ლეგიტიმურობის ვარდნას უწყობდა ხელს.

გარდა ამისა, მასობრივი მობილიზაციის კიდევ ერთი ხელშემწყობი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, "პერესტროიკის" პერიოდში საქართველოს სამართალდამცავების მიერ გამოვლენილი პოზიცია იყო. მან მნიშვნელოვანი სიმბოლური დატვირთვა შეიძინა ქუჩაში გამოსულთათვის (პროტესტანტთა აზრი: "მათ არ გვესროლეს მაშინ, ასე რომ, არც ახლა გვესვრიან"), და თანამედროვე და "წინამორბედ", 1989 წლის პოლიციელებს შორის ერთგვარი პარალელი გაივლო.

ასე რომ, სახელმწიფო-სამოქალაქო საზოგადოებას შორის ურთიერთობებისა და პოლიტიკური კულტურის ამგვარი კონფიგურაცია დემოკრატიზაციისთვის გადამწყვეტ შიდა ბიძგს იძლევა, და საქართველოს სახელმწიფოს სერიოზულ დემოკრატიულ რეფორმირებას უალტერნატივოს ხდის.

ამის საწინააღმდეგოდ, უკანასკნელ წლებში საქართველოსთვის დამახასაითებელი დემოკრატიული ეროზია იმის მანიშნებელია, რომ ორივენაირად, მატერიალურადაც და სიმბოლურადაც, ბანკროტმა რეჟიმმა საზოგადოებისგან ავტონომიურობის მიღწევის საქმეში თავისი შესაძლებლობები ამოწურა.

და თუ ეს სიმართლეს შეეფერება, **"ვარდების რევოლუცია" უფრო მეტად ამბოხი იყო, ვიდრე რევოლუცია**, რომელიც ხელისუფლებიდან ჩამოშორებით განაწყენებულმა, პოლიტიკური ჯგუფისა და თვითგადარჩენისთვის მებრძოლმა სამოქალაქო აქტორების კოალიციამ მოახდინა. მას მხარი დაუჭირა მმართველ რეჟიმზე განრისხებული მოსახლეობის დიდმა ნაწილმა, მაშინ, როცა დანარჩენი მოსახლეობა დუმილით დათანხმდა რეჟიმის შეცვლას.

მისი წარმატება შეიძლება მნიშვნელოვანწილად იმ ფაქტსაც მიეწეროს, რომ ძველი რეჟიმის ძირითადმა ელემენტებმა, ფაქტობრივად, კაპიტულაცია მოახდინეს - იმ იდეების წინაშე, რომელსაც "რევოლუცია" ასახიერებდა, საკუთარი არალეგიტიმურობა ცნეს.

ნაციონალური სიმბოლოებისთვის ახალი ძალის მიცემის (პარალელურად, ძველი რეჟიმისთვის "ნეოსაბჭოურის" იარლიყის მიკერებით) გარდა, "ვარდების რევოლუციას" ახალი იდეოლოგია არ შემოუთავაზებია, თავისი არსით არც ახალი ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული პოლიტიკა განსხვავდება წინამორბედისგან - მხოლოდ მეთოდებია შეცვლილი.

ზემოთ მოყვანილი ანალიზიდან ნათელია, რომ, მართალია, ჩვენ საქართველოში რეჟიმის ცვლილების მოწმენი გავხდით, სახელმწიფო-სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთობებისადმი წამოყენებული მოთხოვნები და შეზღუდვები უცვლელი დარჩა.

ისევე, როგორც მისი წინამორბედი, საქართველოს ახალი ხელისუფლებაც იგივე ფუნდამენტური გამოწვევის წინაშე დგას - სახალხო სუვერენიტეტისთვის მართლაც რეალური აზრის მიცემა.

*დასასრული შემდეგ ნომერში*

## ფოტოგალერეა



მოსათხრობი 100 წელი. ავტორი: ვახო ბესელია

## TV პროგრამა

### 12 იანვარი

**რუსთავი - 2**

**07.30** დილა **08.00** ტელელიპუცები **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** ღამის შოუ **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 01.55** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "მიაღწიე წარმატებას" (გ) **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** ტელელიპუცები **18.20** "ჯეტიქსი" **18.55** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **19.45** პატრული **19.55** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** ხალხის პირისპირ **23.00** დოკ. ფილმი (ბი-ბი-სი) **00.00** მხ. ფილმი "თვითნებური გაქცევა" (18) (ჟან-კლოდ ვან დამი) **02.15** პატრული

**პირველი არხი**

**08.00** "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი "სუპერმასიური შავი ხვრელები **11.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმები "კლიფორდი" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერიალი "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" სომხურ ენაზე **15.30** რაციო - დათო სიხარულიძე **16.30** "არტე" წარმოგიდგენთ - "სუპერმენიდან სპაიდერმენამდე" **17.30** ვაკანსია **18.00** "მთავარი" რეგიონებიდან **18.30** სერიალი "ჯეტ ჯექსონი" **19.00** "ჰოლმარკი" წარმოგიდგენთ - "კლეოპატრა" **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "ტერი ჯონსის შუა საუკუნეები" **23.00** ახალი პროექტი **23.30** მხ. ფილმი "გენერალი" (12) **01.15** საინფ. გამოშვება

**მზე**

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** ტელეჟურნალი "ჰოლივუდი დღეს" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "სინიორ ვიანელო" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **13.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **14.15** საბავშვო სერიალი "დიუნის შვილები" **15.10** შემეცნებითი პროგრამა "ყველაზე, ყველაზე" **16.05** სერიალი "ველური მთვარე" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** სერიალი "პოლიციელი ქალები" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** "მუსიკა მზეზე" **19.00** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.45** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** "პატრიოტთა თამაშები" - ვასილ მჟავანაძე. პატრიარქის შემოდგომა" **00.00** მხ. ფილმი "თავსატეხი" (15) (მაიკლ ბინი)

**მეორე არხი**

**19.00** სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" **19.50** "ბაბილინა" **20.05** ანიმაცია "კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავლები" **20.30** დოკ. ფილმი "ლისაბონი" **21.30** კონცერტი **22.40** კინოსეანსი "ფრაგმენტები ქალაქის ცხოვრებიდან"

**იმედი**

**07.00** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **07.30** დოკ. სერიალი "საზღვაო ისტორიები" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** იმედის დილა **09.20** "დუბლიორი" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** სერიალი "კამენსკაია" **12.15, 14.35, 17.10, 03.05** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 02.35** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "ბურატინოს თავგადასავალი" მე-2ს. **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 02.25** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "უცნობი აფრიკა" **17.20** არტ-ბულვარი **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "კამენსკაია" **22.50** სერიალი "კექსი დიდ ქალაქში" **23.15** "უცნობი საქართველო" **23.45** მხ. ფილმი "შურისმაძიებელი სული" **01.30** სერიალი "ნეშ ბრიჯესი"

**აჭარა**

**09.00** საინფ. დაიჯესტი **09.20** სათავ. ფილმი "ჯაშუშთა შვილები 2" **11.00** მუსიკა **11.30, 14.30, 17.30, 18.30, 20.30** საინფ. გამოშვება **11.40** ისტ. ფილმი "სირანო დე ბერჟერაკი" **14.00** მუსიკა **14.45** კომედია "ჟანდარმი და უცხოპლანეტელი" **16.10** მულტფილმი **17.45** დოკ. ფილმი **18.50** მხ. ფილმი "შემოდგომის მარათონი" **21.00** ბოევიკი "გატაცება 60 წამში" **23.00** მუსიკა **23.30** საინფ. დაიჯესტი **23.50** მხ. ფილმი "ზღვა"

**კავკასია**

**12.00** მხ. ფილმი "შიშის სახლი" (გ) **14.00** ტუწ-ემ **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** ტუწ-ემ **19.20** სპექტრი **21.30** მხ. ფილმი "ვულკანური დარტყმა" (გ) **00.30** ტუწ-ემ

**ОРТ**

**06.00** "Доброе утро" **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20** Жан Маре в сериале **"ГРАФ МОНТЕ-КРИСТО". 1**-я с. **10.30** Сериал **"КЛОН". 11.30** Смехопанорама Евгения Петросяна. **12.20** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 13.20** Дисней-клуб: "Лило и Стич". **13.50** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 15.20** "Угадай мелодию" **15.50** Валерий Николаев в многосерийном фильме **"ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ". 17.00** "Пять вечеров". Среда. **18.20** "Анекдоты". **19.00** Сериал **"КЛОН". 19.50** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 21.00** Время. **21.30** Леонардо Ди Каприо в приключенческом фильме **"ПЛЯЖ" 23.40** Настасья Кински в боевике **"МАКСИМАЛЬНОЕ УСКОРЕНИЕ"**. Странная интрига заплетается вокруг отважного инструктора по прыжкам с парашютом Ричарда Броди. Его обвиняют в гибели некоей Крис, у которой во время прыжка не раскрылся парашют. Через некоторое время он выясняет, что Крис жива, а сам Броди оказывается в центре шпионских страстей, так как девушка странным образом связана с КГБ. **01.30** Роберт Редфорд в триллере **"ТРИ ДНЯ КОНДОРА"**. **03.50** Джейсон Гедрик в боевике **"ПОСЛЕДНИЙ ДОН"**. **1**-я с.

**НТВ**

**06.00** "Сегодня утром" **09.05** Сериал **"МЕРТВЫЕ НЕ ЛГУТ-2". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** Сегодня. **10.20** Анатомия преступлений. **10.50** "Женский взгляд" Оксаны Пушкиной. **11.25** Программа Павла Лобкова "Растительная жизнь". **12.00** Сериал **"УСАДЬБА". 13.35** Детективный сериал **"ПОЛИЦЕЙСКИЙ КЭТТС И ЕГО СОБАКА". 14.30** Сериал **"ВИНТОВАЯ ЛЕСТНИЦА". 15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.25** Комедийный сериал **"ОТРАЖЕНИЯ". 18.00** Игры разума. **18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Детективный сериал **"УСАДЬБА". 20.45** Сериал **"ВИНТОВАЯ ЛЕСТНИЦА". 21.50** Чрезвычайное происшествие. **22.00** "Сегодня 22.00". **22.40** Сериал **"ЛАНДЫШ СЕРЕБРИСТЫЙ". 23.45** Чрезвычайное происшествие. **00.20** Анн Парийо в фильме **"КРОВЬ НЕВИННЫХ". 02.20** Сериал **"БРЭМ И ЭЛИС". 03.00** Коллекция Национального географического общества. "Нападение таинственных акул". **04.15** Сериал **"ЗА ГРАНЬЮ ВОЗМОЖНОГО". 04.55** Сериал **"ОПЕРАТИВНИК". 05.35** Чрезвычайное происшествие.

## სკანვორდი



# სოლო ფრენა მსოფლიოს გარშემო






ავიაციის 101-წლიან ისტორიაში მალე ახალი ფურცელი ჩაიწერება. ფურცელი, რომელიც თავისი მნიშვნელობით წარსულის ბევრ მიღწევას გადაფარავს. ამჯერად სტივ ფოსეტი გვპირდება რევოლუციას. ის ენერგიული მოცურავე და პილოტია, რომელმაც მსოფლიოს საჰაერო ბუშტით განხორციელებული ფრენებით დაამახსოვრა თავი. ფოსეტი ამჯერად თვითმფრინავის კაბინაში მოკალათდება და იქნება პირველი ადამიანი, რომელიც შეუსვენებელ სოლო ფრენას შეასრულებს მსოფლიოს გარშემო.

გამოდის, რომ ფოსეტის ხომალდი ხმელეთზე არც საწვავის ბაკის შესავსებად დაეშვება. ამ ტემპით პილოტმა 80 საათში უნდა შემოუფრინოს დედამიწას.

"გლობალფლაიერი" - ეს ის თვითმფრინავია, რომლითაც ფოსეტმა ოცნება უნდა აიხდინოს. მფრინავი ობიექტი შექმნა ბერტ რუტანმა, კაცმა, რომელიც შარშან სხვა დიდი მიღწევის გამო მოხვდა პრესის პირველ გვერდებზე: მან მსოფლიოში პირველი კერძო კოსმოსური ხომალდი ააგო. მანამდე რუტანმა ააგო "ვოიაჟერი" - ხომალდი, რომლითაც 1986 წელს მსოფლიოს გარშემო იფრინა კიდეც, თანაც, საწვავის აუღებლად. თუმცა, თუ "ვოიაჟერმა" მისიის განხორციელებას ცხრა დღე მოანდომა, მიიჩნევენ, რომ "გლობალფლაიერი" სამ დღეში დაასრულებს ფრენას. ეს იმიტომ, რომ რუტანის ახალ ხომალდს რეაქტიული ძრავა აქვს, ძალიან აეროდინამიკურია და მსუბუქად ეშვება ძირს. "გლობალფლაიერი" დამზადებულია გრაფიტისგან, რომელსაც ნიჟარის ფორმა აქვს. ამის გამო ძალიან მყარია და ამავე დროს ძალიან მსუბუქი.

ცხადია, სანამ "გლობალფლაიერის" ამბიციური მიზნის შესახებ პრესა შეიტყობდა, თვითმფრინავს ათასგვარი ტესტირება ჩაუტარდა. პროექტის სპონსორის "ვირჯინ ატლანტიკის" მეთვალყურეობით მოეწყო 23 ექსპერიმენტული გაფრენა, რომელთა დროს გამოვლინდა რამდენიმე სერიოზული ლაფსუსი და გამოსწორდა კიდეც. ახლა რეაქტიული თვითმფრინავი სრულ მზადყოფნაშია და ელის სტივ ფოსეტს, რომელმაც გადამწყვეტ გაფრენამდე "გლობალფლაიერს" თვითონაც უნდა ჩაუტაროს ტესტირება. რამდენიმე საცდელი გაფრენის შემდეგ ფოსეტი სტარტს აიღებს და დედამიწას გარშემო შემოუვლის.

სავარაუდოდ, ეს თებერვლის დასაწყისში უნდა მოხდეს. აფრენა კანზასის შტატის ქალაქ სალინას აეროპორტიდანაა დაგეგმილი, რადგან მას სრულიად ახალი და ჩრდილოეთ ამერიკაში ყველაზე გრძელი ასაფრენი ბილიკი აქვს. ქალაქის მდებარეობაც ძალიან ხელსაყრელია. თუ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ, ვთქვათ, თვითმფრინავს საწვავი გამოელია, სალინიდან აფრენის შემთხვევაში ის შეძლებს დასავლეთ სანაპიროს რომელიმე დიდ აეროპორტში დაეშვას ბენზინის ბაკის ასავსებად.

მეტიც, საწვავი მისიის წარმატებით დაგვირგვინებაში გადამწყვეტ როლს შეასრულებს. "გლობალფლაიერს" გაცილებით მეტი საწვავი დასჭირდება, ვიდრე "ვოიაჟერს". აფრენის დროს საწვავის მარაგი თვითმფრინავის წონის უმეტეს ნაწილს შეადგენს.

რაც შეეხება საცდელ ფრენებს, თვითმფრინავს აფრენის წონით არ გამოსცდიან. ამ დროს ზედმეტი საწვავის გამო შეიძლება ხომალდი 15 პროცენტით დამძიმდეს, ანუ მანამდე განხორციელებულ ყველა ფრენაზე უფრო მძიმე გამოდგეს. არც ის არის გამორიცხული, რომ ზედმეტმა წონამ გაუთვალისწინებელი პრობლემა შექმნას მაშინ, როცა სტაბილურობა სხვა მხრივ გარანტირებული იქნება. ასე რომ, ყოველი გათვლილი წვრილმანისა და მრავალმხრივი გამოცდის მიუხედავად, სტივ ფოსეტი საკუთარ სიცოცხლეს აშკარად საფრთხეში იგდებს, თანაც - მერამდენედ.

ალბათ ამიტომაც, "ბი ბი სი"-ს კორესპონდენტი ნახევრად ხუმრობით სტივ ფოსეტს, პირველ რიგში, "გადარჩენილს" უწოდებს. ეს არის კაცი, რომელიც ცხოვრებას გამოწვევასავით აღიქვამს და სრულიად შეგნებულად იგდებს თავს საფრთხეში. 1985 წელს მან ლა მანშის არხი გადაცურა, 1992 წელს ალასკაზე ძაღლებშებმული მარხილების რბოლაში მიიღო მონაწილეობა, 1996 წელს კი - ლე მანის 24-საათიან ავტორალიში. თუმცა, დიდი ავიაცია ყოველთვის მისი ცისფერი ოცნება იყო. ამიტომაც ჩაჯდა საჰაერო ბუშტში და შორეულ მოგზაურობაში წავიდა. პირველი ცდა მარცხით დამთავრდა - 1997 წელს მისი საჰაერო ხომალდი რუსეთში ავარიულად დაეშვა. მომდევნო წელსაც საშინელმა ქარიშხალმა მოუსწრო და ავსტრალიის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე, 29 ათასი ფუტის სიმაღლეზე, კინაღამ დაიღუპა. თუმცა, შემდეგ მიზანს მიაღწია და 1998/2002 წლებში პირველი შორეული ფრენები განახორციელა. 2001/2002 წლებში ბუშტით გადასერა აზია, აფრიკა, ევროპა, სამხრეთ ამერიკა, სამხრეთ ატლანტიკის მიდამოები, სამხრეთ წყნარი ოკეანეთი და ინდოეთის ოკეანე.

ახლა რეაქტიული თვითმფრინავის ჯერია. სტივ ფოსეტი ახალ გამოწვევას იღებს და ყველაზე სახიფათო მოგზაურობისთვის ემზადება.

# ქართული თეატრის დღე ბათუმში აღინიშნება

14 იანვარს ქართული თეატრის დღის აღსანიშნავად თეატრის მოღვაწეთა კავშირი ღონისძიებებს ბათუმში გამართავს. "14 იანვარს ბათუმის თეატრს 125 წელი უსრულდება. ამიტომ გადავწყვიტეთ, ქართული თეატრის დღე ბათუმში ჩაგვეტარებინა", - განაცხადა თეატრის კავშირის თავმჯდომარის მოადგილემ კოტე ნინიკაშვილმა.

თბილისიდან აჭარაში ჩასვლას აპირებს 70-კაციანი დელეგაცია, რომელშიც შედიან რეჟისორები, მსახიობები და კულტურის სხვა მოღვაწეები.

14 იანვარს ჯერ ბათუმის თეატრის 125 წლისთავის საიუბილეო საღამო გაიმართება, შემდეგ კი თეატრების წარმომადგენლები საკუთარი სპექტაკლებიდან ნაწყვეტებს წარმოადგენენ. ასევე გამოვა ამ დღისადმი მიძღვნილი ყოველწლიური ერთჯერადი გაზეთი "ქართული თეატრის დღე".

ქართული თეატრის დღეს, 14 იანვარს, გამოვლინდება წლის საუკეთესო მამაკაცისა და ქალის როლის შემსრულებელი, ასევე, წლის საუკეთესო სპექტაკლი და რეჟისორი.

*მედიანიუსი*

# მოიპარეს უნიკალური ტილოები

9 იანვარს, ღამით, ნიდერლანდების ქალაქ ჰოორონის დასავლეთ-ფრიზის მუზეუმიდან ბოროტმოქმედებმა მე-17 საუკუნის 20-მდე ფერწერული ტილო და დიდი რაოდენობით ძველებური ვერცხლის ნაკეთობები გაიტაცეს. ნაქურდალის საერთო ღირებულება 10 მილიონი ევროა.

მუზეუმის თანამშრომლებმა ქურდობის შესახებ 10 იანვარს შეიტყვეს. წინა დღით მუზეუმში დაიხურა გამოფენა "ჩრდილოეთ ჰოლანდიის ხედები", რომელზეც წარმოდგენილი იყო 1880-1930 წლებში შექმნილი ფერწერული ნახატები.

პოლიციის აზრით, მუზეუმში მუშაობდა რამდენიმე პროფესიონალი, რომელთაც შეძლეს სიგნალიზაციის სისტემის გათიშვა. როგორც მუზეუმის დირექცია იტყობინება, მოპარულია იან ვან ჰეიმის, მატისის, ვითჰოსის ტილოები. თუმცა, ეს ნამუშევრები იმდენად ცნობილია ჰოლანდიური ფერწერის მცოდნეთათვის, რომ ბოროტმოქმედებს მათი გაყიდვის შანსი არ უნდა ჰქონდეთ, - მიაჩნია მუზეუმის დირექციას.

**ბატონ ნიკა ჩიქოვანს!**

გულითად მადლობას გიძღვნით ჩემი მონოგრაფიის ინგლისურ ენაზე გამოცემის და ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისში გაგზავნის ფინანსირებისათვის. ღმერთმა გვიმრავლოს თქვენნაირი პატრიოტები, რომლებიც საქართველოში მეცნიერებისთვის იზრუნებენ. მიიღეთ ჩემი საუკეთესო სურვილები ახალ წელთან დაკავშირებით.

*პატივისცემით რობერტ გოგსაძე*

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური“ გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათითითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61

ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge




თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24

## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.